ჯინ ვებსტერი

გრძელფეხება მამილო

DADDY-LONG-LEGS

Jean Webster

ჯინ ვებსტერი

გრძელფეხება მამილო

ჯინ ვებსტერი
(1876-1916)

ჯინ ვებსტერი[1] დაიბადა ნიუ-იორკის შტატის ქ. ფრედონიაში, 1876 წლის 24 ივნისს. დედა, ანა მოფეტ ვებსტერი, მარკ ტვენის ძმისწული იყო, მამა - ჩარლზ ლუთერ ვებსტერი მარკ ტვენის პარტნიორი და „ ჩარლზ ლ. ვებსტერის საგამომცემლო კომპანიის" უიღბლო გამომცემელი.

1894-1896 წლებში ჯინ ვებსტერი ლედი ჯეინ გრეის პანსიონში სწავლობდა, 1897 წლიდან კი ვესარის კოლეჯში შევიდა, რომელიც 1901 წელს დაამთავრა. ბოლო კურსზე ის უკვე წერდა და ყოველკვირეულ გაზეთსა და ვესარის ალმანახში აქვეყნებდა მოთხრობებს. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ჯინ ვებსტერი ნიუ-იორკში ცხოვრობდა, თავს ჟურნალისტობით ირჩენდა და მოთხრობებსაც აქვეყნებდა. მისი პირველი რომანი - „ როცა პეტი კოლეჯში შევიდა" - 1903 წელს გამოქვეყნდა. ვებსტერმა დაწერა რვა რომანი და აუარებელი გამოუქვეყნებელი მოთხრობა და პიესა. „ გრძელფეხება მამილო" მოგვითხრობს ობლის ამბავს, რომელიც უცნობმა ქველმოქმედმა კოლეჯში გაგზავნა. ამ ნაწარმოებმა დიდი წარმატება მოიპოვა და მალე ბესტსელერი გახდა. მოგვიანებით ჰენრი მილერმა იგი სცენისთვის გადააკეთა, შემდეგ კი ფილმიც გადაიღეს მერი პიკფორდის მონაწილეობით.

ჯინ ვებსტერს ძალიან უყვარდა მოგზაურობა. იგი მონაწილეობდა რეფორმატორულ მოძრაობაში, კერძოდ, ობოლთა თავშესაფრებისა და ციხის რეფორმების გატარებაში.

[1] სრული სახელი ალისა ჯეინ ჩანდლერ ვებსტერი.

ჯინ ვებსტერი შვიდი წელი საიდუმლოდ იყო დანიშნული მდიდარ იურისტ გლენ ფორდ მაკკინზე, ნავთობის მაგნატ ჯონ ლუკა მაკკინის ვაჟზე. გლენს ცოლი ჰყავდა. მან განქორწინება მხოლოდ 1915 წლის ივნისში შეძლო და 7 სექტემბერს ჯინზე დაქორწინდა.

სწორედ ამ დროს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ცნობილი იყო „ გრძელფეხება მამილო". ამავე წელს გამოიცა მისი რომანი „ ძვირფასი მტერი".

1916 წლის 10 ივნისს, საღამოს, ჯინ ვებსტერს შეეძინა ქალიშვილი ჯინ ვებსტერ-მაკკინი, მეორე დილით კი, მშობიარობის შემდგომი გართულების შედეგად იგი გარდაიცვალა.

"წყეული ოთხშაბათი"

ყოველი თვის პირველი ოთხშაბათი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ასეთი ოთხშაბათის გათენებას გულის ხეთქით მოელოდნენ, ვაჟკაცურად უძლებდნენ და მერე უმალვე წარსულს მიაბარებდნენ ხოლმე. ვაი, იმის ბრალი, ვისაც იატაკზე სადმე ლაქა გამოეპარებოდა, ან სკამებს გულმოდგინედ არ გაწმენდდა, ანდა საწოლებზე ოდნავ ნაოჭი დარჩებოდა. ოთხმოცდაჩვიდმეტი რეტდასხმული პაწია ობოლი გულიანად უნდა გაეხეხათ, ლამაზად დაევარცხნათ და ახლად გახამებულ კუბოკრულ კაბებში კოხტად გამოეწყოთ. ოთხმოცდაჩვიდმეტივეს გული ჰქონდა გაწვრილებული ყოფაქცევის წესებით, უფროსები რომ ჩასჩიჩინებდნენ. ათიათასჯერ მაინც უნდა შეეხსენებინათ ამ უბედურებისათვის, არ დავიწყებოდათ, მეურვისათვის - როცა ის რამეს შეეკითხებოდა - რიგიანი პასუხი გაეცათ: "დიახ, სერ!" "არა, სერ!"

ცხელი დღე ედგათ, ნამდვილად ცხელი დღე! და მთელი ამ დღის სიმძიმე ერთ საცოდავ ობოლს, ჯერუშა ებოტს აწვა კისერზე. იმის გამო, რომ დანარჩენ აღსაზრდელებზე უფროსი იყო, ჯოხი მასზე ტყდებოდა. ასე იყო თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ყველა ასეთი ოთხშაბათივით, ეს დღეც გადააგორეს. ჯერუშამ ძლივს დააღწია თავი საკუჭნაოს, სადაც სტუმრებისათვის სენდვიჩებს ამზადებდა, და თავის ყოველდღიურ საქმიანობას მიუბრუნდა. იგი ოთხიდან შვიდი წლის ასაკამდე ბავშვებს უვლიდა, რომელთა პაწია საწოლები რიგებად იყო ჩამწკრივებული ოთახ F-ში. ჯერუშამ თავის პაწაწინებს თავი მოუყარა, წინსაფრები გაუსწორა, ცხვირ-პირი მოსწმინდა და მორჩილი, გახარებული ბავშვების მწკრივი მისი მეთაურობით სასადილო ოთახისაკენ გაემართა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! სანეტარო დრო დასდგომოდათ - სასადილოში რძე, პური და შავი ქლიავის პუდინგი ელოდათ.

თვითონ ჯერუშამ კი დრო რომ იხელთა, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და გახურებული შუბლი ცივ მინას მიაყრდნო. დილის ხუთი საათიდან ფეხზე იყო. ყველას ბრძანებებს ასრულებდა. კაპასი უფროსი სულ რაღაცას უწუნებდა და აჩქარებით სიქას აცლიდა. მისის ლიპეტი შინაურობაში ყოველთვის როდი ინარჩუნებდა იმ სიმშვიდესა და დიდებულებას, რასაც მეურვეებსა და სტუმრად მობრძანებულ ქალბატონებთან იჩენდა.

ჯერუშა რკინის მაღალ მესერს იქით გადაჭიმულ ყინვადაკრულ ტრიალ მინდორს გაჰყურებდა, თავშესაფრის ეზოს რომ ერტყა გარს. ქვემოთ, ბორცვებზე აქა-იქ ფერმერთა სახლები მოჩანდა, მოშორებით კი, შიშველ ხეებს შორის, სოფლის მაღალკოშკიანი ნაგებობები ილანდებოდა.

ჯერუშასათვის რომ გეკითხათ, გეტყოდათ, დღე წარმატებით დასრულდაო. მეურვეებსა და კომისიის წევრებს თავშესაფრისათვის არაფერი დაუკლიათ - კიდეც დაათვალიერეს იგი, მოხსენებებიც წაიკითხეს და არც შეთავაზებულ ჩაიზე უთქვამთ უარი. ახლა კი შინისკენ მიეშურებოდნენ, მხიარულად მოგიზგიზე ბუხრებთან მოკალათებულებს კიდევ ერთი თვით რომ დაევიწყებინათ მომაბეზრებელი უპატრონო ბავშვების არსებობა. ჯერუშა წინ გადაიხარა და სევდანარევი ცნობისმოყვარეობით დაუწყო ყურება თავშესაფრის ჭიშკრიდან გასული ეტლებისა და მანქანების ნაკადს. სტუმრების ადგილას წარმოიდგინა თავი. ხან ერთ ეტლს გაჰყვა ფიქრებით, ხან - მეორეს, გორაკის გასწვრივ ჩამწკრივებული დიდრონი სახლებისაკენ რომ მიემართებოდნენ. თვალწინ წარმოუდგა საკუთარი თავი, ქურქსა და ფრთებით მორთულ ხავერდის ქუდში გამოწყობილი, გულგრილი სახით რომ გასძახოდა მეეტლეს - შინისკენო, მაგრამ თავშესაფრის ჭიშკარს მიადგა თუ არა, წარმოდგენილი სურათი ბინდში გაეხვია.

ჯერუშას მდიდარი ფანტაზია ჰქონდა, რომელიც, მისის ლიპეტის აზრით, თუ დროზე არ მოითოკებოდა, კარგ არაფერს მოუტანდა. მაგრამ რაც უნდა გამჭრიახი გონების პატრონი ყოფილიყო, ვერაფერს გახდებოდა. გამჭრიახი გონება იმ სახლების კარებს ვერ შეუღებდა, რომლებიც თავის დღეში თვალით არ ენახა. საწყალი, გონიერი პატარა ჯერუშა! თუმცა უკვე ჩვიდმეტი წლის იყო, ჯერ არც ერთი სახლის ზღურბლზე არ გადაედგა ფეხი. ბუნებრივია, არ შეეძლებოდა, წარმოედგინა იმ ადამიანთა ყოველდღიური ყოფა, რომლებიც ობოლთა თავშესაფრის მიღმა ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას.

- ჯე-რუ-შა ე-ბოტ,

უფ-რო-სის კა-ბი-ნეტ-ში

გე-ძა-ხი-ან,

გი-ჯობს, იჩ-ქა-რო! - ტომი დილონი, გუნდის წევრი, კიბეებზე მღერა-მღერით ამოდიოდა. დერეფანი გამოიარა და ოთახ F-ს რომ მოუახლოვდა, მისი ხმა უფრო მძლავრად გაისმა. ჯერუშა ფანჯარას მოსწყდა და მწარე სინამდვილეს დაუბრუნდა.

- ვინ მეძახის? - ტომის სიმღერაში ჩაერთო ჯერუშას აკანკალებული ხმა.

- მისის ლიპეტი კაბინეტში

და ასე მგონია, მთლად

დალაგებულ ჭკუაზე ვერაა. ა-ა-მინ! - ბოლოში ეკლესიის მგალობელივით წაუმღერა ტომმა, მაგრამ მის კილოში მარტო დაცინვა როდი ჟღერდა. ყველაზე გულქვა ობოლიც კი თანაუგრძნობდა ცოდვილ დობილს, რომელიც ბრაზიან ქალბატონთან შესახვედრად იყო გამოძახებული. ტომს ჯერუშა არ ეჯავრებოდა, თუმცა ის ზოგჯერ მუჯლუგუნს გაჰკრავდა ხოლმე, ან ისე მაგრად მოსწმენდდა ცხვირს, ლამის მოეგლიჯა.

ჯერუშა უჩუმრად გაეშურა კაბინეტისაკენ. სახე მოექუფრა. ვერ მიმხვდარიყო, რა დააშავა. ნუთუ სენდვიჩები თხლად არ იყო

დაჭრილი? იქნებ ნაჭუჭი შეჰყვა ნიგვზის ტორტს? ან იქნებ სტუმარმა მანდილოსნებმა შეამჩნიეს, სუზი ჰაუთონს დახეული წინდა რომ ეცვა? ან, მტერს და ავს, იქნებ რომელიმე ქერუბიმივით უბიწო პაწიამ მეურვეს უტიფრად მიმართა?

ქვედა სართულის ჰოლი განათებული არ იყო და კიბეზე რომ ჩამოდიოდა, ჯერუშამ წასასვლელად მომზადებულ უკანასკნელ მეურვეს მოჰკრა თვალი. იგი ღია კარში იდგა, იმ კარში, ჭიშკრისაკენ რომ გადიოდა. ჯერუშამ მხოლოდ ის შეამჩნია, რომ კაცი მაღალი იყო. იგი ხელს უქნევდა მოსახვევში გაჩერებულ მანქანას. მანქანა რომ მიუახლოვდა, მეურვეს ფარების შუქი მიადგა და მისი ჩრდილი უშველებელ ობობასავით გაიწლაწა ჯერ იატაკსა და შემდეგ - კედელზე.

ჯერუშას მოღრუბლული სახე ერთბაშად ღიმილმა გაუნათა. იგი ბუნებით ხალისიანი გოგონა იყო და მცირე საბაბიც კმაროდა მის გასამხიარულებლად. მეურვის სასაცილოდ აგდებას კარგი რომ არაფერი მოჰყვებოდა, ჯერუშამ შესანიშნავად იცოდა. მიუხედავად ამისა, ამ პატარა ეპიზოდმა ისე გაახალისა, რომ კაბინეტის კარი მხიარულად შეაღო და მისის ლიპეტს მოღიმარი სახე შეანათა. მისდა განსაცვიფრებლად, მისის ლიპეტიც კარგ გუნებაზე დაუხვდა. მართალია, არ იღიმებოდა, მაგრამ ისეთი ალერსიანი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სტუმრებს ეგებებაო.

- დაჯექი, ჯერუშა, შენთან სალაპარკო მაქვს.

ჯერუშა უახლოეს სკამზე დაეშვა და სუნთქვაშეკრული დაელოდა საუბრის დაწყებას. მანქანამ ფანჯარას ჩაუქროლა. მისის ლიპეტმა თვალი გააყოლა.

- დაინახე ეს ჯენტლმენი, ახლა რომ გაემგზავრა?

- მხოლოდ ზურგიდან.

- ჩვენს მეურვეებს შორის ეს ჯენტლმენი ყველაზე გულუხვია. თავშესაფრისათვის არაერთხელ შემოუწირავს დიდი თანხა. ნება

არა მაქვს, მისი ვინაობა გავამხილო, რადგან სურს, უცნობად დარჩეს. წარმოიდგინე, პირობაც კი ჩამომართვა.

ჯერუშას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ჩვეული არ იყო მეურვეთა უცნაურობაზე საჭორაოდ მისის ლიპეტის კაბინეტში გამოძახებას.

- ეს ჯენტლმენი ადრე ჩვენი რამდენიმე ბიჭით დაინტერესდა. ხომ გახსოვს ჩარლზ ბენტონი და ჰენრი ფრეიზი? ორივე კოლეჯში გაგზავნა მისტერ... ჰმ... მეურვემ. მათაც სიბეჯითითა და წარჩინებული სწავლით დაუფასეს სიკეთე. სხვაგვარი მადლობა ამ ჯენტლმენს არც სურს. აქამდე მისი ქველმოქმედება მხოლოდ ბიჭებზე ვრცელდებოდა, ჩვენი დაწესებულების გოგონებით ვერა და ვერ დავაინტერესე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი გოგონების მიმართ გულგრილია!

- დიახ, ქალბატონო, - ამოილუღლუღა ჯერუშამ, რადგან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს მისგან პასუხს ითხოვდნენ.

- დღევანდელ კრებაზე შენი მომავლის საკითხი წამოიჭრა...

მისის ლიპეტი განზრახ გაჩუმდა. შემდეგ საუბარი ნელა, წყნარად განაგრძო, უფრო მეტად რომ დაეძაბა მსმენელის ნერვები.

- ჩვეულებრივ, როგორც იცი, ბავშვი თექვსმეტი წლის რომ გახდება, აქ აღარ ვაჩერებთ, მაგრამ შენთვის გამონაკლისი დავუშვით. სასწავლებელი თოთხმეტი წლისამ დაამთავრე. იმის გამო, რომ სწავლაში წარჩინებული იყავი, რასაც სამწუხაროდ, შენს ყოფაქცევაზე ვერ ვიტყვი, გადავწყვიტეთ, სოფლის სკოლაში გაგვეგზავნე. ახლა სკოლასაც ამთავრებ და, რა თქმა უნდა, თავშესაფარს შენი რჩენა აღარ შეუძლია, სხვებთან შედარებით, ისედაც ორი წლით მეტ ხანს დარჩი.

მისის ლიპეტს არც კი უხსენებია, ამ ორი წლის განმავლობაში ჯერუშამ რა მძიმე შრომა გასწია და რომ ხშირად მისი სწავლა-განათლება მსხვერპლად ეწირებოდა თავშესაფრის ინტერესებს.

მაგალითად, ისეთ დღეებში, როგორიც დღევანდელი იყო, სკოლაში არ უშვებდნენ და მთელ შავ სამუშაოს მას აკეთებინებდნენ.

- როგორც უკვე გითხარი, დღეს კრებაზე შენი მომავლის საკითხი წამოიჭრა. ამასთან დაკავშირებით შენი წარსული განიხილეს და საკმაოდ საფუძვლიანადაც.

მისის ლიპეტმა ისეთი გამომცდელი მზერა მიაპყრო ჯერუშას, თითქოს გოგონა საბრალდებო სკამზე მჯარი პატიმარი ყოფილიყო. პატიმარმაც უეცრად ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მართლაც დანაშაული ჩაედინა, იმიტომ კი არა, რომ რაიმე შავი ლაქა ეგულებოდა თავის წარსულში, არამედ იმიტომ, რომ ხედავდა - ასე იყო საჭირო.

- რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აღზრდილებისათვის სამუშაოს ვეძებთ ხოლმე, მაგრამ შენ სწავლაში თავი გამოიჩინე. ინგლისურ ლიტერატურაში თურმე დიდ წარმატებას მიაღწიე. მის პრიჩარდი, ჩვენი კომიტეტის წევრი, სკოლის საბჭოს წევრიცაა. რიტორიკის მასწავლებელთან ულაპარაკია და კრებაზე ძალიან გაქო. შენი თხზულება - "წყეული ოთხშაბათი" წაიკითხა.

ამჯერად ჯერუშას დამნაშავის იერი მოჩვენებითი აღარ იყო.

- გეტყობა, მაინცდამაინც მადლიერი არ უნდა იყო. როგორ შეგიძლია სასაცილოდ აიგდო ის დაწესებულება, რომელმაც ამხელა ამაგი დაგდო! მოთხრობა სასაცილო რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც გაპატიებდნენ, მაგრამ, შენდა საბედნიეროდ, მისტერ... იმ ჯენტლმენს, ახლა რომ გაემგზავრა, იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა. იმ თავხედური თხზულებისათვის კოლეჯში უნდა გაგგზავნოს.

- კოლეჯში? - ჯერუშას თვალები გაუფართოვდა.

მისის ლიპეტმა თავი დაუქნია.

- წასვლა იმიტომ შეაგვიანდა, რომ პირობებზე მეთათბირებოდა. მისი პირობები მეტისმეტად უჩვეულოა. არ შევცდები, თუ ვიტ-

ყვი, რომ ეს ჯენტლმენი ცოტა უცნაურია, შენში ორიგინალურ პიროვნებას ხედავს. უნდა, სწავლა-განათლება მოგცეს. სწამს, რომ შენგან მწერალი გამოვა.

- მწერალი? - ჯერუშას აზროვნების უნარი წაერთვა, მისის ლიპეტის სიტყვების გამეორების მეტი არა შეეძლო რა.

- ეს მისი სურვილია. აქედან რამე გამოვა თუ არა, მომავალი გვიჩვენებს. ჯენტლმენიფულს არ ზოგავს შენი აღზრდისათვის. ზომაზე მეტ გულუხვობას იჩენს. მე მგონია, რომ ფულის საკითხში გამოუცდელი გოგონასადმი ასეთი ხელგაშლილობა მეტისმეტია, მაგრამ ისე დაწვრილებით აქვს გეგმა შემუშავებული, რომ ჩარევა ვერ გავბედე. ზაფხულში აქ დარჩები. მის პრიჩარდმა პატივი დაგდო - შენი მოკაზმვა იკისრა. სწავლისა და კვების ფული კოლეჯს გაეგზავნება. ხელზე კი, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ვიდრე იქ იქნები, დამატებით თვეში ოცდათხუთმეტ დოლარს მიიღებ. ეს საშუალებას მოგცემს, არაფერში ჩამორჩე სხვა სტუდენტებს. ფულს მისი პირადი მდივანი გამოგიგზავნის თვეში ერთხელ და შენც თვეში ერთხელ უნდა მისწერო წერილი. მხოლოდ იცოდე, ფულისათვის მადლობას ნუ გადაუხდი, საჭიროდ არ მიაჩნია. სამაგიეროდ, დაწვრილებით შეატყობინებ შენი მეცადინეობის, წარმატებებისა და ყოველდღიური ცხოვრების ამბებს. ერთი სიტყვით, ბარათებს მისწერ ისე, როგორც მშობლებს მისწერდი, რა თქმა უნდა, ისინი ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ.

წერილებს ჯონ სმითის სახელზე დაწერ და მის მდივანს გაუგზავნი. ის ჯენტლმენი ჯონ სმითი არ არის, მაგრამ მას სურს, უცნობად დარჩეს. შენთვის ის ყოველთვის ჯონ სმითი იქნება. შენგან წერილებს იმიტომ მოითხოვს, რომ, მისი აზრით, თუ გვინდა, აზრის სხარტად და მოქნილად გამოხატვა ვისწავლოთ, წერილების წერას არაფერი ჯობს. გარდა ამისა, სურს, თვალი ადევნოს შენს განვითარებას. წერილებზე არასოდეს გიპასუხებს. ვერ იტანს წერილების წერას და არ უნდა, ტვირთად დააწვე. თუ მისგან პასუ-

ხის გაცემა იქნება აუცილებელი, მაგალითად, თუ გაგრიცხეს, რაც, იმედი მაქვს, არ მოხდება, შეგიძლია მიმართო მისტერ გრიგსს, მის მდივანს. შენგან ყოველთვიური წერილები აუცილებელია. ეს არის ერთადერთი გადასახადი, რასაც მისტერ სმითი მოითხოვს. ამიტომ წერილები ძალიან პუნქტუალურად უნდა მისწერო. ვიმედოვნებ, წერილები ყოველთვის მოკრძალებული იქნება. ამით შენ დაუმტკიცებ, რომ კარგად აღზრდილი ხარ. არ დაივიწყო, რომ ჯონ გრაიერის სახლის მეურვეს სწერ.

ჯერუშას თვალი კარისკენ მიურბოდა. თავი საშინლად უბრუოდა. ერთი სული ჰქონდა, მისის ლიპეტის გამაღიზიანებელი ლაპარაკისთვის თავი დაეღწია და თავისუფლად მისცემოდა ფიქრებს. ჯერუშა წამოდგა და ნაბიჯი გაუბედავად გადადგა უკან. მისის ლიპეტმა ხელით ანიშნა, შეჩერებულიყო. არ უნდოდა, მჭევრმეტყველების ასეთი კარგი შემთხვევა ხელიდან გაეშვა.

- ღრმად ვარ დარწმუნებული, მადლობელი ხარ იმ იშვიათი ხვედრისა, რომელიც ასე მოულოდნელად გერგო წილად. შენს მდგომარეობაში ბევრი ვერ ეღირსება ასეთ ბედნიერებას - საზოგადოებაში გამოვიდეს... ყოველთვის უნდა გახსოვდეს...

- მე... დიახ, ქალბატონო, გმადლობთ. თუ მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი, ვფიქრობ, უმჯობესია, წავიდე და ფრედი პერკინსის შარვალი დავაკერო.

ჯერუშამ კარი გაიხურა. ქადაგად დაცემულმა მისის ლიპეტმა სინანულით გააყოლა თვალი მიმავალ გოგონას. მჭევრმეტყველების დასკვნითი ნაწილი პირზე შეაშრა.

მის ჯერუშა ებოტის
წერილები
მასტერ გრძელფეხება მამილო სმითისადმი

ფერგესენ ჰოლი, 215
24 სექტემბერი

ძვირფას-კეთილ-მეურვეს-ობლებს-კოლეჯში-რომ გზავნის

აი, უკვე აქ ვარ! გუშინ ოთხი საათი ვიმგზავრე მატარებლით, რა უცნაური გრძნობაა, არა? მატარებელში აქამდე არასოდეს ვმჯდარვარ.

კოლეჯი ძალიან დიდია. თავგზა აებნევა ადამიანს. როგორც კი ჩემი ოთახიდან გამოვალ, მაშინვე გზა მეკარგება. როცა ცოტა შევეგუები აქაურობას, ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ. გაკვეთილების შესახებაც მოგიყვები. სწავლა ორშაბათ დილამდე არ იწყება, დღეს შაბათი საღამოა, ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ გაგეცნო.

ისე მიკვირს, უცნობს რომ ვწერ წერილს. საერთოდაც, მეუცნაურება წერილების წერა - ჩემს სიცოცხლეში სულ სამჯერ-ოთხჯერ თუ დამიწერია. ასე რომ, გთხოვ, ესეც გაითვალისწინო, თუ ჩემი წერილები სანიმუშო არ იქნება.

გუშინ დილით, წამოსვლის წინ, მე და ლიპეტს ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა. ჭკუა დამარიგა, თუ როგორ უნდა მოვიქცე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე და რა დიდი პატივისცემით უნდა მოვეპყრო იმ კეთილ ჯენტლმენს, რომელმაც ამოდენა ამაგი დამდო.

მაგრამ როგორ შეიძლება დიდი პატივისცემით ეპყრობოდე კაცს, რომელსაც სურს, ჯონ სმითი უწოდონ! რატომ სხვა სახელი არ დაირქვი? არ შეგეძლო, ისეთი სახელი აგერჩია, რომელიც ცოტათი მაინც გამოხატავდა შენს ინდივიდუალობას? ასე ხომ შეიძლება "ძვირფას ტელეგრაფის ბოძს" ან "ძვირფას ტანისამოსის კარადას" მისწერო წერილები.

ამ ზაფხულს შენზე ბევრი ვიფიქრე. როცა წარმოვიდგენ, რომ ვიღაც ზრუნავს ჩემზე, ყველასაგან მიტოვებულზე, ასე მგონია, ოჯახი ვიპოვე. თითქოს ახლა მეც ვინმეს ვეკუთვნი. რა სასიამოვნო გრძნობაა! ისე კი, მართალი გითხრა, როცა შენზე ვფიქრობ, წესიერად არც კი შემიძლია, წარმოგიდგინო. შენზე ვიცი მხოლოდ სამი რამ:

1. მაღალი ხარ;
2. მდიდარი ხარ;
3. გოგონები გძულს.

შეიძლებოდა შენთვის "ძვირფასი მისტერ გოგონების მოძულე" დამერქმია, მაგრამ ეს ხომ მე მომაყენებდა შეურაცხყოფას. "ძვირფასი მისტერ მდიდარი კაცი" მეწოდებინა - ეს შენ დაგამცირებდა, ვინაიდან შენი მთავარი ღირსება ფული როდია. ესეც არ იყოს, სიმდიდრე გარეგანი თვისებაა. ხომ შეიძლება, სულ მალე მდიდარი აღარ იყო. განა ცოტა ჭკვიანი კაცი გაღარიბებულა უოლსტრიტზე? სიმაღლეს კი ვერავინ წაგართმევს. ამიტომ გადავწყვიტე "ძვირფასი გრძელფეხება მამილო" დაგიძახო, იმედია, არ გეწყინება. ამაზე უფრო საალერსო სიტყვა ვერ ვიპოვე. ოღონდ, გეხვეწები, მისის ლიპეტს არ გააგებინო.

ორ წუთში, ათ საათზე, ზარი დაირეკება. ჩვენი დღე დანაწევრებულია - ზარებით. ზარის მიხედვით ვჭამთ, გვძინავს, ვმეცადინეობთ. ეს სიმარდეს გვმატებს. დოღის ცხენი მგონია თავი. ზარიც დაირეკა! სინათლეს ვაქრობ. ღამე მშვიდობისა.

გთხოვ, ყურადღება მიაქციო, რა ზუსტად ვიცავ წესებს. მეტყობა, ჯონ გრაიერის თავშესაფრის აღზრდილი რომ ვარ.

შენი უდიდესი პატივისმცემელი,

ჯერუშა ებოტი.

1 ოქტომბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

როგორ მიყვარს კოლეჯი! შენც მიყვარხარ, აქ რომ გამომგზავნე. ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. ისე ვარ აღგზნებული, რომ ღამე ვერც კი ვიძინებ. ვერ წარმოიდგენ, რა დიდი განსხვავებაა კოლეჯსა და ჯონ გრაიერის თავშესაფარს შორის. ალბათ, არც კი დამესიზმრებოდა, ასეთი ლამაზი ადგილი თუ არსებობდა ქვეყნად. ყველა მეცოდება, ვინც გოგონა არ არის და აქ ვერ მოხვდება. დარწმუნებული ვარ, ის კოლეჯი, სადაც შენ სწავლობდი, არ იქნებოდა ასეთი შესანიშნავი.

ჩემი ოთახი სულ მაღლა, კოშკშია მოთავსებული. სანამ ახალ საავადმყოფოს ააშენებდნენ, ეს ოთახი, თურმე, გადამდები სენით დაავადებულთა პალატის მაგივრობას სწევდა. ამავე სართულზე ჩემ გარდა კიდევ სამი გოგონაა. ერთი ბოლოკურსელია (სათვალეს ხმარობს და სულ იმას გვეხვეწება, ცოტა წყნარად იყავითო), ორნი - პირველკურსელები არიან: სელი მაკბრაიდი და ჯულია რატლეჯ პენდლტონი. სელის წითელი თმა და აპრეხილი ცხვირი აქვს. ძალიან მეგობრული გოგოა. ჯულია ნიუ-იორკის ცნობილი ოჯახიდანაა და მე ზედაც არ მიყურებს. ისინი ერთ ოთახში ცხოვრობენ, მე და იმ ბოლოკურსელს კი ცალ-ცალკე ოთახები გვაქვს. საერთოდ, პირველკურსელს ცალკე ოთახს არ აძლევენ, ძალიან იშვიათად, რომ ვინმეს მისცენ, მე კი მომცეს. არც მითხოვია. ვფიქრობ, რეგისტრატორმა უხერხულად ჩათვალა, კარგად აღზრდილი გოგონა უსახლკაროს გვერდით მოეთავსებინა. ხედავ, რა უპირატესობა მქონია! ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ჩემი ოთახი კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია მოთავსებული და ორი ფანჯარა აქვს, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება. ვისაც ჩემსავით თვრამეტი წელი ოც გოგონასთან ერთად ოთახში უცხოვრია, იმისათვის სიმარტოვე შვებაა. პირველად მომეცა შემთხვევა, ახლო გავეცნო ჯერუშა ებოტს. ვფიქრობ, მომეწონება. შენ კი არ მოგეწონებოდა?

სამშაბათი

პირველკურსელებისაგან კალათბურთის გუნდს აყალიბებენ. იმედია, გუნდში მეც მოვხვდები. მართალია, ჩემთვის სიმაღლე არ მოუცია ღმერთს, მაგრამ არაჩვეულებრივად სწრაფი, ამტანი და მაგარი ვარ. სანამ სხვები ჰაერში დახტიან, ამ დროს ფეხებში ვუძვრები მათ და ბურთს ვტაცებ. უსაზღვრო სიამოვნებაავარჯიში სპორტულ მოედანზე, შუადღისას, როცა ხეები წითელ-ყვითლადაა შეფერილი, ჰაერში დამწვარი ფოთლების სურნელი ტრიალებს და ირგვლივ მოთამაშეთა კისკისი და შეძახილები ისმის. ასეთი ბედნიერი გოგონები ჯერ არსად მინახავს, მაგრამ ჩემზე ბედნიერი მაინც არავინაა.

გრძელი წერილის მოწერას ვაპირებდი. სწავლის შესახებ უნდა მომეწერა (მისის ლიპეტმა გამაფრთხილა, რომ გაინტერესებს), მაგრამ საათმა შვიდჯერ დაჰკრა და ათ წუთში მოედანზე უნდა ვიყო, სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი.

როგორ გგონია, მქონდეს გუნდში მოხვედრის იმედი?

მარად შენი

ჯერუშა ებოტი.

P. S. (9 საათი).

სელი მაკბრაიდმა, ეს წუთია, თავი შემოყო ჩემს ოთახში და იცი, რა მითხრა? "ისე ვდარდობ სახლზე, ლამის გავგიჟდე. შენც ასე ხარ?" ოდნავ გამეღიმა და ვუპასუხე, არა-მეთქი. გულში კი გავიფიქრე, როგორმე გავძლებ-მეთქი. სხვა თუ არაფერი, ოჯახზე დარდისაგან მაინც ვარ დაზღვეული. ეს ისეთი სენია, რომელიც მე ვერ მომეკარება! არასოდეს გამიგონია, ვინმეს თავშესაფარი მონატრებოდეს.

შენ გაგიგონია?

10 ოქტომბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ოდესმე თუ გსმენია რამე მიქელანჯელოზე? ცნობილი მხატვარი იყო. იტალიაში ცხოვრობდა შუა საუკუნეებში. ინგლისურის გაკვეთილზე ახსენეს. ყველამ იცოდა, ჩემ გარდა. მთელი კლასი ახარხარდა, მე რომ მიქელ-გაბრიელში ავურიე. ხომ მიქელ-გაბრიელივით ჟღერს? კოლეჯში ეს უბედურება მჭირს. ისეთი რამეების ცოდნას მთხოვენ, რაც არსად მისწავლია. ეს ზოგჯერ საქმეს მიჭირებს ხოლმე. მაგრამ ახლა ჭკუა ვისწავლე. როცა ჩემთვის უცნობ საგანს ახსენებენ, კრინტს არ ვძრავ და მერე ენციკლოპედიაში ვიქექები.

პირველ დღეს კი დიდი შეცდომა დავუშვი. ვიღაცამ მორის მეტერლინკი ახსენა და ვიკითხე, ახალი მოწაფეა-მეთქი? ეს ამბავი ანეკდოტივით მოედო მთელ კოლეჯს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯგუფში არავის ჩამოვრჩები სწავლაში. ზოგიერთს კიდევაც ვჯობნი.

გაინტერესებს, ოთახი როგორ მოვაწყვე? ყავისფერისა და ყვითლის სიმფონიაა. კედლები მუქ ყვითლად იყო შეღებილი და მეც ყვითელი ბამბის ქსოვილის ფარდები და ბალიშები ვიყიდე. კიდევ შევიძინე წითელი ხის მაგიდა (ნახმარი, სამ დოლარად), ბამბუკის სკამი და ყავისფერი ხალიჩა, რომელსაც შუაგულში მელნის ლაქა აქვს. ამ ლაქაზე სკამსა ვდგამ ხოლმე.

ფანჯრები მაღლაა. სკამზე მჯდარი ვერ გაიხედავ. კამოდს სარკე მოვხსენი, მაუდი გადავაკარი და ფანჯარასთან მივაჩოჩე. ზუსტად კარგი სიმაღლისაა, ფანჯრის რაფას უსწორდება. გამოვწევ ხოლმე უჯრებს და როგორც კიბეებზე, ისე ავდივარ. ძალიან მოსახერხებელია!

ბოლოკურსელთა აუქციონზე ნივთებს რომ ვყიდულობდი, სელი მაკბრაიდი დამეხმარა. მთელი სიცოცხლე საკუთარ სახლში აქვს გატარებული და ოთახის მოწყობა გაუჭირდება? ვერ წარმოიდგენ, ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც თავის დღეში რამდენიმე ცენტის მეტი ჯიბეში არაფერი სდებია, რა სახალისოა ყიდვა, ნამდვილი ხუთდოლარიანის გადახდა და ხურდის გამორთმევა. გარწმუნებ, ძვირფასო მამილო, მე ვიცი შენი გამოგზავნილი ფულის ყადრი!

სელისთანა მხიარული გოგონა მსოფლიოში არ მეგულება. ჯულია პენდლტონი კი დიდი ბაიყუში ვინმეა. უცნაურია, რეგისტატორმა როგორ მოახერხა ერთ ოთახში საცხოვრებლად ასეთი განსხვავებული ხასიათების შერჩევა. სელის ყველაფერი ამხიარულებს, ჯულიას კი სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირის. ოდნავადაც არ ცდილობს, მოსიყვარულე იყოს. დარწმუნებულია, რაკი პენდლტონია, ყოველგვარი სიკეთის დათესვის გარეშე სამოთხეში მოხვდება. ჯულია და მე მტრებად ვართ დაბადებულნი.

ახლა კი, ალბათ, მოუთმენლად ელი, გაიგო - რას ვსწავლობთ:

1. ლათინური: მეორე პუნიკური ომი. ჰანიბალი და მისი რაზმელები გუშინ საღამოს ტრაზიმენუსის ტბასთან დაბანაკდნენ, რომაელებს ჩაუსაფრდნენ და ბრძოლა დაიწყო ამ დილით, მეოთხე გაკვეთილზე. რომაელებმა უკან დაიხიეს.

2. ფრანგული: 24 გვერდი "სამი მუშკეტერიდან" და არაწესიერი ზმნები, მესამე უღლება.

3. გეომეტრია: ცილინდრები დავამთავრეთ, ახლა კონუსებზე გადავდივართ.

4. ინგლისური: ვწერთ თხზულებებს. ჩემი სტილი დღითი დღე უმჯობესდება, უფრო და უფრო ნათელი ხდება და იხვეწება.

5. ფიზიოლოგია: მომნელებელ სისტემას მივაღწიეთ. გადავდივართ ნაღვლის ბუშტსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე. როგორც ხედავ, განათლებაში უკვე შედგმული მაქვს ფეხი.

ჯერუშა ებოტი.

P. S. იმედია, ალკოჰოლს არ ეკარები, მამილო! ძალიან მავნებელია ღვიძლისათვის.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

სახელი გამოვიცვალე. სიაში ისევ "ჯერუშა" ვარ, მაგრამ ისე ყველანი "ჯუდის" მეძახიან. ხომ ძალიან ცუდია, საალერსო სახელს თვითონ რომ ირქმევ?! თუმცა "ჯუდი" მე არ გამომიგონია, ფრედი პერკინსი მეძახდა ასე, სანამ ენას უკიდებდა. ნეტა მისის ლიპეტი ბავშვებისათვის ცოტა უკეთ არჩევდეს სახელებს. გვარს ტელეფონების წიგნიდან იღებს - ებოტს პირველ გვერდზე იხილავთ, ხოლო სახელს - საიდანაც მოხვდება, იქიდან არჩევს. "ჯერუშა" საფლავის ქვაზე ამოიკითხა. ყოველთვის მძულდა ჩემი სახელი. "ჯუდის" შედარებით არა უშავს. რაღაცნაირი სულელური სახელია. ჩემისთანა გოგოს შესაფერისი არ არის. ეს უფრო ნაზ, ცისფერთვალება გოგონას მოუხდებოდა, ოჯახისაგან განებივრებულს, რომელიც ცხოვრების გზას უზრუნველად მიჰყვება. კარგი იქნებოდა, ასეთი ვყოფილიყავი! ნაკლი რაც უნდა ბევრი მქონდეს, ოჯახისაგან განებივრებას ვერავინ დამწამებს. ისე კი, თავის მოკატუნება ძალზე მიმზიდველი რამეა. ამის შემდეგ, გთხოვ, ჯუდი დამიძახო.

გინდა, ახალი ამბავი გითხრა?

სამი წყვილი ლაიკის ხელთათმანი ვიყიდე. ლაიკის თათმანი, მართალია, ადრეც მქონდა - საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე საჩუქრად მივიღე, მაგრამ ნამდვილი, ხუთთითიანი ხელთათმანი პირველად მაქვს. სახლში წამდაუწუმ ვიცვამ; ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ სულმა არ წამძლიოს და გაკვეთილებზე არ ჩავიცვა.

(სადილის ზარია. მშვიდობით).

წარმოგიდგენია, მამილო? ინგლისურის მასწავლებელმა მითხრა, შენს ბოლო ნაწერში ჩანს, რა მნიშვნელოვნად გაზრდილა შენი წერის თავისებურებაო. ღმერთმანი, მართალს გეუბნები. ზუსტად ასე თქვა. რა თქმა უნდა, დაუჯერებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩემი თვრამეტი წლის წვრთნას. ჯონ გრაიერის თავშესაფრის მიზანი ხომ ის არის (რაც შენ შესანიშნავად იცი და რასაც, უეჭველია, იწონებ კიდეც), ოთხმოცდაჩვიდმეტი ობოლი ოთხმოცდაჩვიდმეტ ტყუპის ცალად აქციოს.

ხატვის ასეთი ბრწყინვალე ნიჭი, რასაც ახლა ვამჟღავნებ, ადრევე განმივითარდა, როცა ფარდულის კარზე ცარცით მისის ლიპეტის პორტრეტს ვხატავდი ხოლმე.

იმედი მაქვს, შენს გრძნობებს არ შეურაცხვყოფ, ჩემს ყრმობის სამყოფელს რომ ვაკრიტიკებ. ძალა შენს ხელთაა. თუ მეტისმეტად გავთავხედდი, შეგიძლია, ფულის გამოგზავნა შემიწყვიტო. მართალია, ასეთი ლაპარაკი ვერაფერი ზრდილობაა, მაგრამ ჩემგან მეტს არც უნდა მოელოდე. უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი კეთილშობილ ქალთა პანსიონი არ გეგონოს.

იცი, მამილო, კოლეჯში ჩემთვის სწავლა კი არ არის ძნელი, არამედ - დასვენება. თითქმის არ მესმის, რაზე ლაპარაკობენ გოგონები. მათი ხუმრობა დაკავშირებულია წარსულთან, რომელსაც ჩემ გარდა ყველა ეზიარა. მე კი უცხო ვარ ამ სამყაროში, მათი ენა ჩემთვის გაუგებარია. ეს საშინელი გრძნობა მთელი სიცოცხლე თან მდევს. როცა სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, გოგონები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გაკვირვებული შემომცქეროდნენ, ისე განვსხვავდებოდი მათგან. თითქოს შუბლზე მეწერა: "ჯონ გრაიერის სახლი". ზოგჯერ რომელიმე გულმოწყალე ბავშვი მო-

მიახლოვდებოდა და ორიოდ სასიამოვნო სიტყვას გაიმეტებდა ჩემთვის. ყველანი მძულდნენ და უფრო მეტად - მოწყალენი.

აქ არავინ იცის, რომ უპატრონოთა სახლში ვარ გაზრდილი. სელი მაკბრაიდს ვუთხარი, მშობლები დამეხოცა და ერთმა კეთილმა მოხუცმა ჯენტლმენმა კოლეჯში გამომგზავნა-მეთქი. თუმცა, ეს არც ისე შორსაა სიმართლისაგან.

არ მინდა, მხდალად ჩამთვალო, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, დანარჩენ გოგონებს ვგავდე. ის საშინელი სახლი, ჩემს ბავშვობას მაჯლაჯუნასავით რომ დასდგომია თავს, ჩვენ შორის დიდ განსხვავებას ქმნის. ნეტავ შემეძლოს, ზურგი შევაქციო წარსულს, ჩემი მეხსიერებიდან ამოვშალო. მაშინ, ვგონებ, მეც ჩვეულებრივი გოგო ვიქნებოდი. არა მგონია, სხვა რამ უფრო დიდი განსხვავება იყოს ჩვენ შორის. შენ როგორ ფიქრობ?

ყოველ შემთხვევაში, სელი მაკბრაიდს მე ძალიან ვუყვარვარ!

მარად შენი ჯუდი ებოტი

(ყოფილი ჯერუშა)

შაბათი, დილა

სწორედ ახლა წერილი გადავიკითხე და ძალიან მოსაწყენი მომეჩვენა. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ორშაბათისათვის თემა მაქვს მოსამზადებელი, ხოლო გეომეტრიაში განვლილი მასალა უნდა გავიმეორო? თან ეს ოხერი სურდოც რომ გადამეკიდა?

კვირა

გუშინ დამავიწყდა წერილის გამოგზავნა. ამიტომ მინდა, აღ-მაშფოთებელი პოსტსკრიპტუმი მივაწერო. ამ დილით ეპისკოპო-სი იყო ჩვენთან და იცი, რა გვითხრა?

- ყველაზე სასიკეთო რჩევა, რომელსაც ბიბლია გვაწვდის, შემდეგია: "რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, უკეთუ გინდეს, ძალ-გიძს კეთილისყოფად მათდა". ისინი იმისათვის არიან გაჩენილნი, ჩვენ მოწყალენი გაგვხადონო.

დაუკვირდი! ღარიბები, თურმე სასარგებლო შინაური ცხოვე-ლები ყოფილან. მე რომ კეთილშობილ ქალად არ აღგეზარდე, ვიცოდი, რასაც მოვახსენებდი იმ შენს ეპისკოპოსს წირვის შემ-დეგ.

25 ოქტომბერი

ძვიფასო გრძელფეხება მამილო!

კალათბურთის გუნდში ჩამრიცხეს. უნდა ნახო, მარცხენა მხარი როგორა მაქვს დალილავებული. მოწითალო-მოლურჯო ფერისაა, ნარინჯისფერიც დაჰკრავს. ჯულია პენდლტონი ძალიან ცდილობდა, მაგრამ გუნდში ვერ მოხვდა. ვაშაა!

ხედავ, რა მდაბალი აზრები მიტრიალებს თავში?

კოლეჯი სულ უფრო და უფრო მშვენიერდება. გოგონებიც მიყვარს, მასწავლებლებიც, მეცადინეობაც, და აქაური საჭმელებიც. კვირაში ორჯერ ნაყინს მივირთმევთ. ფაფას არასოდეს არ გვაჭმევენ.

თვეში ერთხელ მოელოდი ჩემგან ხმის მოწვდენას, არა? მე კი ამდენი წერილი ერთბაშად მოგაყარე. ახალ-ახალმა შთაბეჭდილებებმა ისე ამაფორიაქა, რომ არ შემეძლო, ვინმესთვის არ გამეზიარებინა. შენს მეტი კი არავინა მყავს. მაპატიე, ზომიერების გრძნობა რომ არა მაქვს. ნუ შეგეშინდება, მალე დავდინჯდები. თუ ჩემი წერილები თავს მოგაბეზრებს, ყოველთვის შეგიძლია, ქაღალდების კალათაში გადაუძახო. გპირდები, წერილს ნოემბრის შუა რიცხვებამდე აღარ მოგწერ.

შენი გამოუსწორებელი ყბედი

ჯუდი ებოტი

15 ნოემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

მომისმინე, დღეს რა ვისწავლე: წესიერი წაკვეთილი პირამიდის გვერდითი წახნაგი უდრის მისი ორივე ფუძის პერიმეტრების ჯამისა და აპოთემის ნამრავლის ნახევარს.

დამაჯერებლადარ ჟღერს, მაგრამ ასეა, შემიძლია დაგიმტკიცო!

ჩემი ტანისამოსის შესახებ არაფერი იცი, არა, მამილო? ექვსი კაბა მაქვს, ახალი და ლამაზი. სხვისი გამონაცვალი კი არა, საგანგებოდ ჩემთვის ნაყიდი. იქნებ ვერც ხვდები, ობლისათვის ეს რა დიდი მიღწევაა. კაბები შენი ნაჩუქარია და ამისათვის ძალიან, ძალიან, ძალიან დიდი მადლობა. სწავლა-განათლება ხომ კარგია, მაგრამ რა შეედრება ექვსი ახალი კაბის შეძენის თავბრუდამხვევ განცდას? მადლობა უფალს, სამოსი მის პრიჩარდმა ამირჩია და არა მისის ლიპეტმა. საღამოს კაბა, აბრეშუმის, ვარდისფერი მუსლინით გაწყობილი (პირდაპირ მხატავს), ეკლესიაში ჩასაცმელი კაბა, ლურჯი ფერის და სადილზე რომ ვიცვამ - წითელი ვუალის, აღმოსავლურ ყაიდაზე დაქარგული (ამაში ბოშა ქალს ვგავარ). კიდევ ერთი - ვარდისფერი შალისა; საგარეოდ - ნაცრისფერი კოსტიუმი მაქვს და ერთიც - საყოველდღეო, გაკვეთილებზე რომ ჩავიცვა ხოლმე. ჯულია რატლეჯ პენდლტონისათვის ეს, ალბათ, ბევრი არ არის, ჯერუშა ებოტისათვის კი... ოჰ, ღმერთო!

წარმომიდგენია, ალბათ, ფიქრობ, რა ქარაფშუტა, ტუტუცი გოგოა და ფულის რა ამაო ფანტვაა გოგონას აღზრდაო!

მაგრამ, მამილო, მთელი სიცოცხლე ჩემსავით ჩითის კუბოკრულ კაბაში რომ გაგეტარებინა, მაშინ მიხვდებოდი, რაც ჩემს გულში ხდება.

როცა სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, სხვა პერიოდიც გავიარე, ჩითის კუბოკრულ კაბაზე უარესი. ღარიბთა ყუთი.1(ამ ყუთში იყო მდიდარი ქალების გამოგზავნილი, მათი შვილების გა - მონაცვალი ტანისამოსი (აქ და შემდეგ მთარგმნელის შენიშვნებია).

ვერ წარმოიდგენ, რა შეშინებული გამოვჩნდებოდი ხოლმე სოფლის სკოლაში იმ საცოდავ ღარიბთა ყუთიდან ნაბოძებ კაბებში. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, გვერდით მეჯდა კაბის პატრონი და ამხანაგებს ეჩურჩულებოდა, ჩემკენ ახედებდა და ხითხითებდა. ბოღმა გახრჩობს, მტრის გამონაცვალი კაბა რომ გაცვია. მთელი სიცოცხლე სულ აბრეშუმის წინდებში რომ გავატარო, არა მგონია, მაშინდელი ჭრილობები მომიშუშდეს.

უკანასკნელი ბრძოლის ბიულეტენი!

ახალი ამბები ბრძოლის ველიდან

13 ნოემბერს, ხუთშაბთს, მეოთხე გაკვეთილზე, ჰანიბალმა გაანადგურა რომაელების მოწინავე რაზმი და კართაგენელთა ჯარი მთების იქით, კაზინუმის ვაკეზე გადაიყვანა. ნუმიდიელთა კოჰორტა შეება კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსის ფეხოსნებს. ორი ბრძოლისა და ერთი პატარა შეტაკების შემდეგ რომაელებმა დიდი ზარალით უკან დაიხიეს.

მაქვს პატივი, თქვენი სპეციალური
კორესპონდენტი გახლდეთ ფრონტიდან.

ჯ. ებოტი

P. S. ვიცი, რომ შენგან პასუხს არ უნდა ველოდე. გამაფრთხილეს, თავი არ მოგაბეზრო კითხვებით. მარტო ერთი რამ მითხარი, მამილო: ძალიან ბებერი ხარ თუ არც ისე? ანდა, მთლად მელოტი ხარ თუ ოდნავ შემელოტებული? ძალიან მიჭირს შენზე ფიქრი აბსტრაქტულად, გეომეტრიული თეორემის მსგავსად.

მოცემულია ერთი მაღალი, მდიდარი კაცი, რომელსაც სძულს გოგონები, მაგრამ კეთილშობილებას იჩენს ერთი თავხედი გოგოს მიმართ. ისმის კითხვა: როგორ გამოიყურება იგი?

R.S.V.P.[2]

[2] R é pondez, s ’ il vous plait - მიპასუხეთ, გეთაყვა.(ფრანგ.)

19 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

მაინც არ მიპასუხე კითხვაზე. კითხვა კი მეტად მნიშვნელოვანი იყო.

მ ე ლ ო ტ ი ხ ა რ?

როგორიც ხარ, ზუსტად ისეთი დაგხატე, მხოლოდ არ ვიცი, თავს რა მოვუხერხო. ვერ გადამიწყვეტია, შავთმიანი დაგხატო, შეჭაღარავებული, თუ სულ უთმო.

აი, შენი პორტრეტი.

მაგრამ არ ვიცი, თმა მივუმატო, თუ არა!

გინდა გითხრა, რა ფერის თვალები გაქვს? ნაცრისფერი. წარბები კი კართანას სახურავივით გაქვს წინ წამოწეული (რომანებში ჩამობურდულ წარბებს რომ უწოდებენ ხოლმე.). სწორი ხაზი რომ არის გავლებული, კუთხეებში ოდნავ დაბლა დაშვებული, ეს შენი პირია.

ისიც ვიცი, როგორი ხასიათი გაქვს. ენერგიული მოხუცი ბრძანდები, ჯიუტი და მტკიცე.

(ეკლესიის ზარია).

საღამოს 9 სთ. 45 წთ.

გადავწყვიტე, ჩემთვის კანონად ვაქციო: არასოდეს, არასოდეს არ ვიმეცადინო ღამღამობით, რაც უნდა ბევრი საწერი მელოდებოდეს დილით. სამაგიეროდ, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, წიგნებს, რომლებიც აქამდე უნდა წამეკითხა. თვი-

თონვე იცი, სხვა გზა არ მაქვს, თვრამეტი წლით ვარ ჩამორჩენილი. არ დაიჯერებ, მამილო, რა უცოდინარობის უფსკრულია ჩემი გონება. ახლა ვგრძნობ მის სიღრმეს. ბევრი რამ, რაც არც კი გამიგონია, გოგონათა უმრავლესობას ბავშვობიდანვე შეთვისებული და შესისხლხორცებული აქვს მშობლებისაგან, მეგობრებისაგან, ბიბლიოთეკებიდან.

მე, მაგალითად, წაკითხული არ მაქვს "დედა ბატი", არც "დავით კოპერფილდი", არც "აივენჰო", არც "კონკია", არც "ლურჯწვერება", არც "რობინზონ კრუზო", არც "ჯეინ ეარი", არც "ალისა სასწაულების ქვეყანაში", არაფერი მსმენია რედიარდ კიპლინგზე. არ ვიცოდი, რომ ჰენრი მერვეს ბევრი ცოლი ჰყავდა, არც ის, რომ შელი პოეტი იყო; არ ვიცოდი, რომ ადამიანის წინაპარი მაიმუნია, რომ ედემის ბაღი მხოლოდ მითია. არ ვიცოდი, რომ რ. ლ. ს. ნიშნავდა რობერტ ლუის სტივენსონს. არც ის, რომ ჯორჯ ელიოტი ქალი იყო. არასოდეს მენახა ნახატი "მონა ლიზა" და (ვიცი, არ დაიჯერებ) არასოდეს გამეგონა შერლოკ ჰოლმსის სახელი.

ახლა ყველაფერი ეს ვიცი და ბევრი სხვაც. მაგრამ ეს ჯერ კიდევ რაა იმასთან შედარებით, რაც ასათვისებელი მაქვს. კაცმა რომ თქვას, კარგი თავშესაქცევი კია კითხვა. მოუთმენლად ველი ხოლმე საღამოს. კარზე მივაკრავ წარწერას: "დაკავებული ვარ", ჩავიცვამ ჩემს ლამაზ, აბანოს წითელ ხალათს, ბეწვიან საშინაო ფეხსაცმელს, მოვიკალათებ ტახტზე, ზურგს უკან ბალიშებს ამოვიწყობ, ავანთებ მაგიდის ნათურას და ვკითხულობ, ვკითხულობ, ვკითხულობ გაუთავებლად. ერთი წიგნი არ მყოფნის. ერთბაშად ოთხს ვიწყებ. ამჯერად ვკითხულობ: ტენისონის ლექსებს, "ამაოების ბაზარს" და კიპლინგის საბავშვო მოთხრობებს. კიდევ, არ

გაგეცინოს, "პატარა დედაკაცებს".[3] აღმოჩნდა, რომ კოლეჯში ერთადერთი გოგო ვარ, რომელიც "პატარა დედაკაცებზე" არ აღ-ზრდილა. ეს მე არავისთვის გამიმხელია (უცნაურად მომნათლავ-დნენ). ავდექი და ჩემი ჯიბის ფულით ერთ დოლარად და თორმეტ ცენტად ვიყიდე "პატარა დედაკაცები". ახლა თუ ვინმე ახსენებს ლიმონის მწნილს, მეცოდინება, რაზეა ლაპარაკი!

(ათი საათის ზარია. ამ წერილის წერას ზარი წამდაუწუმ მაწ-ყვეტინებს).

[3] მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერლის ლუიზა ოლკოტის რომანი. ავტობიოგ-რაფიულ რომანში "პატარა დედაკაცები" ასახულია ოთხი დის ბავშვობა და ახალგაზრდობა, მათი მეგობრობა, სწავლა და პირველი გატაცება.

შაბათი

სერ!

მაქვს პატივი, მოგახსენოთ ახალ გამოკვლევებზე გეომეტრიის სფეროში. გასულ პარასკევს მივატოვეთ წინანდელი შრომები პარალელეპიპედებზე და გადავედით წაკვეთილ პრიზმებზე.

მივყვებით ძნელსა და ეკლიან გზას.

კვირა

საშობაო არდადეგები მომავალი კვირიდან დაიწყება. ჩემოდნები ყველას მზად აქვს. დერეფნები ისეა გაჭედილი, ვერ გაივლი. მღელვარებამ ისე ამოგვაგდო კალაპოტიდან, რომ სწავლას გულს ვეღარ ვუდებთ. მეც ვაპირებ, არდადეგები ლამაზად გავატარო. აქ ერთი ტეხასელი გოგოა. ისიც ჩემსავით, კოლეჯში რჩება. ერთად ვივლით ექსკურსიებზე. თუ ყინვები დაიჭირა, ციგურებით სრიალს ვისწავლით. გარდა ამისა, ქვეყნის წიგნები მაქვს წასაკითხი. სამ თავისუფალ კვირას კითხვას მოვანდომებ.

მშვიდობით, მამილო. ვფიქრობ, შენც ჩემსავით ბედნიერი ხარ.

მარად შენი

ჯუდი

P.S. არ დაგავიწყდეს მიპასუხო კითხვაზე. თუ არ გინდა, წერით თავი შეიწუხო, მდივანს გამოაგზავნინე დეპეშა. შეუძლია, ასე მიპასუხოს:

"მისტერ სმითი სრულიად მელოტია."

ან:

"მისტერ სმითი არ არის მელოტი."

ან:

"მისტერ სმითს აქვს თეთრი თმა."

ამისათვის შეგიძლია, ოცდახუთი ცენტი დამიქვითო ჯიბის ფულიდან.

გემშვიდობები იანვრამდე. ბედნიერ შობას გისურვებ!

საშობაო არდადეგების ბოლო დღეები, ზუსტი თარიღი უცნობია

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ხომ არ თოვს იქ, სადაც ამჟამად იმყოფები? ჩვენთან სადამდეც ჩემი კოშკიდან თვალი მიმიწვდება, ყველაფერი თეთრ სუდარაშია გახვეული. ფიფქები ბატიბუტივით ცვივა. დღე იწურება. ცივი, ყვითელი მზე კიდევ უფრო ცივ იისფერ გორაკებს ეფარება. მე კი ფანჯრის რაფაზე ვზივარ და მზის უკანასკნელ სხივებს ვეშურები. მინდა, წერილის დაწერა მოვასწრო.

შენი გამოგზავნილი ხუთი ოქროს ფული ჩემთვის სიურპრიზი იყო! დაჩვეული არა ვარ საშობაო საჩუქრებს. შენ ისედაც ბევრი რამ მომეცი - თითქმის ყველაფერი. არა მგონია, კიდევ საჩუქრებს ვიმსახურებდე. ისე კი, რაღა დაგიმალო, ძალიან მიხარია. გინდა, გაიგო, ამ ფულით რა ვიყიდე?

1. ტყავისსამაჯურიანი ვერცხლის საათი, ხელზე რომ მეკეთოს და გაკვეთილებზე არ დამაგვიანდეს;
2. მეთიუ არნოლდის ლექსები;
3. სათბურა;
4. პლედი (ჩემს კოშკში ცივა);
5. ხუთასი ფურცელი ყვითელი საწერი ქაღალდი (სულ მალე მწერალი უნდა გავხდე);
6. სინონიმთა ლექსიკონი (მწერლისათვის საჭიროა, ლექსიკა გაიმდიდროს);

7. (ბოლო პუნქტი მინდოდა, საიდუმლოდ შემენახა, მაგრამ ვალდებული ვარ, გითხრა) ერთი წყვილი აბრეშუმის წინდა.

ამის შემდეგ ვეღარ მისაყვედურებ, ყველაფერს არ მწერო. თუ გინდა, იცოდე, წინდები ძალიან მდაბალმა ზრახვებმა მაყიდინა. ჯულია პენდლტონი ჩემთან დადის გეომეტრიაში სამეცადინოდ. ტახტზე ფეხს მოირთხამს და აბრეშუმის წინდებს გამოაჩენს ხოლმე. დამაცადოს! დამთავრდეს არდადეგები! ახლა მე თავად შევალ მასთან აბრეშუმის წინდებით და ტახტზე მოვიკალათებ. ხომ ხედავ, მამილო, რა საცოდავი არსება ვარ! მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გულწრფელი ხომ მაინც ვარ. თანაც უპატრონოთა სახლის საბუთებიდან შენ უკვე იცი, რომ სრულყოფილი არ ვარ. ხომ ასეა?

რეზიუმე (ჩვენი ინგლისური ენის მასწავლებლის საყვარელი სიტყვაა, თითქმის ყოველ წინადადებას ამ სიტყვით იწყებს) ასეთი იქნება: მადლობელი ვარ შვიდი საჩუქრისათვის. თავს ვიტყუებ, ვითომ საჩუქრები ჩემი ოჯახიდან, კალიფორნიიდან მომივიდა ყუთით. საათი - მამისაგან, პლედი - დედისაგან, სათბურა - დიდედასაგან, რომელიც მუდამ წუხს, რომ ასეთ ამინდში შეიძლება ადვილად გავცივდე. ყვითელი საწერი ქაღალდი - ჩემი ძმის - ჰარისაგან, ჩემმა დამ - იზაბელამ აბრეშუმის წინდები მაჩუქა; დეიდა სუსანამ მეთიუ არნოლდის ლექსები გამომიგზავნა. ბიძია ჰარიმ (პატარა ძმას ჰარი მის პატივსაცემად დაარქვეს) ლექსიკონი მომართვა; შოკოლადის გამოგზავნაუნდოდა, მაგრამ მე ლექსიკონი ვთხოვე.

საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს, მთელი ოჯახის როლი შეასრულო?

ახლა კი არდადეგების შესახებ მოგიყვები, თუ მხოლოდ ჩემი სწავლა-განათლება გაინტერესებს, როგორც ასეთი? იმედი მაქვს, აფასებ ნატიფ გამოთქმას - "როგორც ასეთი". ამ ბოლო ხანებში მიემატა ჩემს ლექსიკას.

ტეხასელ გოგონას ლეონორა ჰქვია (თითქმის ისეთივე სასაცილო სახელია, როგორიც ჯერუშა, არა?). მიყვარს, მაგრამ მთლად ისე არა, როგორც სელი მაკბრაიდი. სელისნაირად, შენ გარდა, არავინ მეყვარება. შენ ყოველთვის ყველაზე მეტად მეყვარები, იმიტომ, რომ შენშია გაერთიანებული მთელი ჩემი ოჯახი.

სანამ კარგი დარი იდგა, მე და ლეონორამ ორ მეორეკურსელ გოგონასთან ერთად აქაურობა ფეხით შემოვიარეთ და ახლომახლო მიდამოები გულდასმით შევისწავლეთ. გვეცვა მოკლე ქვედატანები, ნაქსოვი ჟაკეტები, გვეხურა ქუდები და ჯოხებით ვიყავით შეიარაღებულნი. ერთხელ ქალაქსაც ვეწვიეთ - ოთხი მილითაა დაშორებული ჩვენგან. რესტორანში შევისვენეთ, სადაც სტუდენტი გოგონები სადილობენ ხოლმე. მოხარშული ასთაკვი (35 ცენტი) მივირთვით, დესერტად წიწიბურას ნამცხვარი და ნეკერჩხლის ავშარაჯი (15 ცენტი) დავაყოლეთ. ნოყიერია, თანაც იაფი.

ბევრი ვიმხიარულეთ! განსაკუთრებით მე, იმიტომ, რომ საოცრად დიდი განსხვავებაა აქაურობასა და უპატრონოთა თავშესაფარს შორის. ყოველთვის, როგორც კი კოლეჯს გავცდები, თავი გაქცეული პატიმარი მგონია. ეს ოხერი, გაფიქრება და წამოყრანტალება ერთია ჩემთვის. კინაღამ მოვხსენი გუდას პირი, მაგრამ დროზე მოვეგე გონს და ენას კბილი დავაჭირე. ძალიან მიჭირს - რამე ვიცოდე და სხვას არ გავუზიარო. საერთოდ, ძალიან მიმნდობი ბუნება მქავს. შენ რომ არ მყავდე და ვერავის ვუზიარებდე ჩემს აზრებს, ხომ გავგიჟდებოდი.

გასულ პარასკევს ფერგესენის კოლეჯის მნე ქალმა არდადეგებზე კოლეჯში დარჩენილთათვის შეჯიბრება მოაწყო კარამელის დამზადებაში. პირველკურსელები, მესამეკურსელები და მეოთხეკურსელები (დიდიან-პატარიანად ოცდაორნი ვიყავით) ერთ შეხმატკბილებულ აკორდად ვიქეცით. ფერგესენის კოლეჯს

დიდი სამზარეულო აქვს. ქვით ნაშენებ კედელზე სპილენძის ქვაბები და ჩაიდნებია ჩამოკიდებული. მათ შორის ყველაზე პატარა ქვაბი სარეცხის ქვაბის ხელაა. ფერგესენში ოთხასი გოგონა ცხოვრობს. თეთრქუდიანმა და თეთრწინსაფრიანმა შეფმზარეულმა თეთრი ქუდები და წინსაფრები დაგვირიგა (ნეტავ, სად იშოვა ამდენი) და ჩვენც მზარეულებად ვიქეცით.

ძალიან კარგი დრო გავატარეთ, თუმცა, კარამელი უკეთესიც მინახავს. ბოლოს და ბოლოს, კარამელი რომ დამზადდა, მთელი სამზარეულო და კარის სახელურები გატკბილულ-გაწებილი დავტოვეთ და საზეიმო სვლა მოვაწყვეთ ცარიელ დერეფანში. მზარეულის ქუდებსა და წინსაფრებში გამოწყობილები უზარმაზარი კოვზებით, ჩანგლებითა და ტაფებით ხელში პირდაპირ საპროფესოროსაკენ გავემართეთ, სადაც ექვსიოდე პროფესორ-მასწავლებელი მშვიდად ატარებდა საღამოს. კოლეჯის სერენადებით შევაქციეთ ისინი და ჩვენი ნაწარმი შევთავაზეთ. ზრდილობიანად, მაგრამ უნდობლად მიიღეს პედაგოგებმა ჩვენი ნაცოდვილარი. შემდეგ კარამელის წუწნით გართული, გარინდებული პროფესორები დავტოვეთ და დავიშალეთ.

ხედავ, მამილო, ჩემი განათლება აღმავალი გზით მიდის.

მართალი მითხარი, არ აჯობებდა, მწერლობის მაგივრად მხატვრობისათვის მომეკიდა ხელი?

არდადეგები ორ დღეში მთავრდება და ძალიან მიხარია, რომ გოგოებს ვნახავ. ჩემმა კოშკმა მოიწყინა. აბა, რა იქნება, როცა ოთხასი კაცისათვის აშენებულ შენობაში ცხრა კაცი დაბორიალობს.

თერთმეტი გვერდი დამიწერია, საწყალო მამილო, ალბათ, დაიღალე! მოკლე წერილის მოწერას ვაპირებდი მადლობის სათქმელად. რა ვქნა, საკმარისია, კალამს ხელი მოვკიდო, რომ თვითონვე დარბის ფურცელზე.

მშვიდობით. დიდი მადლობა მზრუნველობისათვის. ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ჰორიზონტზე ერთი პაწია ღრუბელი რომ არ მემუქრებოდეს. თებერვლის გამოცდები მელის.

სიყვარულით, შენი ჯუდი.

P. S. იქნებ არ არის მიღებული, სიყვარულით-მეთქი, რომ გწერ. თუ ასეა, მაპატიე; მაგრამ ვინმე ხომ უნდა მიყვარდეს? მხოლოდ ორნი მყავხართ - შენ და მისის ლიპეტი. მეტი გზა არ არის, უნდა შეეგუო იმ გარემოებას, რომ არჩევანი შენ გერგო, იმიტომ ძვირფასო მამილო, რომ მისის ლიპეტის შეყვარება არ შემიძლია.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ნეტა გაჩვენა, რა გაცხარებული მეცადინეობაა კოლეჯში! აღარც კი გვახსოვს, თუ ოდესმე არდადეგები გვქონდა. ორმოცდაჩვიდმეტი არაწესიერი ზმნა ოთხ დღეში ჩავიბეჭდე ტვინში. იმედი მაქვს, გამოცდების შემდეგაც მემახსოვრება.

ზოგი გოგონა მაშინვე ყიდის თავის სახელმძღვანელოს, როგორც კი მეცადინეობას ამთავრებს. მე კი შევინახავ, როცა კოლეჯს დავამთავრებ, მთელი ჩემი წიგნები კარადაში მექნება დალაგებული, როცა რამის გახსენება დამჭირდება, მაშინვე წიგნში ჩავიჭვრეტ და მეხსიერებაში აღვადგენ. ეს ათასჯერ უფრო იოლიცაა და სანდოც. თორემ სულ უნდა მეშინოდეს, თავიდან არ ამომიფრინდეს.

ამ საღამოს ჯულია პენდლტონმა ერთი წუთით შემოიარა, მთელ საათს კი დარჩა. ლაპარაკი წარმოშობაზე ჩამოაგდო და ვერაფრით ვერ გამოვრთე. უნდოდა გაეგო, რა გვარი იყო დედაჩემი ქალიშვილობაში. განა შეიძლება, უპატრონოთა სახლში გაზრდილს ასეთი უტაქტო შეკითხვა მისცე? გამბედაობა არ მეყო, მეთქვა, არ ვიცი-მეთქი და რაც თავში მომივიდა, ის ამოვილუღლუღე საცოდავად - მონტგომერი. მერე იმის გარკვევა დაიწყო, მასაჩუსეტსელ მონტგომერებს ვეკუთვნოდი თუ ვირჯინიელებს.

დედამისი რეზერფორდი ყოფილა. ეს ოჯახი ნოეს კიდობნით ჩამოსულა ამერიკაში და ნათესაური ურთიერთობა ჰქონია ჰენრი მერვესთან. მამის მხრიდან მისი გვარი თურმე ადამის დროინდელია. მათი საგვარეულო ხის შტოებზე თქვენ ნახავთ უმაღლესი ჯიშის მაიმუნებს, რომლებიც მშვენიერი ნაზი ბალნით არიან დაფარულნი და არაჩვეულებრივად გრძელი კუდები აქვთ.

მხიარული, საინტერესო, გასართობი წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ მეძინება და თან შეშინებულიცა ვარ. ახალბედას ხვედრი არც მაინცდამაინც სახარბიელოა.

საგამოცდო ციებ-ცხელებით შეპყრობილი შენი

ჯუდი ებოტი.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ერთი ძალიან, ძალიან, ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხრა, მაგრამ ამით არ დავიწყებ. შევეცდები, ჯერ კარგ გუნებაზე დაგაყენო.

ჯერუშა ებოტმა ფეხი შედგა მწერლობაში. ლექსი "ჩემი კოშკიდან" გამოქვეყნდება თებერვალში, ჟურნალ "მანთლის" პირველ გვერდზე. ეს დიდი პატივია ახალბედა სტუდენტისათვის. გუშინ საღამოს, ეკლესიიდან რომ მოვდიოდი, მასწავლებელმა შემაჩერა და მითხრა, შენი ლექსი, თუ მეექვსე სტრიქონს არ ჩავთვლით, შესანიშნავი ნაწარმოებია, მეექვსე სტრიქონში კი ზედმეტი მარცვლებიაო. თუ გაინტერესებს, ჟურნალის ერთ ეგზემპლარს გამოგიგზავნი.

მოიცა, მოვიფიქრო კიდევ რაიმე სასიამოვნო! ჰო, გამახსენდა! ვსწავლობ ციგურებით სრიალს. უკვე საკმაოდ კარგად ვსრიალებ, სხვის დაუხმარებლად. თოკზე ცოცვასაც დავეუფლე. ჩვენი სპორტული დარბაზის ჭერიდან შემიძლია ჩამოცოცება. გადახტომით სამი ფუტისა და ექვსი დიუმის სიმაღლის ბარიერზე ვხტები. იმედი მაქვს, მალე ოთხ ფუტ სიმაღლესაც დავძლევ.

ამ დილით მოვისმინეთ ალაბამის ეპისკოპოსის ფრიად შთამაგონებელი ქადაგება. ქადაგების თემა იყო: "ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ!" გვითხრა, მისი საქციელის გაკიცხვით ადამიანს გულს ნუ ატკენთ, სხვის შეცდომებზე თვალი დახუჭეთო. ნეტავ, შენი ყურით მოგესმინა.

მშვენიერი მზიანი, თვალისმომჭრელი ზამთრის დღეა. ნაძვის ხეებზე ყინულის ლოლუები დნება. მთელი ქვეყანა თოვლის სიმ-

ძიმეს წელში მოუხრია, ჩემ გარდა; მე მწუხარების სიმძიმემ მომ-ხარა.

ახლა კი ვიწყებ მთავარ სათქმელს. გამაგრდი, ჯუდი! უნდა თქვა!

ნამდვილად კარგ ხასიათზე ხარ, მამილო?

მათემატიკასა და ლათინურში ჩავიჭერი. ახლა ორივე საგანში ვემზადები. მომავალ თვეში ხელმეორედ უნდა ჩავაბარო. ძალი-ან მწყინს, იმედი თუ გაგიცრუე. ეს რომ არ მაწუხებდეს, ჩაჭრას არ ვიდარდებდი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე, რაც კოლეჯის პროგრამაში არ შედის. უთვალავი ლექსი და ჩვიდ-მეტი რომანი წავიკითხე, აუცილებლად რომ უნდა მქონდეს წა-კითხული ისეთი რომანები: "ამაოების ბაზარი" და "რიჩარდ ფე-ვერელი", "ალისა სასწაულების ქვეყანაში", აგრეთვე ემერსონის "ნარკვევები", ლოკჰარტის "სკოტის ცხოვრება", გიბონის "რომის იმპერიის" პირველი ტომი და ბენვენუტო ჩელინის "ცხოვრების" ნახევარი. რა საოცარი კაცი იყო, არა? ქუჩაში ხეტიალი უყვარდა და საუზმის წინ ზოგჯერ კაციც შემოაკვდებოდა ხოლმე.

ასე რომ, მამილო, ლათინურისათვის რომ მომეკლა თავი, იმ-დენ ცოდნას მაინც ვერ მივიღებდი, რაც წიგნების კითხვით მივი-ღე. ეს ერთხელ მაპატიე და პირობას გაძლევ, აღარასოდეს ჩა-ვიჭრები.

შენი ძაძითმოსილი ჯუდი

ამ თვის ახალი ამბები

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ეს რიგგარეშე წერილია, შუა თვეში. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ღამეს საშინელ სიმარტოვეს განვიცდი. აუტანელი ქარიშხალია. ჩემს კოშკს ათოვს. კოლეჯში სინათლე გამორთულია. მე კი ყავა დავლიე და არ მეძინება.

ვახშამზე სტუმრები მყავდა: სელი, ჯულია და ლეონორა ფენტონი. მივირთვით სარდინები, დაბრაწული ქადები, სალათა, შოკოლადის კამფეტები და ყავა. ჯულიამ თქვა, რა კარგი დრო გავატარეო და წავიდა. სელი კი დარჩა და ჭურჭლის დარეცხვაში მომეხმარა. ამ საღამოს შემეძლო, სასარგებლო საქმე გამეკეთებინა - ლათინურისათვის ცოტა დრო დამეთმო, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ლათინურში ვერ ვიმარჯვე. დავამთავრეთ ლივიუსი და დე სენექტიუსი, ახლა კი de amicitia-ზე[4] (გამოთქმის demn icitia) გადავედით.

საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, ცოტა ხნით ჩემი დიდედა გახდე? სელის ერთი დიდედა ჰყავს, ჯულიას და ლეონორას - ორ-ორი. ამ საღამოს ყველანი დიდედებზე ლაპარაკობდნენ. ოღონდ დიდედა მყავდეს და მეტი არაფერი მინდა. რა პატივსაცემი ნათესავია! ამიტომ, თუ მართლა არა ხარ

წინააღმდეგი, საჩუქრის ყიდვას ვაპირებ შენთვის. გუშინ ქალაქში ვიყავი და მშვენიერი მაქმანის ჩაჩი ვნახე, ლავანდისფერი ბაფთებით მორთული. იმას გიყიდი, ოთხმოცდასამი წლის რომ შესრულდები, დაბადების დღეს რომ მოგილოცავ.

!!!!!!!!!!!!

[4] de amicitia (ლათ.) - მეგობრებზე (damn (ინგ.) - წყეული).

ეს ეკლესიის კოშკის ზარია. თორმეტჯერ დარეკა. ახლა კი ნამ-დვილად მეძინება.

ღამე მშვიდობისა, დიდედა.

ძალიან მიყვარხარ.

ჯუდი.

მარტის იდები[5]

ძვირფასო გ. ფ. მ.

ვსწავლობ ლათინურ პროზაულ ნაწარმოებს. ვსწავლობდი, ვსწავლობ, ვისწავლი. უნდა ვისწავლო აუცილებლად. გამოცდა მომავალ სამშაბათს, 7 საათზეა დანიშნული. თავს მოვიკლავ და მაინც ჩავაბარებ. ასე რომ, შემდგომ წერილს მოგწერ პირნათელი, ბედნიერი და ვალდებულებებისაგან თავისუფალი ჯუდი ან მისი აჩრდილი.

საკადრის წერილს მაშინ მოგწერ, როცა ყველაფერი კარგად ჩაივლის. ახლა კი საჩქარო პაემანი მაქვს Ablative Absolute-თან.

შენი გვარიანად შეფუცხუნებული

ჯ. ე.

26 მარტი

მისტერ გ. ფ. მ. სმით!

სერ! თქვენ არასოდეს პასუხობთ ჩემს კითხვებს; ოდნავ ინტერესსაც არ ამჟღავნებთ ჩემი საქმიანობისადმი. ალბათ, ყველაზე უსაშინლესი ხართ საშინელ მეურვეთა შორის. იმიტომ კი არ მაძლევთ განათლებას, რომ ჩემი ბედი გაწუხებთ, არამედ მხოლოდ მოვალეობის გრძნობა გამოძრავებთ.

---

[5] იდები (ლათ. Idus) - რომაულ კალენდარში მარტის, მაისის, ივლისის, ოქტომბრის თვეების 15 რიცხვი. მარტის იდები ნიშნავს საბედისწერო, სახიფათო დღეებს.

თქვენზე იოტისოდენაც კი არაფერი ვიცი - სახელიც კი, ძალიან ძნელია, მისწერო ნივთს. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს წერილებს ქაღალდების კალათაში ყრით წაუკითხავად. ამის შემდეგ მხოლოდ სწავლაზე მოგწერთ.

გამოცდები ლათინურსა და გეომეტრიაში გასულ კვირას მქონდა. ორივე ჩავაბარე. მოვალეობის ტვირთისაგან თავისუფალი ვარ.

თქვენი ერთგული

ჯერუშა ებოტი

2 აპრილი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ნამდვილი ნ ა დ ი რ ი ვარ.

გეხვეწები, დაივიწყე ის საშინელი წერილი, წინა კვირას რომ მოგწერე. იმ ღამეს სიმარტოვეს ვგრძნობდი და ძალიან უბედური ვიყავი. თან ყელიც მტკიოდა. ანგინა, გრიპი და ათასი რამ ერთად შემეყარა. ახლა საავადმყოფოში ვწევარ. უკვე ექვსი დღეა, აქა ვარ. დღეს პირველად დამრთეს წამოჯდომის ნება და მაშინვე კალამს და ქაღალდს ვტაცე ხელი.

უფროსი ძიძა ძალიან ბრაზობს, მაგრამ ვეღარ ვითმენ, რომ არ მოგწერო. ეს დღეები სულ ამაზე ვფიქრობდი, რამ მომაწერინა ის წერილი. სანამ არ მაპატიებ, ვერ გამოვკეთდები.

აი, ჩემი პორტრეტი. თავი შეხვეული მაქვს და დოლბანდის ბოლოები კურდღლის ყურებივით მაქვს გამოშვერილი.

ჩემი შესახედაობა შენს სიბრალულს არ იწვევს? ენისქვეშა ჯირკვლის ანთება მჭირს. მთელი წელიწადი ფიზიოლოგიას ვსწავლობდი და ენისქვეშა ჯირკვალზე არაფერი მსმენია. რა უსარგებლო რამ ყოფილა ეს განათლება!

აღარ შემიძლია წერა. დიდხანს ჯდომისაგან თავბრუ მეხვევა. მაპატიე, ასეთი უხეში და უმადური რომ ვარ. ცუდად აღმზარდეს და, რა ვქნა!

შენი მოსიყვარულე

ჯუდი ებოტი

საავადმყოფო,
4 აპრილი

უძვირფასესო გრძელფეხება მამილო!

გუშინ საღამოს, შებინდებისას საწოლში ვიჯექი და ფანჯარას გავცქეროდი. გარეთ წვიმდა. ამ უზარმაზარ შენობაში თავს ეულად ვგრძნობდი, სიცოცხლე ჩირად არ მიღირდა. ამ დროს ძიძამ ულამაზესი ვარდის კოკრებით სავსე გრძელი თეთრი კოლოფი შემომიტანა. ამაზე ლამაზი კიდევ ის იყო, რომ შიგ იდო ძალიან თავაზიანი მოკითხვის ბარათი, დაწერილი სასაცილო, ირიბი პატარა ასოებით (რაც ძლიერ ხასიათზე მეტყველებს). გმადლობ, მამილო, ათიათასჯერ გმადლობ. შენი ყვავილები პირველი ნამდვილი საჩუქარია ჩემს სიცოცხლეში. რომ იცოდე, რა ბავშვი ვარ! დავწექი და ვიტირე. ეს იყო ბედნიერების ცრემლები.

ახლა კი მჯერა, რომ ჩემს ბარათებს კითხულობ. ვეცდები, ისეთი საინტერესო წერილები მოგწერო, წითელი ბაფთით რომ შეკრა ერთად და სეიფში შეინახო. ოღონდ, გთხოვ, ის საშინელი წერილი ამოიღე და დაწვი. იმაზე ფიქრიც კი მზარავს - ვაითუ ოდესმე კიდევ წაიკითხო.

გმადლობ, რომ ავადმყოფი, გაბრაზებული, უბედური, პირველკურსელი გოგო გაამხიარულე. შენ, ალბათ, მოსიყვარულე ოჯახის პატრონი ხარ, უამრავი მეგობარი გყავს და არ იცი, რას გრძნობს ადამიანი, რომელიც მარტოა! მე კი ვიცი.

მშვიდობით. პირობას გაძლევ, აღარასოდეს ვიქნები საძაგელი, რადგან ახლა ვიცი, რომ შენ რეალური არსება ხარ. გპირდები, აღარ შეგაწუხო ათასგვარი სულელური შეკითხვით.

გოგოები ისევ გეჯავრება?

მარად შენი

ჯუდი.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

იმედი მაქვს, შენ ის მეურვე არა ხარ, ჩვენს გომბეშოს რომ დაა-ჯდა. ის მეურვე შენზე მსუქანი იქნებოდა, რადგან, როგორც ამ-ბობენ, საბრალო გომბეშო მაშინვე გასკდა.

გახსოვს სამრეცხაოს ფანჯრების წინ რკინის ცხაურებიანი პა-ტარა მიწურები? ყოველ გაზაფხულს, როგორც კი სეზონი დადგე-ბოდა, გომბეშოებს ვაგროვებდით და იმ მიწურებში ვათავსებ-დით. გომბეშოები სამრეცხაოში ხტებოდნენ ხოლმე და ერთ აურ-ზაურს იწვევდნენ. ამის გამო სასტიკად ვისჯებოდით. მაგრამ ცელქობას მაინც არ ვიშლიდით.

ერთ მშვენიერ დღეს (წვრილმანებით თავს არ შეგაწყენ) უდი-დესი, უმსუქნესი, წვნიანი გომბეშო ტყავის სავარძელში აღმოჩ-ნდა, სწორედ იმ დღეს, როდესაც მეურვეთა საბჭო უნდა შემდგა-რიყო. რაღა ბევრი გავაგრძელო, თვითონ იქ იყავი და ისედაც კარგად გემახსოვრება.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, როცა გულგრილად შემიძლია წარსულს გადავხედო, ვფიქრობ, რომ მაშინ სამართლიანად და დამსახურებულად დაგვსაჯეს.

არ ვიცი, რატომ ვარ მოგონებების ხასიათზე. ალბათ, გაზაფ-ხულის დადგომა და გომბეშოების გამოჩენა აღვივებს ჩემში ძველ ინსტინქტს. ერთადერთი მიზეზი, რაც ხელს მიშლის გომბე-შოების მოგროვებაში, ისაა, რომ აქ ამის საწინააღმდეგოდ არა-ვითარი კანონი არ არსებობს.

აბა, თუ იცი, რომელია ჩემი საყვარელი წიგნი? ამჟამად, თორემ, საერთოდ ყოველ სამ დღეში ერთხელ მეცვლება აზრი. რომელი და "ქარიშხლიანი სერები". ემილია ბრონტე სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ეს წიგნი დაწერა. თავის სიცოცხლეში ჰევორთის[6] სასაფლაოს არ გასცილებია. არც ერთ მამაკაცს არ იცნობდა და, ნეტავ, როგორ წარმოიდგინა ჰეთკლიფისნაირი კაცი?!

მე ამას ვერ შევძლებდი, თუმცა მეც სრულიად ახალგაზრდა ვარ, არც მე გამიდგამს ფეხი ჯონ გრაიერის სახლს იქით. მაშასადამე, იგივე შესაძლებლობები მეცა მაქვს. ზოგჯერ შიში ამიტანს ხოლმე, ვაითუ გენიოსი არ ვარ-მეთქი. მამილო, ძალიან გეტკინება გული, დიდი მწერალი რომ არ გამოვიდე? გაზაფხულზე, როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის და გადამწვანებულია, ზურგი მინდა შევაქციო გაკვეთილებს და ველად გავიჭრა. მინდვრად იმდენი რამ არის საინტერესო. ათასჯერ ჯობია, წიგნის გმირის ცხოვრებით იცხოვრო, ვიდრე წიგნები წერო.

აუუ!!!!!

ამ ყვირილმა სელის, ჯულიას და რომელიღაც მეოთხეკურსელის ყურადღება მიიქცია. ყვირილის მიზეზი გახლდათ აი, ასეთი ასფეხა, ოღონდ უარესი. როცა ბოლო წინადედება დავასრულე და ვფიქრობდი, ახლა რაღა დავწერო-მეთქი, ბრახ! და ჩამოვარდა ჭერიდან. ზუსტად ჩემ გვერდით მოადინა ტყაპანი. ისე უეცრად წამოვხტი, რომ მაგიდიდან ორი ფინჯანი გადმომივარდა. სელიმ ასფეხას ჩემი თმის ჯაგრისი დასცხო. იმას ხელს როგორღა მივა-

[6] ადგილის სახელწოდება იორქშირის საგრაფოში, ქალაქ ლიდსის მახლობლად.

კარებ. ასფეხას წინა ნაწილი მოკვდა, უკანა ორმოცდაათი ფეხი კი საწერი მაგიდის ქვეშ შეძვრა და თავს უშველა.

შენობის სიძველის გამო დორტუარი[7] სავსეა ასფეხებით. რა საშინელი არსებანი არიან. მერჩივნა, საწოლის ქვეშ ვეფხვი დამენახა.

[7] დორტუარი (ფრანგ. dortoir) - მოსწავლეთა საერთო საწოლი ოთახი დახურულ სასწავლებელში.

გაგიგია ამდენ უსიამოვნებას ერთად მოეყაროს თავი? ჯერ იყო და ამ დილით ზარის ხმა ვერ გავიგონე და ადგომა დამაგვიანდა, მერე ფეხსაცმლის თასმა გამიწყდა. სიჩქარეში საყელოს ღილი ამაწყდა და ზურგში ჩამივარდა.

საუზმეზე დავაგვიანე, პირველ გაკვეთილს ვერ მივუსწარი. მუდმივმა კალამმა გამოჟონა, საშრობი კი არა მქონდა. ტრიგონომეტრიის გაკვეთილზე მასწავლებელს ვეკამათე. ლოგარითმულ საკითხში არ ვეთანხმებოდი. შევამოწმე და ის გამოდგა მართალი; საუზმედ მოშუშული ცხვრის ხორცი და გოგრის პუდინგი გვქონდა. ვერც ერთს ვერ ვიტან, ორივე თავშესაფრის საჭმელების გემოს მახსენებს. ფოსტამ მხოლოდ ანგარიში მომიტანა (თუმცა სხვას რას უნდა ველოდე. ჩემი ოჯახი იმ ყაიდის არ არის, წერა უყვარდეს). ინგლისურის გაკვეთილზე მოულოდნელად წერითი სამუშაო მოგვცეს. აი, რა იყო ჩვენი სამუშაო:

სხვა არაფერი არ მითხოვია
და არც უარი უთქვამს რამეზე:
შენი ხმალი და ჩემი კისერი!
ვაჭარს გაუკრთა ღიმი სახეზე.

პირიტი? იწყო ღილის წვალება
და შემოხედვა აღარ ინება:
იქ, ქალბატონო, არაფერია,
რისი ჩვენებაც დღეს შეიძლება?[8]

[8] ლექსები თარგმნა გიგი ციცქიშვილმა.

ესეც თუ ლექსია! არ ვიცი, ვისია ან რას ნიშნავს. დაფაზე დაწერილი დაგვხვდა, როცა შემოვედით. ამ ლექსის ახსნა-განმარტება გვევალებოდა. პირველი სტროფი რომ წავიკითხე, ვიფიქრე, ვაჭარი ღვთაებრივი არსებაა, რომელიც წყალობას არიგებს კეთილი საქმეებისათვის-მეთქი. მაგრამ როცა მეორე სტროფზე გადავედი და გავიგე, რომ იგი ღილს აწვალებდა, მის წმინდანობაში ეჭვი შემეპარა და საჩქაროდ შემეცვალა აზრი. სხვებიც ჩემს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ცარიელ ფურცლებს უაზრო გამომეტყველებით დავცქეროდით. განათლების მიღება საშინლად დამქანცველი პროცესია.

მაგრამ დღე ამით არ დასრულებულა. უარესი ახლა ნახე. წვიმდა და გოლფი ვერ ვითამაშეთ. ფიზკულტურის დარბაზში შევედით. ჩემ გვერდით მდგომმა გოგომ იდაყვში გურზი მომარტყა. სახლში რომ მივედი, ახალი საზაფხულო კაბა დამხვდა მოტანილი. გავისინჯე და ისეთი ვიწრო მომივიდა, ვერ ვჯდებოდი. პარასკევობით აქაურობას ალაგებენ ხოლმე. დამლაგებელმა გოგომ ჩემს მაგიდაზე ქაღალდები აურ-დაურია. დესერტად გვქონდა "საფლავის ქვა" (რძე და ვანილით შეზავებული ჟელატინი). ეკლესიაში ოცი წუთით მეტხანს გაგვაჩერეს, იდეალურ ქალზე ქადაგების მოსასმენად. ყოველივე ამის შემდეგ, სახლში რომ მოვედი, შვებით ამოვისუნთქე და ის იყო "ლედის პორტრეტს" ჩავუჯექი, რომ ამ დროს ჩემთან მოვიდა ერთი გოგო, გვარად ეკერლი, უსაშველოდ სულელი, ტუტუცი და ლენჩი. ლათინურზე ჩემ გვერდით ზის იმიტომ, რომ მისი გვარიც ე-ზე იწყება (ნეტავი მისის ლიპეტს ჩემთვის ზაბრისკი დაერქმია). იმის გაგება უნდოდა, ორშაბათისათვის სამოცდამეცხრე პარაგრაფი გვქონდა დავალება თუ სამოცდამეათე. მთელი ერთი საათი იჯდა. ეს წუთია, წავიდა.

ერთი მითხარი, როგორი გასაძლებია ამდენი უაღბლობა?

ხასიათის სიმტკიცე ცხოვრებაში მომხდარი გაჭირვებით კი არ მოწმდება, არამედ ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებების ატანით. ადამიანი დიდ ტრაგედიას მხნედ ხვდება ხოლმე, ხოლო წვრილმან უსიამოვნებებს რომ სიცილით შეხვდეს, დარწმუნებული ვარ, დიდი სულიერი ძალაა საჭირო.

აი, ასეთი ხასიათი მინდა გამოვიმუშაო. უნდა დავარწმუნო ჩემი თავი, რომ ცხოვრება მხოლოდ თამაშია. რაც შეიძლება ოსტატურად და პატიოსნად უნდა შევასრულო ჩემი როლი. კიდევაც რომ დავმარცხდე, მხრებს ავიჩეჩავ და გავიცინებ. გინდა გავიმარჯვო, იმავეს გავაკეთებ.

ყოველ შემთხვევაში, ამის შემდეგ ვაპირებ, ვაჟკაცურად მოვიქცე. ჩემგან, ძვირფასო მამილო, ვეღარასოდეს გაიგონებ წუწუნს. აღარ შემოგჩივლებ, ჯულიას აბრეშუმის წინდები აცვია, ანდა ჭერიდან ასფეხა ჩამოვარდა-მეთქი.

მარად შენი

ჯუდი

პასუხი ჩქარა მომწერე.

გრძელფეხება მამილოს, ესკვაირს![9]

ძვირფასო სერ! მისის ლიპეტისაგან წერილი მივიღე. იმედი აქვს, სამაგალითო ვარ, როგორც ყოფაქცევაში, ისე სწავლაში. იცის, ზაფხულში არსად მაქვს წასასვლელი; მთავაზობს, თავშესაფარში დავბრუნდე და ზაფხულის განმავლობაში იქ ვიმუშაო.

მ ე მ ძ უ ლ ს ჯ ო ნ გ რ ა ი ე რ ი ს ს ა ხ ლ ი.

სიკვდილი მირჩევნია იქ დაბრუნებას.

თქვენი უაღრესად გულწრფელი

ჯერუშა ებოტი.

[9] ესკვაირი (ინგ. Esquire) - მემამულის წოდება.

Cher[10] მამილო, - Jambes Longes,[11]

Vous etes un[12] გადასარევი ბიჭი!

Je suis tres heureuse[13] ფერმაში რომ მივდივარ, parsque je n ' ai jamais[14] ვყოფილვარ ფერმაში dans ma vie[15] და მზარავს retourner ch - ez[16] გრაიერის თავშესაფარი et[17] რეცხვა თეფშების tout l ' é t é.[18] იქ ხიფათი მომელოდა, quelque chose affreuse[19] მოხდებოდა, parsque j ' ai per - due ma humilit é d ' autre fois et j ' ai peur,[20] რომ ავფეთქდებოდი quel - que jour et[21] დავამსხვრევდი ყველა ფინჯანსა და ლამბაქს dans la maison.[22]

Pardon bri è vet é et[23] უვარგისი ქაღალდის გამო.Je ne peux pas[24] მოგწერო de mes nouvelles parseque je suis dans[25] ფრანგულის გაკვეთილზე et j ' ai peur que Monsieur le Professeur[26] არ გამომიძახოს tout de suite.[27]

ასეც მოხდა!

Au revoir.[28]

---

[10] ძვირფასო.
[11] ფეხები.
[12] შენ ხარ.
[13] ძალიან ბედნიერი ვარ.
[14] ვინაიდან არასოდეს.
[15] ჩემს სიცოცხლეში.
[16] დაბრუნება.
[17] და.
[18] მთელ ზაფხულს.
[19] რაღაც საშინელება.
[20] ვინაიდან ერთხელაც მორჩილებას ვეღარ გამოვიჩენდი და ვშიშობ.
[21] ომელიმე დღეს და.
[22] იმ სახლში.
[23] მაპატიე მოკლე წერილისა და.
[24] არ შემიძლია.
[25] ახალ-ახალი ამბები, რადგან ვარ.
[26] და ვშიშობ, რომ ბ-მა პროფესორმა.
[27] ამ წუთას.
[28] ნახვამდის.

Je vous aime beaucoup.[29]

ჯუდი

30 მაისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

გინახავს ჩემი კოლეჯის ეზო (რიტორიკული კითხვაა, თავს ნუ შეიწუხებ. პასუხი საჭირო არ არის)? მაისში აქაურობა სამოთხეს ჰგავს. ბუჩქები ყვავის და ხეები ნორჩი მწვანე ფოთლებითაა შემოსილი. ბებერი ფიჭვებიც კი გაახალგაზრდავებული და განახლებულია. ბალახში ლომისკბილებს ამოუყვიათ თავი. ეზო სავსეა ცისფერი, ვარდისფერი და თეთრკაბიანი გოგონებით. ყველანი მხიარულობენ, უდარდელად არიან, რადგან არდადეგები ახლოვდება. არდადეგების მოლოდინში გამოცდები, აბა, რა ბედენაა!

ბედნიერ გუნება-განწყობაზე რომ ვართ, ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს! მაგრამ ყველაზე ბედნიერი ამათ შორის მე ვარ. იმიტომ, რომ თავშესაფარს მოვშორდი. არავის ძიძა არ ვარ, არც მემანქანე, არც ბუღალტერი (შენ რომ

არა, ერთ-ერთი მათგანი ვიქნებოდი).

ახლა ჩემი წარსული ცოდვები მაწუხებს.

ვწუხვარ, რომ ოდესღაც მისის ლიპეტთან ვთავხედობდი.

ვწუხვარ, რომ ფრედი პერკინსს წავუთაქებდი ხოლმე.

ვწუხვარ, რომ საშაქრეს მარილით ვავსებდი.

[29] მე თქვენ ძალიან მიყვარხართ.

ვწუხვარ, რომ მეურვეებს ზურგს უკან ვეჯღანებოდი.

ვცდილობ, კარგი და კეთილი ვიყო ყველასთან, იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ. ამ ზაფხულს ვაპირებ, ვწერო, ვწერო და ვწერო, დიდი მწერალი რომ გავხდე. განა ეს ამაღლებული მიზანი არ არის? რომ იცოდე, რა შესანიშნავი ხასიათი მიყალიბდება! მართალია, ის ყინვასა და სიცივეში ჭკნება, მაგრამ, სამაგიეროდ, მზის კაშკაშა სხივები ისევ სწრაფად აცოცხლებს.

ყველას ასე ემართება. არ ვეთანხმები იმ თეორიას, რომელიც ამტკიცებს, თითქოს უბედურება, მწუხარება და გულის გატეხა მორალურ სიმტკიცეს უვითარებს ადამიანს. სწორედ ბედნიერი ხალხია, ვინც სიკეთეს თესავს ირგვლივ. არ მიყვარს მიზანთროპები (კარგი სიტყვაა, ახლახან ვისწავლე). შენ ხომ არა ხარ მიზანთროპი, მამილო?

ჰო, ჩვენს კოლეჯზე გიყვებოდი! როგორ მინდა,ცოტა ხნით მაინც ჩამოხვიდე, აქაურობა რომ დაგათვალიერებინო. შენი მეგზური ვიქნებოდი. გეტყოდი:

"ეს ბიბლიოთეკაა, ძვირფასო მამილო. ეს გაზის ქარხანა. მარცხნივ აღმართული გოთური ნაგებობა - ფიზკულტურის დარბაზია, ხოლო მის გვერდით, რომაული სტილით ნაგები შენობა, ახალი საავადმყოფო".

რომ იცოდე, სტუმრებისათვის რა კარგი მეგზურობის გაწევა შემიძლია. მთელი სიცოცხლე ამის მეტი არა მიკეთებია რა თავშესაფარში. ერთ დღეს აქაც მქონდა ასეთი შემთხვევა. მართალს ვამბობ, არა გჯერა? თანაც სტუმარი მამაკაცი იყო.

ჩემთვის ეს დიდი მოვლენაა. ჯერ არასოდეს დავლაპარაკებივარ მამაკაცს (გარდა მეურვეებისა, მაგრამ ისინი რა სათვალავში ჩასაგდებია). პარდონ, მეურვევ. შენი შეურაცხყოფა გულშიაც არ გამივლია. არც კი მგონია, მართლა მეურვე თუ ხარ. თითქოს შემთხვევით მოხვდი მეურვეთა კომიტეტის სხდომაზე. მეურვე, ჩვეულებრივ, მსუქანია, წარმოსადეგი და გულმოწყალე. უყვარს,

ბავშვებს თავზე ხელს რომ გადაუსვამს და ოქროსძეწკვიან საათს ატარებს.

ეს ხოჭო არ გეგონოს. შენ გარდა, ყველა მეურვე ასეთია.

გავაგრძელოთ თხრობა.

მაშ, ასე: ვისეირნე, ვისაუბრე და ჩაი დავლიე მამაკაცთან ერთად. თანაც, მეტად ღირსეულ მამაკაცთან - მისტერ ჯერვი პენდლტონთან. ჯერვი პენდლტონი ჯულიას ბიძაა. მოკლედ რომ ვთქვა (შესაძლოა, გრძლად უნდა მეთქვა. რადგან მისტერ ჯერვი პენდლტონი ისეთივე გრძელია, როგორც შენ), ჯულიას ბიძა ჩვენს ქალაქში იყო საქმეზე ჩამოსული და გადაწყვიტა, კოლეჯში შემოევლო თავისი ძმისწულის სანახავად. ჯულიას მამის უმცროსი ძმაა, მაგრამ ჯულია მას ახლოს არ იცნობდა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს მან ჯულია აკვანში ნახა, არ მოეწონა და ამის შემდეგ მისთვის ყურადღება აღარც მიუქცევია.

ასეა თუ ისე, იგი ჩვენს მისაღებ ოთახში იჯდა, შლაპა, ჯოხი და ხელთათმანები გვერდზე ეწყო. ჯულიასა და სელის მე-7 გაკვეთილზე სემინარი ჰქონდათ და ვერ გააცდენდნენ. ჯულია ჩემთან შემოვარდა და მთხოვა, მისი ბიძისათვის ჩვენი კოლეჯი მეჩვენებინა, სემინარის დამთავრების შემდეგ კი თვითონ მიხედავდა. დავთანხმდი ხათრით, ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე, რადგანაც პენდლტონები არაფრად მეპიტნავებიან.

მაგრამ ჯულიას ბიძა თვინიერი ბატკანი აღმოჩნდა. ნამდვილად ჰუმანური არსებაა. პენდლტონებისა არაფერი სცხია. ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ამის შემდეგ სულ მინდა, ბიძა მყავდეს. გინდა, ჩემი ბიძა იყავი! ყოველ შემთხვევაში, დიდედობას ბიძობა უნდა გერჩივნოს.

მისტერ პენდლტონი ცოტათი შენს თავს მაგონებს. ისეთია, როგორიც შენ იქნებოდი ოცი წლის წინ. როგორც ხედავ, კარგად გიცნობ, თუმცა არასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს.

ჯერვი პენდლტონი მაღალია და გამხდარი. მზემოკიდებული სახე აქვს და შესანიშნავი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი, რომელიც მხოლოდ ტუჩების კუთხეებში გამოკრთება ხოლმე. მასთან თავს თავისუფლად ვგრძნობ, თითქოს დიდი ხანია, ვიცნობდე. მეტისმეტად მეგობრულია.

მთელი ეზო შემოვიარეთ, ტენისის კორტებიდან დაწყებული სავარჯიშო მოედნამდე. შემდეგ თქვა, დავიღალეო და ჩაის დალევა მოისურვა. შემომთავაზა, წავყოლოდი კოლეჯის რესტორანში, რომელიც ჩვენი პარკის ახლოსაა, ფიჭვნარში. ვუპასუხე, სელისა და ჯულიას დავუძახებ-მეთქი, მაგრამ თქვა, არ მიყვარს, ჩემი ძმისწულები ჩაის რომ ეტანებიანო; ჩაი მათ ანერვიულებსო. ამიტომ მარტო წავედით. დავლიეთ ჩაი ფუნთუშით, მერე კი ნაყინი, ნამცხვარი და მარმელადი დავაყოლეთ. ერთ პატარა, ლამაზ მაგიდასთან ვისხედით, ღია აივანზე. რესტორანი ცარიელი იყო. ალბათ, იმიტომ, რომ თვის ბოლოა და ყველას გამოფხეკილი აქვს ჯიბეები.

ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო! მაგრამ მისტერ ჯერვის მატარებელზე აგვიანდებოდა და ძლივს მოასწრო ჯულიას ნახვა. ჯულია გაცეცხლებული იყო, რატომ წაიყვანე ასე დიდი ხნითო. როგორც ჩანს, ძალიან მდიდარი და სასურველი ბიძაა. ამან დამამშვიდა, იმიტომ, რომ ჩაი და სხვა ყველაფერი თითოეულისათვის 60 ცენტი დაჯდა.

ამ დილით (დღეს ორშაბათია) სამი შოკოლადის კოლოფი მოვიდა ფოსტით ჯულიას, სელისა და ჩემთვის. როგორ მოგწონს ეს ამბავი? წარმოგიდგენია? ტკბილეულობა მამაკაცმა მოგვართვა!

თანდათან ვეჩვევი იმ აზრს, რომ უთვისტომო კი არა, ჩვეულებრივი გოგო ვარ.

ძალიან მინდა, შენც გვესტუმრო ჩაის დასალევად. მაინტერესებს, თუ მომეწონები? საშინელება არ იქნება, რომ არ მომეწონო? მაგრამ ვიცი, უთუოდ მომეწონები.

Bien![30] თავს გიკრავ.

Jamais je ne t ’ oublierai[31]

ჯუდი.

PS. ამ დილით სარკეში რომ ჩავიხედე, ლოყაზე ფოსო აღმოვაჩინე. აქამდე მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. უცნაურია, არა? როგორ ფიქრობ, საიდან გაჩნდა?

[30] კეთილი.(ფრანგ.)
[31] მე შენ არასოდეს დაგივიწყებ (ფრანგ.)

9 ივნისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ბედნიერი დღე გამითენდა! ეს-ესაა, ჩავაბარე ბოლო გამოცდა ფიზიოლოგიაში და ახლა...

სამი თვე ფერმაში!

არ ვიცი, რანაირია ფერმა. არასოდეს ვყოფილვარ ფერმაში (მატარებლიდან დამინახავს მხოლოდ). მაგრამ ვიცი, მომეწონება. და, რაც მთავარია, მომწონს ის, რომ თავისუფლება მექნება.

ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ ჯონ გრაიერის თავშესაფარში აღარ ვარ. როცა იქაურობა მახსენდება, მაჟრჟოლებს. ასე მგონია, სულ უკანმოუხედავადუნდა გავრბოდე იმის შიშით, რომ მისის ლიპეტი არ დამეწიოს და ხელი არა მტაცოს.

ამ ზაფხულს ეს ყველაფერი უნდა დავივიწყო. ხომ მართალია?

შენი ავტორიტეტი მე სრულიად არ მაღიზიანებს. მეტისმეტად შორს ხარ, ვერაფერს დამაკლებ. მისის ლიპეტი ჩემთვის სამუდამოდ მკვდარია, სემპლები კი, დარწმუნებული ვარ, თვალყურის დევნებას არ დამიწყებენ.

ახლა უკვე სრულწლოვანი ვარ. ვაშაა!

უნდა დაგემშვიდობო. ჩასალაგებელი მაქვს ერთი სკივრი და სამი ყუთი: ჩაიდნები, თეფშები, ტახტის ბალიშები და წიგნები.

მარად შენი

ჯუდი.

P.S. ფიზიოლოგია ხომ ჩავაბარე! როგორ გგონია, შენ ჩააბარებდი?

ლოკ უილოუს ფერმა,
შაბათი საღამო

უძვირფასესო გრძელფეხება მამილო!

ეს-ეს არის, ჩამოვედი. ჯერ ბარგი არც ამომილაგებია. მაგრამ ვერ ვითმენ, არ გითხრა: ძალიან მომწონს ფერმა! ღვთაებრივი, ღვთაებრივი, ღვთაებრივი ადგილია. სახლი ოთხკუთხაა, აი, ასეთი:

და ძველი. ასი წლისა მაინც იქნება, თუ მეტის არა. გვერდიდან შესანიშნავი ვერანდა აქვს, რომელსაც ვერ ვხატავ, წინ კი - ლამაზი შესასვლელი. ჩემი ნახატი სახლის ზუსტ სურათს ვერ იძლევა. აი, ესენი, ფრთებისაგან შეკრულ მტვრის საწმენდებს რომ ჰგავს, ნეკერჩხლებია, ხოლო გზის პირას ჩამწკრივებული ხეები - მოდუდუნე ფიჭვები და სხვა წიწვოვანებია. სახლი გორაკზე დგას და მწვანედ მობიბინე ველებს გადაჰყურებს. ამ ველებს კვლავ ბორცვები ესაზღვრება.

საერთოდ, მთელი კონექტიკუტი გორაკების ამგვარი ტალღებისაგან შედგება და ლოკ უილოუს ფერმა ერთ-ერთი ასეთი ტალღის ყველაზე მაღალ წვერზეა წამოჭიმული. ადრე თურმე გზის გადაღმა ბეღლები იდგა და ხედს აფუჭებდა, მაგრამ ზეციდან მოვლენილი ღვთისნიერი ელვა სასტიკად გაუსწორდა მათ: ერთიანად გადაბუგა.

ფერმაში ცხოვრობენ მისტერ და მისის სემპლები, ორი მოჯამაგირე და ერთი მოსამსახურე გოგო. მოჯამაგირეები სამზარეულოში სადილობენ, სემპლები და ჯუდი - სასადილოში. ვახშმად ვგქონდა ლორი, კვერცხი, თაფლი, ჟელე, ღვეზელი, მწნილი, ყველი, ჩაი და ყველაფერ ამასთან ერთად ჩვენს საუბარს საზღვარი არ უჩანდა. ძალიან ვართობ სემპლებს. რასაც კი ვიტყვი, ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებათ. ალბათ, იმიტომ, რომ სოფელში პირველად ვარ და ჩემი კითხვებით უვიცობას ვამჟღავნებ.

ჩემს ოთახს ჯვარი აქვს; იმიტომ კი არა, რომ შიგ მკვლელობა მოხდა, არამედ იმის აღსანიშნავად, რომ აქ მე ვცხოვრობ. კვადრატული, დიდი ოთახია. შესანიშნავი ძველებური ავეჯი დგას. სარკმლებს გარედან მზისაგან დასაცავად ოქროსფერით გაწყობილი მწვანე საჩიხები აქვს, რომლებსაც მიეკარები თუ არა, თავისით ეშვება. ოთახში დგას დიდი, ოთხკუთხედი წითელი ხის მაგიდა. სწორედ ამ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ვაპირებ მთელი ზაფხულის განმალობაში რომანის წერას.

ო, მამილო, რომ იცოდე, როგორ ამაღელვა ამ ახალმა შთაბეჭდილებებმა! მოთმინება არ მყოფნის, როდის გათენდება, რომ ყველაფერი კარგად დავათავალიერო. ახლა ცხრის ნახევარია. სანთელი უნდა ჩავაქრო და თვალი მოვატყუო. აქ ხუთ საათზე დგებიან. გაგიგია ასეთი შესანიშნავი რამ? არ მჯერა, რომ მე, ჯუდი, ამ ყოფაში ვარ. შენ და კეთილმა ღმერთმა იმაზე მეტი მომეცით, ვიდრე ვიმსახურებ. სამაგიეროდ, ძალიან, ძალიან, ძალიან კარგი ადამიანი უნდა გამოვიდე; სიკეთე ამით გადაგიხადოთ. ასეც იქნება. აი, ნახავ, თუ არა.

ღამე მშვიდობისა.

ჯუდი.

P.S. ნეტავ ახლა აქ გაგაჩინა, მამილო, გაიგონებდი, როგორ ყიყინებენ ბაყაყები, როგორ ჭყვიტინებენ გოჭები. ახალ მთვარესაც დაინახავდი, თავზე რომ დამდგომია!

ლოკ უილოუ,
12 ივლისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

საიდან იცოდა შენმა მდივანმა ლოკ უილოუს არსებობა (ეს რიტორიკული კითხვა არ არის. ძალიან მაინტერესებს). მომისმინე, რა გითხრა: ეს ფერმა თურმე მისტერ ჯერვი პენდლტონს ეკუთვნოდა. შემდეგ მისის სემპლს, თავის ძიძას აჩუქა. გაგიგია ასეთი უცნაური დამთხვევა? მისის სემპლი ჯერ კიდევ "მასტერ ჯერვის" ეძახის მისტერ პენდლტონს და მასზე ისე ლაპარაკობს, თითქოს პატარა საყვარელი ბავშვი იყოს. მისი პატარაობის კულულიც კი აქვს შენახული. სათუთად უდევს კოლოფში. კულული წითელი ფერისაა ან ყოველ შემთხვევაში, მოწითალო!

მას შემდეგ, რაც სემპლმა გაიგო, რომ მასტერ ჯერვის ვიცნობდი, მის თვალში საოცრად ავმაღლდი. პენდლტონების ოჯახის ერთ-ერთ წევრთან ნაცნობობა ლოკ უილოუს მაცხოვრებლებისათვის საუკეთესო რეკომენდაციაა. მისტერ ჯერვი კი ამ ოჯახის თვალია. მიხარია, რომ ჯულია მისი საგვარეულო ხის ყველაზე დაბალ შტოს ეკუთვნის.

ფერმა სულ უფრო და უფრო მიტაცებს. გუშინ თივის ფურგონით ვიმგზავრე. სამი ღორი და პატარა გოჭი გვყვავს. უნდა ნახო, როგორ ჭამენ. ნამდვილი ღორები არიან! გვყვავს, აგრეთვე, უთვალავი პაწაწინა წიწილა, იხვი, ინდაური და ციცარი. აბა, რომელი გიჟი გაჩერდება ქალაქში, როცა შეუძლია, ფერმაში იცხოვროს?!

ჩემი ყოველდღიური საქმიანობა კვერცხების მოგროვებაა. გუშინ, ბეღლის სხვენზე საბუდრისაკენ რომ მივცოცავდი, რომელიც შავმა დედალმა თავისთვის ჩუმად მოიწყო, ძელიდან გად-

მოვვარდი და მუხლგადაყვლეფილი შევედი სახლში. მისის სემპლმა თხილის ძირების ნაყენში დასველებული საფენით შემიხვია მუხლი, თან ბუტბუტებდა: "ღმერთო, ღმერთო! თითქოს გუშინ იყო, მასტერ ჯერვი რომ ამავე ძელიდან ჩამოვარდა და იმანაც სწორედ ეს მუხლი დაიშავა".

ფერმის რომელ მხარესაც უნდა გაიხედო, თვალს გტაცებს შესანიშნავი პეიზაჟი: მდელოები, ტყით დაფარული ბორცვები, მდინარე, მოშორებით კი - მაღლა აზიდული ლურჯი მთა, რომლის ცქერითაც თვალი ვერ ძღება.

კარაქს კვირაში ორჯერ ვდღვებავთ. ნაღებს ბუნებრივ მაცივარში ვინახავთ, რომელიც ქვითაა ამოშენებული და ცივი ნაკადული ჩამოუდის. სოფელში ზოგიერთ ფერმერს სეპარატორი აქვს, მაგრამ ჩვენ ტექნიკის ახალ მიღწევებს არ ვიყენებთ. შესაძლოა, ქვაბში კარაქის შედღვება უფრო ძნელია, მაგრამ, სამაგიეროდ, შედეგი უკეთესია. ექვსი ხბო გვყავს. ყველას სახელები შევარქვი.

1. სილვია,[32] რაკი ტყეში დაიბადა;
2. ლესბია, ლესბიას პატივსაცემად, კატულუსის მიხედვით;
3. სელი;
4. ჯულია - ლაქებიანი, გაურკვეველი ზნის ცხოველი;
5. ჯუდი - ჩემს პატივსაცემად;
6. გრძელფეხება მამილო. ხომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო? იგი სუფთა ჯერსის ჯიშისაა და ძალიან თვინიერია.

აი, ასეთია - შეგიძლია დარწმუნდე, ეს სახელი როგორ შეეფერება.

ჯერჯერობით დრო ვერ გამოვნახე ჩემი უკვდავი რომანის დასაწყებად. ფერმაში ბევრი სამუშაოა.

---

[32] ტყე.(ლათ. Silva).

ჯუდი.

P.S. ვისწავლე ფუნთუშის გამოცხობა.

PS. (2) თუ ქათმების მოშენებას ფიქრობ, ნება მიბოძე, გირჩიო ყვითელი ორპინგტონის ჯიში. მისი ბუმბული ქინძისთავივით არ იჩხვლიტება.

P.S. (3) როგორ მინდა, ერთი ქილა ჩემი შედღვებილი ახალი, გემრიელი კარაქი გამოგიგზავნო. რძის ნაწარმის დამზადებაში საკმაოდ დავხელოვნდი.

P.S. (4) ამ სურათზე მის ჯერუშა ებოტი, მომავალი დიდი მწერალი, ძროხებს შინისაკენ მიერეკება.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ერთი სასაცილო ამბავი უნდა გითხრა! წერილის წერა გუშინ, ნაშუადღევს დავიწყე, მაგრამ როგორც კი დავწერე "ძვირფასო გრძელფეხება მამილო", მომაგონდა, რომ ვახშმისათვის მაყვალი უნდა დამეკრიფა. წავედი, ფურცელი მაგიდაზე გაშლილი დავტოვე და როცა დღეს ისევ მივუბრუნდი წერილს, თუ იცი, რა ვნახე ზედ შუა ფურცელზე? ნამდვილი გრძელფეხება მამილო![33]

ძალიან ფრთხილად წავავლე ხელი და ფანჯრიდან გადავისროლე. ობობას ჩემს დღეში არაფერს დავუშავებ. იგი ყოველთვის შენს თავს მაგონებს.

ამ დილით რესორებიან ეტლში ცხენები შევაბით და ეკლესიისკენ გავწიეთ. მშვენიერი, პატარა, თეთრი, შპილიანი ეკლესიაა, რომელსაც დორიული სვეტები ამშვენებს (ან იქნებ იონური. ესენი ერთმანეთში მერევა.).

მშვენიერი ძილის მომგვრელი წირვა მოვისმინეთ. გაბრუებული მლოცველები მარაოებივით იქნევდნენ პალმის ფოთლებს. გარედან კრუალების ხმა შემოდიოდა. ვთვლემდი და მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როდესაც ფეხზე წამოვდექი, რადგან ჰიმნი უნდა გვეგალობა. ძალიან მეწყინა, ქადაგებას რომ ვერ მოვუსმინე. მინდოდა, უკეთ ჩავწვდომოდი იმ კაცის ფსიქოლოგიას, რომელიც ასეთ ჰიმნს გვამღერებდა:

"მოდი, დატოვე მიწიერი ვნებანი შენი,
აქ, ჩემთან ერთად, ზეციური სიამე გელის.

[33] Daddy-Long-Legs შედგება სამი სიტყვისაგან: Daddy -მამა, მოფერებით - მამილო,Long - გრძელი, Legs - ფეხები. ამავე დროს ნიშნავს მთიბავს.(ობობას ერთ-ერთი სახეობა)

და თუ არ მოხვალ, წილად გხვდება ბედი ეგეთი:
შავბნელ შრეებში გადაგკარგავს შენ ჯოჯოხეთი.”

მივხვდი, რომ სემპლებთან რელიგიაზე დავა არ შეიძლება, მათი ღმერთი (რომელიც მათ პურიტანი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოეცათ) შეზღუდული, უგუნური, უსამართლო, მდაბალი, შურისმაძიებელი, ფანატიკური არსებაა. მადლობა უფალს, მემკვიდრეობით ღმერთი არავისგან მიმიღია, და როგორც მსურს, ისე წარმოვიდგენ მას. ჩემი ღმერთი კეთილია, სიმპათიური, მოწყალე, გულისხმიერი და დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული.

სემპლები ძალიან მიყვარს. მათი ცხოვრების წესი ბევრად სჯობს მათ თეორიას ცხოვრებაზე. ისინი თავიანთ ღმერთზე უკეთესები არიან. ასეც ვუთხარი; ძალიან შეშფოთდნენ. ღვთისმგმობლად ჩამთვალეს. მე კი მგონია, თვითონ უფრო მკრეხელობას სჩადიან. ამის შემდეგ ჩვენი საუბრებიდან თეოლოგია სრულიად გამოვრიცხეთ.

დღეს კვირაა. შუადღე გადავიდა.

ამაზაი (მოჯამაგირე) წითელი ჰალსტუხითა და მყვირალა ყვითელი ფერის ტყავის ხელთათმანებით მორთული აჭარხლებული და საგულდაგულოდ გაპარსული, კერისთან (მოსამსახურე გოგო) ერთად ეტლით წავიდა სასეირნოდ. კერის წითელი ვარდებით მორთული დიდი ქუდი ეხურა, ლურჯი მუსლინის კაბა ეცვა და თმა წვრილად ჰქონდა დახვეული. ამაზაი მთელი დილა ეტლს რეცხავდა. კერი ეკლესიაში არ წავიდა, სადილი უნდა გავაკეთოო, სინამდვილეში კი კაბას იუთოებდა.

ორი წუთის შემდეგ, როდესაც წერილის წერას დავამთავრებ, ერთ წიგნს უნდა ჩავუჯდე. სხვენზე ვიპოვე. მისი სათაურია “ნაკვალევზე”. პირველ გვერდზე ბავშვური სასაცილო ხელით მიწერილი აქვს:

“ჯერვი პენდლტონი.

ეს წიგნი თუ სადმე სახეტიალოდ გაიქცეს,
ყური აუწიე და შინ დააბრუნე”.

ერთხელ ავადმყოფობის შემდეგ თერთმეტი წლისას ზაფხული აქ გაუტარებია. ეს წიგნი მაშინ დაუტოვებია. ეტყობა, ბევრჯერ წაუკითხავს. ფურცლებზე პატარა ჭუჭყიანი კვალი ამჩნევია. სხვენის ერთ კუთხეშიწყლის ბორბალი და ქარის წისქვილი ვიპოვე, კიდევ - რამდენიმე მშვილდი და ისარი. მისის სემპლი ისე ხშირად ლაპარაკობს მასტერ ჯერვის ბავშვობაზე, რომ ის აბრეშუმის შლაპიანი და ტროსტიანი კაცი კი არ მგონია, არამედ პატარა მშვენიერი ბიჭუნა - მოთხუპნული, თმააბურძგნილი, ბრაგაბრუგით რომ არბი-ჩამორბის კიბეზე, მუდამ ავიწყდება კარის დაკეტვა და წამდაუწუმ ტკბილეულს ითხოვს (მე შენ გეტყვი, მისის სემპლი როდისმე უარს ეტყოდა ტკბილეულზე, იმის ხასიათი რომ ვიცი!). ის თავგადასავლების მოყვარული პატარა არსება იქნებოდა, მამაცი და სამართლიანი. მწყინს, რომ ასეთი პიროვნება პენდლტონია. იგი გაცილებით უკეთესი ხვედრის ღირსი იყო.

ხვალ შვრიის ლეწვას ვიწყებთ. ორთქლის მანქანა და სამი დამხმარე მუშა გვჭირდება.

მწუხარებით უნდა შეგატყობინო, რომ ლომისფეხამ (ცალრქიანმა, ლაქებიანმა ძროხამ, ლესბიას დედამ) სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. პარასკევ საღამოს ბაღჩაში შეიპარა და ხეების ქვეშ დაყრილი ვაშლები მიირთვა. ჭამა და ჭამა, სანამ თავში არ აუვარდა. ორი დღე უგონოდ მთვრალი იყო. მართალს გეუბნები. ოდესმე თუ გაგიგონია ასეთი აღმაშფოთებელი ამბავი?

სერ,
კვლავინდებურად შენი
ერთგული ობოლი

ჯუდი ებოტი.

P.S. პირველ თავში ინდიელებზეა ლაპარაკი, მეორეში - ყაჩაღებზე, ერთი სული მაქვს, გავიგო, რა არის მესამე თავში! “წითელი ქორი” ოც ფუტზე ავარდა ჰაერში და მკვდარი დაენარცხა ძირს. ეს წიგნის სატიტულო ილუსტრაციის შინაარსია. ამ წიგნმა ჯერვი და ჯუდი კარგად გაართო. არა, განა?

15 სექტემბერი

ძვირფასო მამილო!

გუშინ კორნერის მთავარ საწყობში ფქვილის სასწორზე ავიწონე. ცხრა გირვანქა მაქვს მომატებული. ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ლოკ უილოუ, როგორც გამაჯანსაღებელი კურორტი.

მარად შენი

ჯუდი.

25 სექტემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ნუ მეხუმრები - მეორეკურსელი ვარ! პარასკევს ჩამოვედი. ძალიან მიმძიმდა ლოკ უილოუს დატოვება, მაგრამ კოლეჯის ნახვამაც ძალიან გამახარა. რა სასიამოვნო გრძნობაა ნაცნობ გარემოში დაბრუნება. კოლეჯში თანდათან თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში და ჩემს თავსაც მოვერიე. უფრო მეტიც, ცა ქუდად აღარ მიმაჩნია და დედამიწა - ქალამნად. თითქოს ეს ქვეყანა მხოლოდ მე მეკუთვნოდეს და სხვისი წყალობით არ ვტივტივებდე მის ზედაპირზე.

არა მგონია, ხვდებოდე, რისი თქმა მინდა. ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება, როგორიც მეურვეა, ვერასოდეს გაუგებს ისეთ უმნიშვნელო არსებას, როგორიც უსახლკაროა.

ახლა კი, მამილო, მომისმინე, რა უნდა გითხრა. თუ იცი, ამჯერად ვისთან ვარ ბინაში? ვისთან და, სელი მაკბრაიდთან და ჯულია პენდლტონთან. მართალს გეუბნები. ჩვენ საერთო კაბინეტი და თითო პატარა საძინებელი ოთახი გვაქვს - Voila![34]

სელიმ და მე გაზაფხულზევე გადავწყვიტეთ, შემდეგი წლისათვის ერთად დავბინავებულიყავით. ჯულიამ კი სელისთან მოინდომა დარჩენა. რატომ, არ მესმის. აბსოლუტურად არ ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ პენდლტონები ხომ კონსერვატორი ხალხია, მტრულად არიან განწყობილი (რა კარგი სიტყვაა) ყოველგვარი ცვლილებებისადმი. ასე თუ ისე, ფაქტი ჯიუტია. წარმოგიდგენია, ჯონ გრაიერის თავშესაფრის ობოლ ჯერუშა ებოტს პენდლტონთან ერთად ჰქონდეს ბინა? ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობ.

სელიმ თავისი კანდიდატურა წამოაყენა ჯგუფის ხელმძღვანელობაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით საიმედო ნიშნებს ვერ ვხედავთ, მაინც იმედი აქვს, რომ მას აირჩევენ. ხედავ, რა ინტრიგების ატმოსფეროში ვცხოვრობთ. ნეტავ გაჩვენა, რა დიდი პოლიტიკოსები ვართ. მამილო, იცოდე, თუ ქალებს ხელში ჩაგვივარდა ძალაუფლება, მამაკაცები უნდა გვიფრთხილდეთ, თქვენი უფლებები სულ არ დაკარგოთ. არჩევნები ჩატარდება შაბათს. საღამოს კი, ვინც უნდა აირჩიონ, მაინც მოვაწყობთ ჩირაღდნებით სვლას.

ქიმიის სწავლა დავიწყე. მეტად უჩვეულო საგანია. აქამდე მსგავსი არაფერი წარმომედგინა. არ ვიცოდი, თუ მოლეკულებსა და ატომებს ასეთი არსებითი მნიშვნელობა და ასეთი უსაზღვრო შესაძლებლობები ჰქონდათ. უფრო გარკვევით ერთი თვის შემდეგ შემეძლება ამაზე მსჯელობა.

ვსწავლობ, აგრეთვე, არგუმენტაციასა და ლოგიკას.

---

[34] ხომ ხედავ.(ფრანგ.)

მსოფლიო ისტორიას.

უილიამ შექსპირის პიესებს.

ფრანგულს.

ასე თუ გაგრძელდა, ჩემგან სავსებით ჭკვიანი ქალი დადგება.

ჩემთვის რომ ეკითხათ, ფრანგულის მაგივრად ეკონომიკას ავირჩევდი, მაგრამ თქმა ვერ გავბედე. შემეშინდა, ისევ ფრანგული რომ არ ამერჩია, პროფესორი გამოცდებზე არ დამიშვებდა. ივნისის გამოცდებზე ისედაც გაჭირვებით მოვახერხე გასვლა. უნდა ვაღიარო, რომ სკოლიდან გამოყოლილი ცოდნის მარაგი საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩვენს ჯგუფში ერთი გოგო ფრანგულად ისე თავისუფლად ტიკტიკებს, თითქოს მშობლიური ენა იყოს. დედ-მამასთან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობდა, მთელი სამი წელი, თურმე, ქალთა მონასტერში სწავლობდა. ხომ წარმოგიდგენია, როგორ უნდა ბრწყინავდეს იგი ჩვენ შორის. არაწესიერი ზმნები მისთვის გასართობია. მერჩივნა, ჩემ მშობლებს მონასტერში მივეგდე. მაგრამ, არა, არ მინდა, რადგან მაშინ, შესაძლოა, ვერასოდეს მენახე. ფრანგულის ცოდნას მირჩევნია, შენ გიცნობდე.

მშვიდობით, მამილო. ჰარიეტ მარტინთან უნდა შევიარო. ქიმია უნდა ჩავაბულბულოთ და თან, სხვათა შორის, სიტყვა უნდა ჩამოვუგდო ჩვენი ჯგუფის მომავალ ხელმძღვანელზე.

შენი პოლიტიკაში ჩაფლული

ჯ. ებოტი.

17 ოქტომბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

წარმოიდგინე ფიზკულტურის დარბაზში ლიმონის ჟელეთი სავსე საცურაო აუზი. ადამიანი შეძლებს ცურვას თუ ჩაიძირება?

ასეთი საკითხი წამოიჭრა სადილზე, როდესაც დესერტად ლიმონის ჟელე მოგვართვეს. მთელი ნახევარი საათი გაცხარებული ვკამათობდით და საკითხი აქამდე გადაუჭრელი დაგვრჩა. სელი ფიქრობს, არ ჩავიძირებოდით, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო მოცურავეც კი ჩაიძირებოდა. რა სასაცილოა ლიმონის ჟელეში დახრჩობა.

ჩვენ კიდევ ორი საკითხი გვაინტერესებდა.

1. რა ფორმისაა ოთახები რვაკუთხა სახლში? ზოგი გოგო ფიქრობს, რომ კვადრატულია. მე კი მგონია, ღვეზელის ნაჭერს უნდა წააგავდეს. არა ვარ მართალი?

2. წარმოიდგინე, რომ სარკისკედლებიან დიდ სფეროში ზიხარ. სად დამთავრდება სახის ანარეკლი და სად დაიწყება - ზურგის? რაც უფრო მეტად ჩაუკვირდები ამ პრობლემას, მით უფრო თავსატეხად მოგეჩვენება. ხომ ხედავ, რა ღრმა ფილოსოფიური საკითხების გადაჭრას ვანდომებთ

თავისუფალ დროს!

არჩვნებზე არაფერი მითქვამს?

სამი კვირის წინ ჩატარდა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ისეთი ჩქარი ტემპით მიედინება, რომ სამი კვირა ჩვენთვის უძველესი ხანაა. სელი აირჩიეს. ჩირაღდნებიანი აღლუმი მოვუწყეთ. ტრანსპარანტზე გვეწერა: "მაკბრაიდი მარად და მარად!" ორკესტრიც გვყვავდა თოთხმეტი ინსტრუმენტის შემადგენლობით (სამი პირის გარმონი და თერთმეტი სავარცხელი).

ახლა ჩვენ, 258-ე ბინის მცხოვრებლები, წარჩინებული პირები გავხდით. ჯულიასა და მე სელის დიდების ანარეკლი გვეფრქვევა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ჯგუფის ხელმძღვანელის გვერდით ცხოვრება!Bonne nuit, cher[35] მამილო,

Acceptez mes compliments.

Tres Respectueux,

Je suis

Votre[36]

ჯუდი.

[35] ღამე მშვიდობის, ძვირფასო.(ფრანგ.)

[36] უღრმესი პატივისცემით, თქვენი.(ფრანგ.)

12 ნოემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

გუშინ კალათბურთში პირველკურსელები დავამარცხეთ. რა თქმა უნდა, კმაყოფილი დავრჩით. მაგრამ საქმე ის იყო, მესამეკურსელები დაგვემარცხებინა! მთლად რომ დავეჟეჟეთ და დაველურჯებინეთ, თუნდაც მთელი კვირა ჰამამელისის ნაყენის საფენებით ვწოლილიყავი, თანახმა ვიქნებოდი, ოღონდ მაგათთვის მოგვეგო.

სელიმ მთხოვა, საშობაო არდადეგები ჩემთან გაატარეო. სელი ვუსტერში ცხოვრობს, მასაჩუსეტსის შტატში. ხომ კარგი გოგოა, რომ დამპატიჟა! ძალიან მინდა წასვლა. ჯერ ჩემ სიცოცხლეში ოჯახურ გარემოში არ მიცხოვრია, თუ ლოკ უილოუს არ ჩავთვლით. სემპლები რა ჩემი ტოლები არიან! მოხუცები არიან და არ ითვლებიან. მაკბრაიდებთან კი სახლი სავსეა ახალგაზრდებით (ყოველ შემთხვევაში, ორი-სამი მაინც იქნება). სელის ჰყავს დედა, მამა, დიდედა და ანგორის კატა. სრულყოფილი ოჯახია! ჯერ მარტო ბარგის ჩალაგება და გამგზავრება ათასჯერ უფრო სახალისოა, ვიდრე აქ დარჩენა. გამგზავრებას რომ წარმოვიდგენ, ლამის გავგიჟდე სიხარულისაგან.

მეშვიდე საათია - რეპეტიციაზე მაგვიანდება. მასაჩუსეტსის დღესასწაულისადმი[37] მიძღვნილ სპექტაკლში ვმონაწილეობ. კოშკში ოქროსფერკულულებიანი, ხავერდის ტუნიკში გამოწყობილი პრინცი მელის. ხომ კარგი თავშესაქცევია?

შენი

ჯ. ე.

[37] უღრმამერიკაში ნოემბრის ბოლო ხუთშაბათს იმართება დღესასწაული მასაჩუსეტსის პირველი კოლონისტების ხსოვნის აღსანიშნავად.

გაინტერესებს, როგორ გამოვიყურები? აი, სამივეს ფოტო. ლეონორა ფენტონმა გადაგვიღო.

ქერა, რომ იცინის, სელია; მაღალი, ცხვირი რომ მაღლა აქვს აწეული - ჯულიაა; პატარა, სახეზე თმაჩამოშლილი გოგო, ჯუდია. სინამდვილეში იგი უფრო ლამაზია, მაგრამ აქ მზე თვალებს სჭრიდა და კარგად ვერ გამოვიდა.

"ქვის ჭიშკარი",

ვუსტერი, მასაჩუსეტსი,
31 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

რამდენი ხანია, მინდა მოგწერო და მადლობა გადაგიხადო საშობაო ჩეკისათვის, მაგრამ მაკბრაიდების სახლში სიცოცხლე ისე ჩქეფს, რომ ერთი წუთიც ვერ გამოვნახე, საწერ მაგიდას მივჯდომოდი.

ვიყიდე ახალი კაბა, რომელიც არ მჭირდება, მაგრამ მინდოდა, მქონოდა. საშობაო საჩუქარი წელს გრძელფეხება მამილომ გამომიგზავნა, ოჯახმა კი მხოლოდ მოკითხვა შემომითვალა.

შესანიშნავად ვატარებ არდადეგებს სელისთან. სელი დიდ, ძველებურ აგურის სახლში ცხოვრობს. ზუსტად ისეთი სახლია, ჯონ გრაიერის თავშესაფრიდან ცნობისმოყვარეობით რომ გავყურებდი ხოლმე და თავს ვიტეხდი, ნეტავ, შიგნით როგორია-მეთქი. არ მოველოდი, თუ როდისმე მეღირსებოდა ასეთი სახლის დათვალიერება, მაგრამ მეღირსა. აქ ყველაფერი კეთილმოწყობილია, სიმშვიდის მომგვრელი და მყუდრო; ოთახიდან ოთახში დავდივარ და იქაურობის ცქერით ვერ ვძღები.

ეს სახლი პირდაპირ მისწრებაა ბავშვებისათვის: ჩაბნელებული კუთხეებიდამალობანას სათამაშოდ, ბუხრები - სიმინდის შესაწვავად, სხვენი - წვიმიან ამინდში გასართობად და ბურთულებიანი კიბის მოაჯირები - სასრიალოდ; ძალიან დიდი მზიანი სამზარეულო აქვთ და სახემცინარი, მშვენიერი, მსუქანი მზარეული ჰყავთ (უკვე ცამეტი წელია, ამ ოჯახში ცხოვრობს). ამ ქალს ბავშვებისათვის ნამცხვრის გამოსაცხობად ყოველთვის მზადა აქვს

ცომი. ასეთი სახლის ნახვამ, შეუძლებელია, კაცს ბავშვობა არ ანატრებინოს.

ახლა ოჯახს არ იკითხავ? არ მეგონა, ასეთი კარგი ხალხი თუ არსებობს ქვეყნად. სელის ჰყავს დედ-მამა, დიდედა, ძალიან საყვარელი სამი წლის კულულებიანი დაიკო, საშუალო ტანის ძმა, რომელსაც სულ ავიწყდება ფეხის გაწმენდა და აგრეთვე ზორბა, ლამაზი ძმა ჯიმი, რომელიც მესამე კურსზეა პრინსტონში.

ჩვენი სუფრა ყოველთვის მხიარულია. ყველანი ერთად ვლაპარაკობთ, ვხუმრობთ და ვიცინით. ჭამის წინ არ ვლოცულობთ. ძალიან დიდი შვებაა, მადლობას რომ არ იხდი თითოეული ლუკმისათვის (ამის თქმა, ალბათ, ღვთის გმობაა, მაგრამ შენც ჩემსავით იძულებით რომ გეხადა იმდენი მადლობა, რამდენიც მე გადამიხდია, იმასვე იტყოდი).

რითი აღარ ვერთობით! არც კი ვიცი, რით დავიწყო. მისტერ მაკბრაიდი ფაბრიკის მფლობელია. შობის წინა დღეს შესაფუთ საამქროში ნაძვის ხე დადგა თანამშრომელთა ბავშვებისათვის. საამქრო მარადმწვანე მცენარეებითა და ბაძგით მორთეს. ჯიმი მაკბრაიდს სანტა კლაუსის სამოსელი ეცვა. მე და სელი საჩუქრების დარიგებაში ვეხმარებოდით.

ღმერთო ჩემო, მამილო, რა უცნაური გრძნობა გამიჩნდა. ჩემი თავი, ჯონ გრაიერის თავშესაფრის მეურვისდაგვარად, ქველმოქმედი მეგონა. ერთ პატარა საყვარელ მორცხვ ბიჭს ვაკოცე, მაგრამ თავზე ხელი, მგონი, არავისთვის გადამისვამს.

შობის მესამე დღეს კი მაკბრაიდებმა ცეკვები მოაწყვეს სპეციალურად ჩემთვის.

ეს იყო ჩემი პირველი ნამდვილი მეჯლისი. კოლეჯს არ ვთვლი, იმიტომ, რომ იქ მხოლოდ გოგონები ვცეკვავდით. მეცვა ახალი თეთრი საღამოს კაბა (შენი საშობაო საჩუქარი, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნი), გრძელი თეთრი ხელთათმანები და თეთრი აბრეშუმის ფეხსაცმელი. ჩემს სრულ ბედნიერებას მხოლოდ ერ-

თი რამ აკლდა - მისის ლიპეტი ვერ ხედავდა, როგორ მიმყავდა კოტილიონი[38] ჯიმი მაკბრაიდთან ერთად. ძალიან გთხოვ, უამბე, როცა ჯ. გ. თავშესაფარში იქნები.

მარად შენი

ჯუდი ებოტი.

P.S. ძალიან გეწყინება, მამილო, თუ ჩემგან მწერალი კი არა, ერთი უბრალო გოგო გამოვა?

[38] ცეკვა.

ძვირფასო მამილო!

დღეს ქალაქში ვიყავით, მაგრამ ღმერთო დიდებულო, რა თავსხმაში მოვყევით! ზამთარი ზამთარს უნდა ჰგავდეს და თოვლის მაგივრად წვიმა არ უნდა მოდიოდეს.

ჯულიას სასურველმა ბიძამ კიდევ შემოიარა ნაშუადღევს და ხუთგირვანქიანი შოკოლადის კოლოფი მოგვართვა. ხედავ, ჯულიასთან ერთად ცხოვრებას რა უპირატესობა ჰქონია?

ჯერვი პენდლტონი, ეტყობა, გაართო ჩვენმა უწყინარმა ტიკტიკმა. გვიანობამდე დარჩა, ყველაზე ბოლო მატარებლამდე. ჩაიც ჩვენთან ერთად დალია. კოლეჯში მამებისა და პაპების სტუმრად მიღება ძალიან ძნელია, ბიძებისა - უფრო ძნელი, ხოლო ძმებსა და ბიძაშვილებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჯულიას ნოტარიუსის წინაშე მოუხდა მტკიცება, რომ ჯერვი პენდლტონი ნამდვილად მისი ბიძა იყო და მერე ქალაქის რწმუნებულის წერილობითი მოწმობაც დაურთო (ხედავ, რამდენი რამ მცოდნია კანონების შესახებ). მიუხედავად ამისა, დეკანს რომ თვალი მოეკრა ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა ბიძია ჯერვისათვის, რაღაც ეჭვი მეპარება, ჩვენთვის მისი ჩაიზე დაპატიჟების ნება მოეცა.

ჩაიზე გვქონდა შავი პურისა და შვეიცარული ყველის სენდვიჩები. მასტერ ჯერვი სენდვიჩების მომზადებაში მოგვეხმარა და ოთხი თვითონვე მიირთვა. ვუთხარი, რომ ზაფხულში ლოკ უილოუში ვისვენებდი. მშვენივრად წავიჭორავეთ სემპლებზე; ცხენებზე, ძროხებსა და წიწილებზეც ბევრი ვისაუბრეთ. გროვერის გარდა, არც ერთი ცხენი, რომელიც მასტერ ჯერვის ახსოვდა, ცოცხალი აღარ არის. გროვერი მაშინ კვიცი იყო, ახლა კი, საწყალი, ისეთი ბებერია, ძლივსღა დალასლასებს.

მასტერ ჯერვიმ მკითხა, სემპლები ტკბილ კვერებს ძველებურად, ლურჯთეფშგადაფარებულ ყვითელ ქოთანში თუ ინახავენ, საკუჭნაოს სულ ქვედა თაროზე რომ იდგაო. მე ვუპასუხე, ახლაც ზუსტად ასევეა-მეთქი. მერე უნდოდა გაეგო, კიდევ არის თუ არა ღამის საძოვარზე, კლდეებში ზაზუნას ხვრელი. ისიც ისევ ისეა, უცვლელად. ამ გაზაფხულს ამაზაიმ ერთი დიდი მსუქანი, ნაცრისფერი ზაზუნა დაიჭირა. ის, ალბათ, ოცდამეხუთე თაობის შვილიშვილი იქნებოდა იმ ზაზუნისა, რომელიც მატერ ჯერვის პატარაობისას დაუჭერია.

მისტერ პენდლტონს "მასტერ ჯერვის" ვეძახი, მაგრამ ნაწყენი არ უნდა იყოს. ჯულიამ თქვა, ასეთი მეგობრული არასოდეს ყოფილაო. საერთოდ, უკარება ჩანს. ჯულიას სრულებით არა აქვს ტაქტი. მამაკაცებთან, როგორც ჩანს, დიდი ტაქტია საჭირო. ხელს გადაუსვამ, კრუტუნებენ, თუ არა და - ფრუტუნებენ (ლამაზი მეტაფორა არ არის, მაგრამ ხატოვნად გამოვხატე).

მარია ბაშკირცევას[39] დღიურებს ვკითხულობთ. განსაცვიფრებელი წიგნია. აბა, ყური მიგდე: "წუხელ მწუხარებამ ისე შემიპყრო, ხმამაღლა ვკვნესოდი, ბოლოს იქამდე მივედი, რომ ხელი ვტაცე სასადილო ოთახის საათს და ზღვაში ვისროლე".

კიდევ კარგი, გენიოსი არა ვარ. როგორც ჩანს, გენიოსები მომაბეზრებელი ხალხია, თანაც ნივთებს მათგან დიდი საფრთხე ელით.

ღმერთო მოწყალეო, როგორი კოკისპირული წვიმაა. ამაღამ ცურვით მოგვიხდება ეკლესიაში წასვლა.

მარად შენი

ჯუდი

---

[39] მარია ბაშკირცევა მე-19 საუკუნის რუსი მხატვარი და მწერალია. ცხოვრობდა საზღვარგარეთ. უმთავრესად ცნობილია, როგორც "დღიურების" ავტორი.(Journal de Marie Bashkirtself, 1887) რომელიც თარგმნილია მრავალ ენაზე. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1893 წელს.)

20 იანვარი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ხომ არ გყოლია პატარა, მშვენიერი ბავშვი, რომელიც აკვნიდან მოგპარეს?

იქნებ ის ბავშვი მე ვარ? ჩვენ რომ რომანის გმირები ვყოფილიყავით, ეს კვანძის გახსნა იქნებოდა, არა?

მართლაც ძალზე უცნაურია, არ იცოდე - ვინა ხარ, ამაღელვებელიცაა და რომანტიკულიც. უამრავი რამ შეიძლება იფიქროს კაცმა. იქნებ არცა ვარ ამერიკელი. ყველა ბავშვი ხომ ამერიკელი არ იქნება? შესაძლოა, ძველი რომაელების პირდაპირი ჩამომავალი ვარ ან ვიკინგის ქალიშვილი; ან იქნებ რუსი ემიგრანტის შვილი ვარ და კანონით ციმბირის ციხეში ჯდომა მეკუთვნის. იქნებ ბოშა ვარ? ნამდვილად ასე იქნება. მოხეტიალე ბუნება მაქვს, თუმცა აქამდე ჩემი ბუნების გამოსავლენად შემთხვევა არ მომცემია.

იცი თუ არა, რომ ჩემს წარსულში ერთი შავი ლაქაა - ერთხელ თავშესაფრიდან გავიქეცი. ნამცხვრების მოპარვისათვის მცემეს და იმიტომ. ეს ამბავი თავშესაფრის წიგნებშია ჩაწერილი და ყოველ მეურვეს შეუძლია წაიკითხოს. აბა, მითხარი, მამილო, გასაკვირია - ცხრა წლის მშიერ გოგოს ნამცხვრები აეღო, როცა ის დანების საწმენდად საკუჭნაოში დასვეს, ნამცხვრებით სავსე ქვაბი დაუდგეს და მარტო დატოვეს? მერე უეცრად დაბრუნდნენ და გაუკვირდათ, რომ ბავშვის წინ ნამცხვრის ნაფხვენები ნახეს. კარგად მახსოვს, მუჯლუგუნი მკრეს, სილა გამაწნეს, მაგიდიდან სწორედ იმ დროს ამაგდეს, როცა პუდინგი მოჰქონდათ და ბავშვების წინაშე გამოაცხადეს, რომ მე ქურდი ვარ. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გავიქეცი. მხოლოდ ოთხი მილის გარბენა მო-

ვასწარი. დამიჭირეს და უკან დამაბრუნეს. ყოველდღე, მთელი კვირის განმავლობაში, ეზოს ბოლოში ანცი ლეკვივით მიმაბამდნენ ხოლმე სამარცხვინო ბოძზე. და ეს ემთხვეოდა შესვენებებს, როცა ბავშვები გარეთ იყვნენ გამოსული სათამაშოდ.

ო, ღმერთო ჩემო! ეკლესიის ზარია! წირვის შემდეგ კომიტეტის სხდომა მაქვს. ძალიან ვწუხვარ, თავშესაქცევი წერილის მოწერას ვაპირებდი.

Auf wiedersehen.[40]

Cher[41] მამილო

Pax tibi[42]

ჯუდი.

P.S. დარწმუნებით ერთი რამის თქმა შემიძლია, რასაც წყალი არ გაუვა: ჩინელი არა ვარ!

[40] ნახვამდის.(გერმ.)
[41] ძვირფასო.(ფრანგ.)
[42] მშვიდობა შენდა.(ლათ.)

4 თებერვალი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ჯიმი მაკბრაიდმა პრინსტონის დროშა გამომიგზავნა. იმხელაა, მთელ კედელს დაფარავს. ძალიან მადლობელი ვარ, რომ გავახსენდი, მაგრამ არ ვიცი, რა მოვუხერხო. სელი და ჯულია ნებას არ მაძლევენ, ოთახში ჩამოვკიდო. წელს ოთახში წითელი ფერის ავეჯი გვიდგას. განა ეფექტური არ იქნებოდა, წითელს ფორთოხლისფერი და შავი შემატებოდა? ისეთი თბილი, რბილი და სასიამოვნო ქსოვილია, აფსუსია, რამეში არ გამოვიყენო. იქნებ აბანოს ხალათი შემეკერა?! უხერხული ხომ არ იქნება? ჩემი ხალათი გარეცხვის შემდეგ შედგა.

ამ ბოლო დროს სრულიად არაფერს გწერ მეცადინეობის შესახებ. თუმცა წერილებიდან არ ჩანს, მაგრამ მთელი ჩემი დრო ძირითადად მეცადინეობას მიაქვს. ერთდროულად ხუთი საგნის შესწავლა იოლი საქმე როდია.

“ჭეშმარიტი ცოდნის საზომია დეტალებისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება”, - გვეუბნება ქიმიის პროფესორი.

“დეტალებზე ნუ გაამახვილებთ ყურადღებას, - ამბობს ისტორიის პროფესორი, - შორს დადექით და მთლიანობის პერსპექტივას აღიქვამთ”.

ალბათ, ხვდები, რომ ჩვენი იალქანი ხომალდს ხან ქიმიისკენ მიუბრუნებს ცხვირს, ხან ისტორიისაკენ. ისტორიული მეთოდი უფრო ხელს მაძლევს. თუ ვიტყვი, უილიამ დამპყრობელმა 1492-ში დაგვიპყრო, ხოლო კოლუმბმა ამერიკა 1100 თუ 1066 წელს აღმოაჩინა, ან როცა იყო - ეს უბრალო დეტალია, რომელსაც პროფესორი ყურადღებას არ მიაქცევს. მაშასადამე, ისტორიაში

პასუხის დროს შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, ქიმიაში კი ამ შესაძლებლობას მოკლებულები ვართ.

ექვსი საათის ზარია - ლაბორატორიაში უნდა წავიდე და ზოგიერთი რამ გავარკვიო მჟავების, მარილებისა და ტუტეების შესახებ. ამას წინათ წინსაფარი ამომეწვა ქლორწყალბადმჟავით. ამომწვარი ადგილი თეფშისოდენა იქნებოდა. თეორია რომ ჭრიდეს, შემეძლებოდა, გამომწვარი ადგილი ამიაკის ძლიერი ხსნარით გამენეიტრალებინა. ასე არ არის?

გამოცდები კარზე მომადგა, მაგრამ ვის ეშინია?

მარად შენი

ჯუდი.

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

მარტის ქარი ქრის დაცა შავი, მძიმე, მოძრავი ღრუბლებით არის დაფარული. ყვავებს ფიჭვის ხეებზე ისეთი მხიარული ჟივილ-ხივილი აუტეხავთ, ისეთი დამათრობელი, გამამხნევებელი, მაცდუნებელი ხმებია, შენც გინდა, დახურო წიგნი და ქარს გაჰყვე მთების გადაღმა.

გასულ შაბათს მელიაზე ნადირობა მოვაწყვეთ. მელია (სამი გოგონა, რომლებსაც მომარაგებული ჰქონდათ ერთი ბუშელი[43] კონფეტი[44] მონადირეებზე (ოცდაშვიდი გოგო) ნახევარი საათით ადრე გაუდგა გზას. მე ერთი იმ ოცდაშვიდთაგანი ვიყავი. რვა მონადირეს გზა დაებნა. დავრჩით ცხრამეტნი. კვალმა გორაკებისაკენ წაგვიყვანა, მერე სიმინდის ყანები გადაგვატარა და ჭაობს მიგვაყენა. იძულებული გავხდით, ბექიდან ბექზე გვეხტუნა.

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, ბევრი ჩვენგანი მაინც კოჭებამდე ტალახში ეფლობოდა. კვალს წამდაუწუმ ვკარგავდით და ჭაობის გავლას ოცდახუთი წუთი მაინც მოვანდომეთ. მერე ტყით დაფარული გორა გადავიარეთ და ერთ ბეღელს მივადექით. ბეღლის კარი დაკეტილი დაგვხვდა, ფანჯარა მაღლა იყო და თანაც - პატარა. ბიჭი იყავი და ბეღელში შესულიყავი! მელიის მხრიდან ეს ვერაფერი პატიოსნება იყო.

თუმცა ბეღელში შესვლას არც ვცდილვართ, ირგვლივ შემოვუარეთ და კვალსაც მივაგენით - დაბალი ჩარდახის სახურავიდან ღობეზე გადადიოდა. მელიას ეგონა, აქედან გზას ვეღარ გავაგნებდით, მაგრამ ეშმაკობაში ვაჯობეთ. მინდორზე ორი მილის

[43] მარცვლეულის საზომი ერთეული, უდრის 36,5 ლ) .
[44] ძალიან პატარა, მრგვლად დაჭრილი ფერადი ქაღალდი.

მანძილზე ვდიეთ. ძალიან გაგვიჭირდა დევნა, რადგან კონფეტი აქა-იქღა ეყარა. კანონით, ექვსი ფუტიღა იყო დარჩენილი იმ ადგილამდე, სადაც, ჩვენი ვარაუდით, მელიები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ექვსი ფუტი ისე გრძელი მოგვეჩვენა, ვერ წარმოიდგენ. ბოლოს, ორი საათის თავგამოდებული ჯირითის შემდეგ, მივაკვლიეთ Monsieur[45] მელიას "ბროლის წყაროს" სამზარეულოში (ამ ფერმაში გოგოები მარხილით ან ურმებით წიწილებისა და ვაფლის საჭმელად მოდიან ხოლმე). სამივე მელია მშვიდად მიირთმევდა რძეს, თაფლსა და ბისკვიტს. არ ელოდნენ, თუ მივაგნებდით. ფიქრობდნენ, ბეღლის ფანჯარაში გავიჩხირებოდით.

ორივე მხარე ამტკიცებდა, არა ჩვენ ვართ მოგებული, არა - ჩვენო. ვფიქრობ, მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ. შენ როგორ ფიქრობ? ჩვენ ხომ "მელია" კოლეჯში დაბრუნებამდე დავიჭირეთ. ასე იყო თუ ისე, ცხრამეტივე კალიებივით შევესიეთ სკამებს და თაფლი მოვითხოვეთ. მისის "ბროლის წყარომ" (ასე შევარქვით მოფერებით მისის ჯონსონს) ერთი ქილა მარწყვის მურაბა, სულ რაღაც ერთი კვირის წინ დამზადებული ნეკერჩხლის ავშარაჯი და სამი პური მოგვიტანა.

კოლეჯში შვიდის ნახევარზე დავბრუნდით. სადილზე ნახევარი საათი დავაგვიანეთ, ამიტომ ტანისამოსის გამოუცვლელად პირდაპირ სასადილოში შევედით. მადა არც ერთს არ გვქონდა დაკარგული. საღამოს ლოცვა კი ყველამ გავაცდინეთ. ფეხსაცმელები ისეთ დღეში გვქონდა, ვინ გაგვამტყუნებდა.

გამოცდებზე არაფერი მომიწერია. ყველაფერი ძალიან ადვილად ჩავაბარე; საიდუმლოს მივაგენი, ჩაჭრას აღარ ვაპირებ, თუმცა წარჩინების დიპლომს მაინც ვეღარ მივიღებ იმ ოხერი ლათინური პროზისა და გეომეტრიის გამო. მაგრამ არა ვნაღვლობ.

---

[45] ბატონი.(ფრანგ.)

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. მთავარია, ბედნიერი იყო (ეს ციტატაა. ინგლისურ კლასიკას ვკითხულობ).

რაკი სიტყვა კლასიკაზე ჩამოვარდა, მითხარი "ჰამლეტი" წაგიკითხავს? თუ არა - ახლავე წაიკითხე. ღვთაებრივი რამაა. მთელი სიცოცხლე მესმის შექსპირის ქება, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ასე კარგად თუ წერდა, ასე მეგონა, აჭარბებდნენ.

ერთი კარგი თამაში გამოვიგონე ბავშვობაში, მას შემდეგ, რაც წიგნის კითხვა ვისწავლე. ძილის წინ ჩემს თავს იმ წიგნის მთავარ გმირად წარმოვიდგენ, რომელსაც ვკითხულობ.

ამჟამად ოფელია ვარ; მერედა, როგორი გონიერი ოფელია! ჰამლეტს სულ ვართობ, კიდეც ვეფერები, კიდეც ვუჯავრდები და როცა გაციებულია, ვაიძულებ, ყელი თბილად შეიხვიოს. სრულიად განვკურნე მელანქოლიისაგან. დანიის მეფე და დედოფალი ცოცხლები აღარ არიან - უბედური შემთხვევის მსხვერპლნი გახდნენ, ზღვაში დაიხრჩვნენ. დასაფლავება აღარ დასჭირდათ. ასე რომ, მე და ჰამლეტი ვმართავთ დანიას და ხელს არავინ გვიშლის. სამეფო საქმეები მშვენივრად გვაქვს აწყობილი. ჰამლეტი სამეფოს მართავს, მე საქველმოქმედო დაწესებულებებს ვუძღვები. სულ ახლახან ობოლთა რამდენიმე საუკეთესო თავშესაფარი გავხსენი. თუ თქვენ ან რომელიმე სხვა მეურვეს გსურთ მათი ნახვა, სიამოვნებით დაგათვალიერებინებთ. თქვენ იმ თავშესაფრებიდან ბევრ სასარგებლოს მიიღებთ.

კვლავ ვრჩები, სერ,
თქვენდამი კეთილად განწყობილი
ოფელია, დედოფალი დანიისა.

24 მარტი, ან 25

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

არა მგონია, ოდესმე სამოთხეში მოვხვდე. სიცოცხლეში იმდენი სიხარული მხვდა წილად, რომ სამართალი არ იქნება, იმქვეყნადაც ბედნიერი ვიყო. მომისმინე, რა მოხდა.

ჯერუშა ებოტმა გაიმარჯვა მოკლე მოთხრობების კონკურსში (პრიზი ოცდახუთი დოლარი), რომელსაც წელიწადში ერთხელ აწყობს ჟურნალი "მანთლი". მეორეკურსელს - პრიზი? კონკურსის მონაწილეები უმთავრესად ბოლოკურსელები არიან. როცა გამარჯვებულთა შორის ჩემი გვარი ამოვიკითხე, თვალს არ დავუჯერე. იქნებ, მართლაც მწერალი გავხდე! ნეტავ, მისის ლიპეტს ასეთი სულელური სახელი არ დაერქმია. მწერალს სრულებით არ შეეფერება.

გარდაამისა, ვმონაწილეობ საგაზაფხულო წარმოდგენაში. ღია ცის ქვეშ ვდგამთ შექსპირის პიესას "როგორც გენებოთ". სელიას ვთამაშობ, როზალინდას მკვიდრ ბიძაშვილს.

და ბოლოს, მომავალ პარასკევს, მე, ჯულია და სელი ნიუიორკში ვაპირებთ წასვლას საგაზაფხულო ტანსაცმლის საყიდლად. ღამე იქ დავრჩებით და მეორე დღეს "მასტერ ჯერვისთან" ერთად თეატრში წავალთ. დაგვპატიჟა. ჯულია ღამე თავისიანებთან დარჩება, სელი და მე კი ოტელ "მართა ვაშინგტონში" გავათევთ ღამეს. რა გასაგიჟებელი ამბავია, არა? სასტუმროში არასოდეს ვყოფილვარ, არც თეატრში. ერთხელ ვნახე სპექტაკლი კათოლიკური ეკლესიის დღესასწაულზე, როცა ობლები მიგვიპატიჟეს. მაგრამ ეს თეატრი არ იყო და არ ითვლება.

როგორ გგონია, რა უნდა ვნახოთ? რა და, “ჰამლეტი”. წარმოგიდგენია? ჩვენ მთელი ოთხი კვირა გავდიოდით ამ პიესას და სულ ზეპირად ვიცი.

ამ ამბების მოლოდინში ისე ვღელავ, რომ ღამე არ მძინავს.

მშვიდობით, მამილო.

სამყარო სავსეა გასართობებით!

მარად შენი

ჯუდი.

P.S. სწორედ ახლა დავხედე კალენდარს. დღეს 28-ა.

მეორე პოსტსკრიპტუმი.

დღეს ტრამვაიში ერთი კონდუქტორი ვნახე: ცალი თვალი ყავისფერი ჰქონდა, მეორე - ლურჯი. ზედგამოჭრილი ბოროტმოქმედის ტიპაჟი იყო დეტექტური მოთხრობისათვის.

7 აპრილი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ღმერთო! რამოდენაა ნიუ-იორკი! ვუსტერი არაფერია იმასთან შედარებით. ნუთუ იმის თქმა გინდა, რომ მართლა ასეთ მეორედ მოსვლაში ცხოვრობ? არა მგონია, ორი თვე მეყოს ორი დღის თავბრუდამხვევი შთაბეჭდილებებისაგან გონს მოსასვლელად. რა აღწერს ყველა იმ საოცრებას, რაც იქ ვნახე. თუმცა, რა საჭიროა, ისედაც ყველაფერი გეცოდინება, რადგან მანდ ცხოვრობ.

რა საინტერესო ქუჩებია! ახლა ხალხი? ახლა მაღაზიები? ნიუიორკის მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილი ნივთებისნაირი ლამაზი ჯერ მე არა მინახავს რა. გაიძულებენ, მთელი სიცოცხლე ტანისამოსზე იფიქრო.

შაბათ დილით მე, სელიმ და ჯულიამ ერთად მოვიარეთ მაღაზიები. ჯულია ერთ უბრწყინვალეს შენობაში შევიდა. ასეთი მშვენიერი შენობა არასოდეს მენახა. კედლები ოქროსფრად და თეთრადაა შეღებილი, იატაკზე ცისფერი ხალიჩებია დაფენილი, ცისფერივე აბრეშუმის ფარდები ჰკიდია და ოქროთი მოვარაყებული სკამები დგას. ძალიან ლამაზი, ქერათმიანი, შავშლეიფიან კაბაში გამოწყობილი ქალი ჯულიას ისეთი თავაზიანი ღიმილით მიეგება, მეგონა, ნაცნობის სანახავად შევიარეთ-მეთქი და ხელის ჩამოსართმევად მოვემზადე. თურმე ქუდების საყიდლად შევსულვართ - უფრო სწორად, ჯულია აპირებდა ყიდვას. დაჯდა სარკესთან, მთელი დუჟინი ერთმანეთზე უკეთესი ქუდი მოიზომა და ბოლოს იმათ შორის ორი უმშვენიერესი აირჩია.

ვერ წარმომიდგენია იმაზე უფრო მეტი სიხარული, ვიდრე სარკის წინ ჯდომა და ფასის დაუკითხავად ქუდის შერჩევაა. ეჭვი არ

არის, მამილო, ნიუ-იორკი ერთი თვალის დახამხამებაზე მოუღებდა ბოლოს ჩემს სტოიკურ ხასიათს, ჯონ გრაიერის სახლმა ასე საგულდაგულოდ რომ ჩამომიყალიბა.

შემდეგ შერის რესტორანში შევხვდით მასტერ ჯერვის. აქ, ალბათ, ნამყოფი ხარ. წარმოიდგინე ეს რესტორანი და მერე - ჯონ გრაიერის სახლის სასადილო მუშამბაგადაფარებული მაგიდებით, ხისტარიანი დანა-ჩანგლითა და თეთრი ქაშანურის ჭურჭლით, რომელსაც ეშმაკიც ვერ გატეხს. ამის შემდეგ მიხვდები, რასაც განვიცდიდი.

ეტყობა, თევზს იმ ჩანგლით არ მივირთმევდი, რომლითაც საჭირო იყო, მაგრამ ოფიციანტმა ძალიან თავაზიანად შემიცვალა, ისე, რომ არავის შეუმჩნევია.

საუზმის შემდეგ წავედით თეატრში - რაღაც გასაგიჟებელი, სასწაულებრივი, განსაცვიფქრებელი სპექტაკლი იყო. ყოველღამე მესიზმრება.

ხომ სასწაულია შექსპირი?

“ჰამლეტი” სცენაზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჯგუფში ანალიზის დროს. “ჰამლეტით” წინათაც აღტაცებული ვიყავი, ახლა კი... ღმერთო ჩემო!

ვფიქრობ, წინააღმდეგი არ იქნები, მწერლობას თუ მსახიობობას ვამჯობინებ. ნებას დამრთავ, კოლეჯი დავტოვო და დრამატულ სასწავლებელში შევიდე? მერე ყველა ჩემი გამოსვლის დროს სცენიდან გაგიღიმებ. ლოჟის ბილეთს გამოგიგზავნი. ოღონდ, გთხოვ, გულზე წითელი ვარდი მიიბნიო, თორემ საშინელება იქნება, სხვას რომ მივაჩერდე.

შაბათ საღამოს დავბრუნდით კოლეჯში. მატარებლით ვიმგზავრეთ და ვაგონში ვისადილეთ პატარა მაგიდასთან, ვარდისფერ შუქზე. ზანგები გვემსახურებოდნენ. პირველად გავიგე, რომ მატარებელშიც სადილობენ, და დაუფიქრებლად ვთქვი კიდეც ხმამაღლა.

- ღვთის გულისათვის, სად გაიზარდე? - გაიკვირვა ჯულიამ.

- სოფელში, - მორიდებით მივუგე ჯულიას.

- მერე, როგორ დავიჯერო, არასოდეს გიმგზავრია!

- არასოდეს. პირველი ჩემი მგზავრობა კოლეჯში ჩამოსვლა იყო. მაშინაც გზაში არ გვიჭამია, რადგან სულ ას სამოცი მილი იყო გამოსავლელი, - ვუპასუხე მე.

ჯულიას ჩემგან იმდენი საოცარი რამ ესმის, რომ გოგო გადარეულია. ძალიან ვცდილობ, გასაოცარი არაფერი ვთქვა, მაგრამ როგორც კი რამე გამიკვირდება, მაინც წამომცდება ხოლმე. მე კი თითქმის სულ გაკვირვებული ვარ. თავბრუდამხვევი შეგრძნებაა, მამილო, თვრამეტ წელიწადს თავშესაფარში ყოფნის შემდეგ საზოგადოებაში გამოსვლა.

ახლა მე თანდათან ვეგუები გარემოს. ისეთ სერიოზულ შეცდომებს აღარ ვუშვებ, როგორც წინათ. უხერხულადაც აღარ ვგრძნობ თავს სხვა გოგოებთან. წინათ ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი ახალი სამოსის ქვეშიდან კუბოკრული უხეში ქსოვილის კაბა იჭყიტებოდა. ახლა ნებას აღარ მივცემ იმ კაბას, შემაწუხოს. რაც იყო, იყო!

სულ დამავიწყდა, შენთვის ყვავილებზე მეთქვა. მასტერ ჯერვიმ სათითაოდ მოგვართვა იებისა და შროშანების თაიგულები. ხომ თავაზიანად მოიქცა? მეურვეების შემყურე, მამაკაცებზე მაინცდამაინც კარგი წარმოდგენისა არ ვიყავი, მაგრამ ახლა აზრი შემეცვალა.

თერთმეტი გვერდი გამოსულა - წერილიც ამას ჰქვია! გამაგრდი, ვამთავრებ.

მარად შენი

ჯუდი.

10 აპრილი

ძვირფასო მისტერ მდიდარო კაცო!

უკან გიბრუნებ 50 დოლარის ჩეკს. ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ამის დატოვება. ჩემი ჯიბის ფული სრულიად საკმარისია იმ ქუდებისათვის, რაც მჭირდება. ძალიან ვწუხვარ, რომ სისულელეები მოგწერე ქალის ქუდების მაღაზიაზე. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ

აქამდე მსგავსი არაფერი მენახა.

ყოველ შემთხვევაში, ფულის თხოვნა არ მიფიქრია. არ მინდა იმაზე მეტი მოწყალების მიღება, რასაც აქამდე ვღებულობდი.

გულწრფელად შენი

ჯერუშა ებოტი.

11 აპრილი

უძვირფასესო მამილო!

შეგიძლია მაპატიო, გუშინ ისეთი საშინელი წერილი რომ მოგწერე? გამოვგზავნე თუ არა, შევწუხდი და ვცადე, წერილი უკან წამომეღო, მაგრამ იმ საზიზღარმა ფოსტის მოხელემ აღარ დამიბრუნა.

ახლა შუაღამეა. დიდი ხანია მღვიძავს და ვფიქრობ, რა ჭია ვარ, ზედგამოჭრილი ათასფეხა ჭია! სხვა რა ვუწოდო ჩემს თავს! ჯულია და სელი რომ არ გამეღვიძებინა, კაბინეტის კარი ძალიან ფრთხილად გამოვხურე. ახლა საწოლზე ვზივარ და ისტორიის რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე ვწერ.

ძალიან ვწუხვარ, უზრდელად რომ მოვიქეცი იმ ჩეკთან დაკავშირებით. ვიცი, კეთილი განზრახვა გქონდა. იმასაც ვხვდები, რა გულის პატრონი უნდა იყო, თავი რომ შეიწუხე ისეთ უმნიშვნელო ნივთზე, როგორიც ქუდია. ჩეკი, რა თქმა უნდა, ძალიან თავაზიანად უნდა დამებრუნებინა, მაგრამ დაბრუნებით კი აუცილებლად უნდა დამებრუნებინა. ჩემი საქმე სულ სხვაგვარადაა, სხვა გოგონებს ვერ შევედრები. მათ თამამად შეუძლიათ საჩუქრის მიღება. იმათ ჰყავთ მამები, ძმები, დეიდები, ბიძები. მე კი არ მყავს ახლობელი ადამიანები, ვისაც ჩემთვის გული შესტკივათ. მომწონს, თავს რომ ვიტყუებ ხოლმე, ვითომ შენ ჩემი ნათესავი ხარ, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ეს ტყუილია. სინამდვილეში სრულიად მარტო ვარ. ვებრძვი წუთისოფელს. სული მეხუთება ამის წარმოდგენაზე, ამიტომ ვცდილობ, ამაზე ნაკლები ვიფიქრო და განვაგრძობ თავის მოტყუებას. მაგრამ, მამილო, ნუთუ არ გესმის, რომ მე, რაც აუცილებელია, იმაზე მეტის მიღება არ შემიძლია? ოდესღაც ხომ დადგება ვალის დაბრუნების დღე და მაშინაც კი, როცა დიდი

მწერალი ვიქნები (როგორც განზრახული მაქვს), ვერ გავწვდები ასეთ უშველებელ ვალს.

კარგი იქნებოდა, მქონოდა ლამაზი ქუდები და სხვა რამეები, მაგრამ ამისათვის ჩემს მომავალს ვერ დავაგირავებ.

ხომ მაპატიებ ასეთ უხეშობას? საძაგელი ჩვეულება მაქვს: რაც ენაზე მომადგება, ვწერ და მაშინვე ვგზავნი. მერე კი მინდა, უკან დავიბრუნო. მაგრამ იცოდე, თუ ზოგჯერ დაუფიქრებელი და უმადური ვჩანვარ, ეს ჩემდა უნებურად ხდება. გულში ყოველთვის მადლობელი ვარ შენი იმ ცხოვრების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რაც მაჩუქე. მძიმე, პირქუში ბავშვობა მქონდა. ახლა კი ყოველ წუთს ისეთი ბედნიერი ვარ, რომ არც კი მჯერა. თავი ზღაპრული სამყაროს გმირი მგონია.

სამის თხუთმეტი წუთია. სახლიდან ფეხაკრეფით უნდა გავიდე და ახლავე გამოვგზავნო წერილი. პირველი წერილის შემდეგ მეორესაც მალე მიიღებ, ასე რომ, დრო აღარ დაგრჩება - ჩემზე ცუდი იფიქრო.

ღამე მშვიდობისა, მამილო.
ყოველთვის მიყვარხარ.

ჯუდი.

4 მაისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

გასულ შაბათს სპორტის დღე აღვნიშნეთ. ნამდვილი დღესასწაული მოვაწყვეთ. ზეიმი დაიწყო ჯგუფების აღლუმით. ყველას თეთრი, ზოლიანი კაბა გვეცვა, მეოთხეკურსელებს იისფერი და ოქროსფერი იაპონური ქოლგები ეჭირათ, მესამეკურსელებს - თეთრი და ყვითელი ალმები, ჩვენ - წითელი ბუშტები. ფერად-ფერადი ბუშტები ძალიან აცოცხლებდა იქაურობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელიდან გვისხლტებოდა და ჰაერში მიფრინავდა. პირველკურსელებს გრძელბაფთიანი ქაღალდის ქუდები ეხურათ. ქალაქიდან მოვიწვიეთ ორკესტრი, ლურჯ მუნდირებში გამოწყობილი მუსიკოსები. ცირკის მასხარებივით სასაცილოდ მორთულ-მოკაზმულებიც გვყვავდნენ, სხვადასხვა სახეობათა შეჯიბრებების შუალედებში ართობდნენ მაყურებლებს.

ჯულია, რომელიც მსუქან სოფლელ კაცს განასახიერებდა, ფარაჯაში იყო გამოწყობილი, ულვაშები მიეწებებინა და ხელში ძველი ქოლგა დაეჭირა. მაღალი და გამხდარი პატსი მორიარტი (პატრიცია. ასეთი სახელი თუ გაგიგია? უკეთესს მისის ლიპეტიც კი ვერ მოიგონებდა) ჯულიას ცოლის როლს თამაშობდა, რაღაც სასწაული მწვანე ქუდი დაეკოსებინა თავზე და ცალ ყურზე ჩამოეფხატა. მთელი გზა ხალხის ხარხარი სდევდა თან ამ სასაცილო წყვილს. ჯულიამ როლი არაჩვეულებრივად შეასრულა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ პენდლტონს ასეთი კომედიური ნიჭი აღმოაჩნდებოდა. ბოდიშს მოვიხდი მასტერ ჯერვის წინაშე. იმას ტიპურ პენდლტონად არც ვთვლი, ისევე, როგორც შენ არა გთვლი ტიპურ მეურვედ.

სელის და მე აღლუმში მონაწილეობა არმიგვიღია, რადგანაც შეჯიბრებაში ვმონაწილეობდით. აბა, რა გგონია? ორივემ მოვიგეთ! ყოველ შემთხვევაში, თითო სახეობაში მაინც. სიგრძეზე ხტომა ვცადეთ, მაგრამ ჩავფლავდით. სელიმ პირველი ადგილი დაიკავა ჭოკით ხტომაში (შვიდი ფუტი და სამი დიუმი), მე კი - სირბილში (ორმოცდაათი იარდი - რვა წამში).

ფინიშზე კარგა მაგრად შემეხუთა სული, მაგრამ მაინც ძალიან სახალისო იყო. ჩემი ჯგუფელები მამხნევებდნენ ბუშტების ქნევითა და შეძახილებით:

- რასა იქს ჯუდი ებოტი?

- გარბის მარჯვედ!

- ვინ გარბის მარჯვედ?

- ჯუდი ებოტი!

ეს ნამდვილი დიდებაა, მამილო. შემდეგ კარავში შევირბინეთ მასაჟისათვის და ლიმონის გასაწუწნად. ხედავ, მამილო, პროფესიონალობას აღარაფერი გვიკლია! შეჯიბრების რომელიმე სახეობაში მოგებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმ ჯგუფს, რომელსაც ყველაზე მეტი მოგება ექნება, წლის ბოლოს "ათლეტთა თასით" დააჯილდოებენ. ამჯერად მეოთხეკურსელებმა გვაჯობეს. შვიდი მოგება აქვთ. სპორტულმა საზოგადოებამ გამარჯვებულთათვის სადილი გამართა. სავარჯიშო დარბაზში მივირთვით შემწვარი კიბორჩხალები და ბურთის ფორმის შოკოლადის ნაყინი.

წუხელ შუადღემდე ვკითხულობდი "ჯეინ ეარს". მამილო, თუ ისეთი მოხუცი ხარ, რომ მოესწარი იმ დროს, გემახსოვრება, სამოცი წლის წინ რა ხდებოდა. ერთი, ღვთის გულისათვის, მითხარი, ხალხი მართლა ასე ლაპარაკობდა მაშინ?

ქედმაღალი ბლანში მსახურს ეუბნება: "შეწყვიტე ყბედობა, შე გამოთაყვანებულო და ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებ!" მისტერ როჩესტერი ლითონის კამარაზე ლაპარაკობს და ცას გუ-

ლისხმობს. გიჟი ქალი აფთარივით იცინის, ცეცხლს უკიდებს საწოლის ფარდებს, ფხრეწს საქორწინო პირბადეს და იკბინება - წმინდაწყლის მელოდრამაა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავაუღებლად ვკითხულობ. ვერ გამიგია, როგორ დაწერა გოგომ ასეთი რამ. ისიც ისეთმა გოგომ, რომელიც სასაფლაოზე გაიზარდა. რაღაც აქვთ გამოუცნობი ამ ბრონტეებს, რითაც მხიბლავს მათი წიგნები, მათი ცხოვრება, მათი სული. საიდან იცნობენ ცხოვრებას? როცა ვკითხულობდი ღარიბ ბავშვთა სკოლაში პატარა ჯეინის ტანჯვის ამბავს, ისე ავღელდი, რომ სულის მოსათქმელად გარეთ გავედი და გავიარ-გამოვიარე. კარგად მივუხვდი, რასაც გრძნობდა ჯეინი. მე, ვისაც მისის ლიპეტი მთელი სიგრძე-სიგანითა მყავს შესწავლილი, მისტერ ბროკლეჰერსტის წარმოდგენა გამიჭირდებოდა?

ნუ გამიწყრები, მამილო. ჯონ გრაიერის სახლს ლოვუდის ინსტიტუტს რომ ვადარებ. იქ საჭმელიც ბევრი გვქონდა და სასმელიც. არც ჩასაცმელი გვაკლდა და არც დასაბანი წყალი, სარდაფში კი ცენტრალური გათბობისთვის საქვაბე იყო მოწყობილი. მაგრამ ჩვენი ცხოვრება სრულიად ერთფეროვანი და თავგადასავლებს მოკლებული იყო. არაფერი საინტერესო არ ხდებოდა; მარტო ნაყინი თუ გვახალისებდა, კვირაობით რომ მოჰქონდათ, თუმცა ესეც ისეთი სიზუსტით მეორდებოდა, აღარც გვიხაროდა. იმ თვრამეტი წლის განმავლობაში, რაც იქ გავატარე, მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს: ხის ფარდულს ცეცხლი წაეკიდა. ღამით ლოგინებიდან წამოგვყარეს და ჩაგვაცვეს, რათა მზად ვყოფილიყავით იმ შემთხვევისათვის, თუ ცეცხლი სახლსაც მოედებოდა. მაგრამ არ მოედო და ჩვენ-ჩვენს საწოლებს მივაშურეთ.

ვის არ უნდა, ხანდახან რაღაც მოულოდნელი განიცადოს. სრულიად ბუნებრივი ადამიანური სურვილია. მე არასოდეს განმიცდია ეს მოულოდნელობა მანამდე, ვიდრე მისის ლიპეტმა თავის კაბინეტში არ გამომიძახა და არ მითხრა, მისტერ ჯონ სმითი

შენს გაგზავნას აპირებს კოლეჯშიო. მაშინაც ეს მოულოდნელი ამბავი ისე თანდათანობით მამცნო, რომ მეხივით არ დამცემია თავზე.

იცი რა, მამილო, ვფიქრობ, ადამიანისათვის ყველაზე საჭირო თვისება წარმოსახვის უნარია. სწორედ წარმოსახვის უნარია, ადამიანს რომ შეაძლებინებს, თავი სხვის ადგილას წარმოიდგინოს. ამით იგი კეთილი, სიმპათიური და გულისხმიერი ხდება. ეს თვისება ადამიანს ბავშვობაში უნდა გამოუმუშავდეს. მაგრამ ჯონ გრაიერის სახლი სასწრაფოდ სპობს წარმოსახვის ოდნავ გაელვებასაც კი. მოვალეობა - აი, ერთადერთი თვისება, რომელსაც იქ ადიდებენ. არა მგონია, აუცილებელი იყოს, ბავშვებმა იცოდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამაზე ცუდი არაფერია, პირდაპირ საზიზღრობაა. ბავშვები რასაც აკეთებენ, ყველაფერს სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად.

აი, ნახავ, ობოლთა როგორ თავშესაფარს დავაარსებ! დაძინების წინ სულ ამაზე ვოცნებობ. ყველაფერი მოფიქრებული მაქვს, ყველა დეტალი - საჭმელი იქნება, ტანისამოსი, მეცადინეობა, გართობა თუ დასჯა. წარმოიდგინე, რომ ჩემი საუკეთესო ობლებიც კი ზოგჯერ გაუგონრები არიან.

ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მივაღწევ, რომ ბავშვები ბედნიერები იყვნენ. ვფიქრობ, რა სიძნელეები და მწუხარებაც უნდა მოელოდეს ადამიანს, ბავშვობა მაინც უნდა ჰქონდეს ბედნიერი. მისმა მოგონებამ ადამიანს სიამე უნდა მოჰგვაროს. თუ ოდესმე შვილები მეყოლება, როგორი უბედურიც უნდა ვიყო, დარდს არ ვაგრძნობინებ, საზრუნავს არ გავუჩენ, სანამ დაიზრდებიან.

(ეკლესიის ზარია - ნეტავ, ამ წერილს თუ ეღირსება დასრულება?)

ხუთშაბათი

ნაშუადღევს, როდესაც ლაბორატორიიდან დავბრუნდი, ჩაის მაგიდაზე ციყვი დამხვდა დასკუპებული. ნუშს მიირთმევდა. რაც თბილი ამინდები დადგა და ფანჯრები ღიაა, ციყვები ჩვენი ხშირი სტუმრები არიან.

შაბათი დილა

იქნებ გგონია, რომ გუშინდელი საღამო, რაკი პარასკევი იყო და მეორე დღესთავისუფალი ვიყავი, მშვიდად გავატარე სტივენსონის თხზულებათა კითხვაში (სტივენსონი პრიზის ფულით ვიყიდე)? თუ ასე ფიქრობ, ძვირფასო მამილო, შენ არასოდეს ყოფილხარ გოგონების კოლეჯში. გუშინ საღამოს ექვსი ამხანაგი გვესტუმრა კანფეტების დასამზადებლად და ერთ-ერთმა მათგანმა ეს ცხელი წებოვანი სითხე ჩვენი საუკეთესო ფარდაგის შუაგულში დაღვარა. ამ ლაქას ეშმაკიც ვეღარ ამოიყვანს.

ამ ბოლო დროს სწავლის თაობაზე არაფერი მომიწერია, თუმცაღა იგი კვლავინდებურად ჩვენი ყოველღიური განუყრელი თანამგზავრია. თავისებური დასვენებაა ჩემთვის, როცა სხვა საკითხებზე, საერთოდ, ცხოვრებაზე ვმსჯელობ შენთან. მართალია, ეს დისკუსია ცალმხრივ ხასიათს ატარებს, მაგრამ დამნაშავე შენ ხარ. როდესაც მოგესურვება, ყოველთვის შეგიძლია, შემეხმიანო.

ამ წერილს უკვე მესამე დღეა, ვწერ და მეშინია, რომ vous é tes bien[46] შეგაწყინე თავი.

მშვიდობით, მშვენიერო მისტერ ადამიანო!

ჯუდი.

[46] ძალიან.(ფრანგ.)

მისტერ გრძელფეხება მამილო სმით!

სერ! რადგან არგუმენტაცია შევისწავლე და თეზისის მუხლებად დაყოფის მეცნიერებას დავეუფლე, შემიძლია წერილს შემდეგი სახე მივცე: იგი შეიცავს ძირითად ფაქტებს და გამორიცხავს ყოველგვარ მრავალსიტყვაობას.

1. ამ კვირაში ვწერეთ საგამოცდო სამუშაოები:

ა) ქიმიაში;

ბ) ისტორიაში.

2. აშენდა ახალი საერთო საცხოვრებელი.

საშენი მასალა:

ა) წითელი აგური;

ბ) ნაცრისფერი ქვა.

მასში ეტევა:

ა) ერთი დეკანი, ხუთი მასწავლებელი;

ბ) ორასი გოგონა;

გ) ერთი დიასახლისი, სამი მზარეული, ოცი ოფიციანტი, ოცი დამლაგებელი ქალი.

3. ამ საღამოს დესერტად გვქონდა ტკბილი ხაჭო ჯავზითა და ნაღებით.

4. სპეციალურ თემას ვწერ შექსპირის პიესების წყაროებზე.

5. ლოუ მაკ-მაჰონი წაიქცა დღეს შუადღეს კალათბურთის თამაშის დროს და:

ა) მხარი ეღრძო;

ბ) მუხლი დაულილავდა.

6. მაქვს ახალი ქუდი, მორთული:

ა) ლურჯი ხავერდის ბაფთით;

ბ) ორი ცისფერი ფრთით;

გ) სამი წითელი პომპონით.

7. ახლა ათის ნახევარია.

8. ღამე მშვიდობისა.

ჯუდი.

2 ივნისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ვერასოდეს მიხვდები, რა სასიამოვნო რამ მოხდა.

მაკბრაიდებმა მთხოვეს, ზაფხული მათთან ერთად გავატარო ადირონდაკში, სადაც ისინი ისვენებენ ხოლმე. მათი კლუბი დაბანაკებულია შუაგულ ტყეში, მშვენიერი პატარა ტბის პირას. კლუბის წევრების ძელური სახლები სულ ხეებშია ჩაფლული. ნავებით შორ მანძილზე დადიან სასეირნოდ, სხვა ბანაკებსაც ესტუმრებიან ხოლმე. კვირაში ერთხელ კლუბის შენობაში ცეკვებს მართავენ. ჯიმისთან ერთად მისი კოლეჯის ამხანაგიც აპირებს ჩამოსვლას რამდენიმე ხნით. როგორც ხედავ, ცეკვებზე ვაჟები არ მოგვაკლდება.

ძალიან სასიამონოა, რომ მისის მაკბრაიდმა მეორედ დამპატიჟა. როგორც ჩანს, მოვეწონე, შობას იმათთან რომ ვიყავი სტუმრად.

ბოდიშს ვიხდი ასეთი მოკლე წერილისათვის. ეს ნამდვილი წერილი არც არის, მხოლოდ გატყობინებ, თუ რას ვაპირებ ამ ზაფხულს.

შესანიშნავ ხასიათზე ვარ.

შენი

ჯუდი.

5 ივნისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ამ წუთას მივიღე შენი მდივნის წერილი. მატყობინებს, რომ მისტერ სმითს სურს, უარი ვთქვა მაკბრაიდების მიწვევაზე და ლოკ უილოუში გავემგზავრო, სადაც გასულ ზაფხულს ვიყავი.

რატომ, რატომ, რატომ, მამილო?

შენ არ გესმის საქმის ვითარება. მისის მაკბრაიდს სულითა და გულით უნდა ჩემი ჩასვლა. სულაც არ ვიქნები მათთვის ზედმეტი ბარგი. პირიქით, კიდეც მივეხმარები. ბევრ მოსამსახურეს ხომ ვერ წაიყვანენ თან. მე და სელის ათასი რამის გაკეთება შეგვიძლია. კარგი შემთხვევა მეძლევა, დიასახლისობა ვისწავლო. ყველა ქალმა უნდა იცოდეს სახლის საქმე, მე კი მხოლოდ თავშესაფრის საქმე ვიცი.

მათთან, ბანაკში, ჩვენი ასაკის გოგონები არ არიან და მისის მაკბრაიდს უნდა, სელის ამხანაგი ჰყავდეს. ამ ზაფხულს მე და სელი ბევრი წიგნის წაკითხვას ვაპირებთ. გვინდა, შემდეგი წლის მასალა წინასწარ წავიკითხოთ ინგლისურსა და სოციოლოგიაში. პროფესორმა გვითხრა, ზაფხულში თუ წაიკითხავთ ტექსტებს, სწავლა გაგიადვილდებათო. დასამახსოვრებლად ხომ ჯობია ერთად კითხვა და მსჯელობა.

სხვა თუ არაფერი, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება სელის დედასთან უკვე აღზრდაა. იგი ყველაზე საინტერესო, მხიარული, ამხანაგური და მომხიბვლელი ქალია მთელ მსოფლიოში. ყველაფერი იცის. რამდენი ზაფხული გამიტარებია მისის ლიპეტთან და, წარმოიდგინე, როგორ უნდა ვაფასებდე ისეთ ქალს, რომელიც ასე ძალიან განსხვავდება მისგან. ნუ გეშინია, არავის შევაწუხებ. მათი სახლი რეზინის სახლივითაა. როცა ბევრი სტუმარი ჰყავთ,

კარვებს შლიან ტყეში და ბიჭები გარეთ იძინებენ. ისეთი მშვენიერი, გამაკაჟებელი ზაფხული მოგველის! ჯიმი მაკბრაიდი დამპირდა, ცხენზე ჯდომა, ნავის ტარება, სროლა და კიდევ ათასი რამ მასწავლოს. ყველაფერი ეს მე უკვე უნდა ვიცოდე. ისეთი ლამაზი, უზრუნველი, მხიარული ზაფხული იქნება, როგორიც არასოდეს გამიტარებია. ვფიქრობ, ამგვარი რამ ყველა გოგომ ერთხელ მაინც უნდა გამოსცადოს ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გსურს, მაგრამ, გთხოვ, გემუდარები, გამიშვა. ჯერ ასე ძალიან არაფერი მდომებია. ამ ბარათს ჯერუშა ებოტი, მომავალი დიდი მწერალი კი არ გწერს, არამედ უბრალოდ გოგო - ჯუდი.

9 ივნისი

მისტერ ჯონ სმით!

სერ, ხელთ მაქვს ამა თვის 7 რიცხვის წერილი. თქვენი მდივნის მეშვეობით მიღებული ინსტრუქციის თანახმად, მომავალ პარასკევს მივემგზავრები ლოკ უილოუში, მთელი ზაფხულით.

იმედი მაქვს, ყოველთვის დავრჩები თქვენი

(მის) ჯერუშა ებოტი

ლოკ უილოუს ფერმა
3 აგვისტო

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

თითქმის ორი თვეა, არაფერი მომიწერია. ვიცი, არ არის ლამაზი, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ამ ზაფხულს მაინცდამაინც არ მიყვარდი. ხომ ხედავ, რა გულახდილი ვარ!

ვერ წარმოიდგენ, როგორ დამწყდა გული, მაკბრაიდებთან წასვლაზე უარი რომ მათქმევინე. ვიცი, ჩემი მფარველი ხარ და ყოველ შენს სურვილს უნდა დავემორჩილო, მაგრამ მიზეზი ვერ გამიგია. ამ ზაფხულს ამაზე უკეთეს ადგილას სად წავიდოდი? მე რომ მამილო ვყოფილიყავი და შენ - ჯუდი, გეტყოდი: წადი, ჩემო პატარავ, ღმერთმა დაგლოცოს, ირბინე და იმხიარულე, კარგი დრო გაატარე, ბევრი ახალი ადამიანი გაიცანი, რაც შეიძლება მეტხანს იყავი ჰაერზე, გამაგრდი, გაკაჟდი და მოემზადე შემდეგი სასწავლო წლის დაძაბული მუშაობისათვის-მეთქი.

მაგრამ, შენც არ მომიკვდე! რაღაც ორხაზიანი ბარათი მივიღე შენი მდივნისაგან, რომელიც მიბრძანებდა ლოკ უილოუში წასვლას.

ჩემს გრძნობებს, იცი, რა აყენებს შეურაცხყოფას? შენი უჩინმაჩინობა. არ უნდა ვიცოდე, ვინ მაძლევს მითითებებს? შენ რომ ჩემ მიმართ ისეთი გრძნობა გქონდეს, როგორიც მე მაქვს შენ მიმართ, თუნდაც იმისი მეათედი, მდივანს კი არ გამოაგზავნინებდი მანქანაზე ნაბეჭდ საზიზღარ ინსტრუქციებს, არამედ ერთხელ მაინც გამომიგზავნიდი საკუთარი ხელით დაწერილ წერილს. ნეტავ, იმ წერილებში ოდნავი ნიშანწყალი მაინც ჩანდეს იმისა, რომ რამედ მაგდებ. ასე რომ იყოს, რას არ გავაკეთებდი შენი გულის მოსაგებად.

ვიცი, რომ ლამაზ, ვრცელ წერილებს უნდა გწერდე და შენგან პასუხს არ უნდა ველოდე. შენ ასრულებ შენს ვალდებულებას, შენი პირობიდან არ გადაგიხვევია, მე კი, შენი აზრით, ვერ ვასრულებ ჩემს ვალდებულებას.

მაგრამ მერწმუნე, მამილო, მძიმეა ჩემთვის ეს პირობა, ნამდვილად მძიმე. საოცარ მარტოობას ვგრძნობ. შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, რომელიც უნდა მიყვარდეს, შენ კი უჩინარი ხარ. მე მხოლოდ წარმოსახვით შევქმენი შენი ხატება და, შესაძლოა, შენ სრულებითაც არა ჰგავხარ ჩემი ფანტაზიით შექმნილ ადამიანს. თუმცა, ერთხელ ხომ მომწერე, საავადმყოფოში რომ ვიწექი. და ახლა, როცა თავს ყველასაგან მივიწყებულად ვთვლი, ამოვიღებ შენს ბარათს და გადავიკითხავ ხოლმე.

ამდენს ვწერ და მაინც ვერ მოვახერხე იმის თქმა, რაც მინდოდა, აი, რა:

ძალიან დამამცირებელია, შენი ცხოვრება მართოს დესპოტმა, კერპმა, უგუნურმა, ყოვლისშემძლე უხილავმა განგებამ. თუმცა თავს კვლავინდებურად შეურაცხყოფილად ვგრძნობ, მაინც მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი ისეთი კეთილი და მზრუნველია, როგორიც შენ ხარ ჩემდამი, უფლება აქვს, იყოს დესპოტი, კერპი, უგუნური, ყოვლისშემძლე, უხილავი განგება, თუკი მას სურს. მაშ ასე, გაპატიებ და კვლავ გავმხიარულდები, მაგრამ მაინც მწყინს, როცა სელის წერილებს ვიღებ, სადაც იწერება, რა კარგად ატარებენ დროს აგარაკზე.

მაგრამ წარსულს ფარდა ჩამოვაფაროთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

ამ ზაფხულს ვწერდი და ვწერდი. ოთხი მოკლე მოთხრობა დავამთავრე და სხვადასხვა ჟურნალს გავუგზავნე. როგორც ხედავ, ძალ-ღონეს არ ვიშურებ, მწერალი გავხდე. სამუშაო კაბინეტი სხვენის ერთ-ერთ კუთხეში მოვიწყვე, სადაც თურმე მასტერ ჯერვი თამაშობდა ხოლმე წვიმიან დღეებში. ეს გრილი კუთხეა ორი

სამერცხულით, რომლებსაც მზისგან ნეკერჩხლის ხე იცავს. ნეკერჩხლის ფუღუროში წითელი ციყვების ოჯახი ბინადრობს.

სულ მალე უკეთეს წერილს მოგწერ და ფერმის ახალ ამბებსაც გაცნობებ.

რა მადლი იქნებოდა ახლა ჩვენთვის წვიმა!

კვლავინდებურად შენი

ჯუდი.

10 აგვისტო

მისტერ გრძელფეხება მამილო!

სერ, საძოვარზე მორევის მახლობლად ტირიფი დგას. სწორედ ამ ხის მეორე ტოტიდან გწერ. ჩემ ქვემოთ ბაყაყები ყიყინებენ, ზემოთ ჭრიჭინა ჭრიჭინებს, ორი ეშმაკუნა კოდალა არბი-ჩამორბის ხეზე. უკვე ერთი საათია, აქ ვარ. ჩამოსაჯდომად ძალიან მოსახერხებელი ტოტები აქვს ამ ტირიფს. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც დივნის ორი ბალიში დავიგე. კალმისტრითა და ბლოკნოტით შეიარაღებული მოვედი იმ იმედით, რომ უკვდავ მოთხრობას დავწერდი, მაგრამ ჩემი გმირი ქალი გულს მიწყალებს - ვერაფრით ვაიძულე, ისე მოიქცეს, როგორც მე მინდა. ამიტომ რამდენიმე წუთით თავი მივანებე და წერილსა გწერ (თუმცა, ამით შვება არ მიგრძნია, რადგან ვერც შენ გაიძულე, ისე მოიქცე, როგორც მე მინდა).

თუ იმ შენს საშინელ ნიუ-იორკში ხარ, ვისურვებდი, აქაური გრილი, მზიანი, ლამაზი ბუნების ნაგლეჯი გამომეგზავნა. მთელი კვირა წვიმდა და ახლა ნამდვილი სამოთხეა.

ჰო, სამოთხეზე გამახსენდა. გახსოვს მისტერ კელოგი, წინა ზაფხულს რომ გწერდი? კორნერის პატარა ეკლესიის მღვდელი რომ იყო. საწყალი, ზამთარში გარდაცვლილაფილტვების ანთებით. ქადაგებაზე ვესწრებოდი ხოლმე და კარგად გავერკვიე მის თეოლოგიაში. ბოლომდე ურყევად შეინარჩუნა თავისი შეხედულებები. ასე მგონია, ადამიანი, რომელსაც ორმოცდაშვიდი წლის განმავლობაში არც ერთი აზრი არ შეეცვლება, მუზეუმში უნდა მოათავსონ, როგორც იშვიათობა. იმედია, არფა და ოქროს გვირგვინი დაიმსახურა. ამაში ძალიან იყო დარწმუნებული! ახლა მის მაგიერ ახალგაზრდა კაცია, საღად და ლოგიკურად მოაზ-

როვნე. მრევლი უნდობლად ეკიდება, განსაკუთრებით ის დაჯგუფება, რომელსაც დიაკვანი კამინგსი ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, კორნერის ეკლესიაში სერიოზული განხეთქილება მოხდა. ჩვენ რელიგიაში სიახლეები მაინცდამაინც არ გვაინტერესებს.

ის ერთი კვირა, რაც წვიმდა, სხვენზე ვიყავი მოკალათებული. წიგნში მქონდა თავი ჩარგული. უმთავრესად სტივენსონს ვკითხულობდი. თვითონ სტივენსონი უფრო საინტერესო ადამიანია, ვიდრე რომელიმე მისი პერსონაჟი. გავბედავ და ვიტყვი, რომ მან თავისი თავი გმირად აქცია. ურიგო არ იქნებოდა, თუ ვინმე მის ცხოვრებას აღწერდა. როგორ გგონია, შესანიშნავად არ მოიქცა, მამის დატოვებული ათი ათასი დოლარი იახტის შესაძენად რომ დახარჯა? სამხრეთის ზღვები მოიარა. ისე იცხოვრა, როგორც უნდოდა; ფათერაკებით სავსე გზა განვლო. მამაჩემს რომ ჩემთვის ათი ათასი დოლარი დაეტოვებინა, მეც ასე მოვიქცეოდი. ვაილიმას[47] გახსენებაზე ჭკუიდან ვიშლები. ტროპიკების ნახვა მინდა. განა მარტო ტროპიკების, მთელი მსოფლიოს შემოვლა მინდა. ასეც ვაპირებ. როდისმე მართლა შემოვივლი, მამილო, როცა დიდი მწერალი, ან მხატვარი, ან მსახიობი ან დრამატურგი, ან სხვა დიდი ადამიანი გავხდები. მოგზაურობის გაუნელებელი ჟინი მკლავს. რუკის დანახვაზე მზად ვარ, ქუდი დავიხურო, ქოლგას ხელი წამოვავლო და გზას გავუდგე. "ვიდრე პირში სული მიდგას, სამხრეთის ტაძრებსა და პალმებს ვიხილავ".

[47] სტივენსონის სახლის სახელწოდება სამოას (წყნარი ოკეანის) კუნძულზე.

ხუთშაბათს, შებინდებისას, კარის ზღურბლზე მჯდარი

ძალიან მეძნელება, ახალი ამბები შეგატყობინო. ამ ბოლო დროს ჯუდი ისეთი ფილოსოფოსი გახდა, რომ სურს, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზე იმსჯელოს და არა - ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებზე. მაგრამ რადგან ახალი ამბები გსურს, ინებე:

ჩვენმა ცხრა პატარა გოჭმა სამშაბათს ნაკადულისკენ გაისეირნა და საღამოს რვანი დაბრუნდნენ. არ გვინდა, ტყუილუბრალოდ ვინმეს ცილი დავწამოთ, მაგრამ ვეჭვობთ - დაუდის ქვრივს ერთით მეტი გოჭი ჰყავს.

მისტერ უივერმა თავისი ბეღელი, მჭახე ყვითელი ფერის გოგრები თუ გინახავს, იმ ფრად შეღება. რაღაც საშინელებაა, მაგრამ მისტერ უივერი ირწმუნება, დიდხანს გაძლებსო.

ბრუერებს ამ კვირაში სტუმრები ჰყავდათ ოჰაიოდან, მისის ბრუერის და თავისი ორი შვილით.

როდ-აილენდის ჯიშის ერთ-ერთმა დედალმა თხუთმეტი კვერცხიდან მხოლოდ სამი წიწილა გამოჩეკა. ვერ გამიგია, რა უნდა იყოს მიზეზი. ჩემი აზრით, როდ-აილენდის ქათმები საჯიშედ არ ვარგა. ყვითელი ორპინგტონისას ვამჯობინებ.

ბონირიგ ფორ კორნერის ფოსტის ახალმა მოხელემ, სანამ გაუგებდნენ, შვიდი დოლარის ღირებულების იამაიკური რომის მთელი მარაგი გამოწრუპა.

მოხუცი აირა ჰეტჩი რევმატიზმით დაავადდა და მუშაობა აღარ შეუძლია. სანამ კარგი ჯამაგირი ჰქონდა, ფულს არ ზოგავდა, ახლა სამოწყალოდ გაუხდა საქმე.

შემდეგ შაბათს სკოლის შენობაში საღამოს მართავენ, ნაყინით გაგვიმასპინძლდებიან. გვეწვიეთ და თქვენიანებიც წამოიყვანეთ.

ახალი ქუდი შევიძინე ოცდახუთ ცენტად. აი, ჩემი ბოლო პორტრეტი - ფოცხით თივა უნდა მოვხვეტო.

ჩამობნელდა. წერა შეუძლებელია. თუმცა, ყველა ამბავი უკვე შეგატყობინე.

ღამე მშვიდობისა.

ჯუდი.

დილა მშვიდობისა! აი, კიდევ ერთი ახალი ამბავი! აბა, თუ მიხვდები? ვერასოდეს, ვერასოდეს, ვერასოდეს მიხვდები, ვინ ჩამოდის ლოკ უილოუში. მისის სემპლმა მისტერ პენდლტონისაგან წერილი მიიღო. მისტერ პენდლტონი თურმე მანქანით მოგზაურობს ბერკშაირში, დაღლილია, წყნარ, მყუდრო ფერმაში სურს დასვენება და აინტერესებს, ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად კარზე რომ მოადგეს სემპლებს, მისთვის ოთახი ექნებათ? შეიძლება ერთ კვირას დარჩეს, შეიძლება - ორს, ან იქნებ, სამ კვირასაც, ამას იმის მიხედვით გადაწყვეტს, როგორი პირობები შეექმნება დასასვენებლად.

დიდ ალიაქოთში ვართ! სახლს ასუფთავებენ, ფარდებს რეცხავენ. ამ დილით კორნერში მივდივარ შემოსასვლელისათვის ლინოლეუმის საყიდლად. ორი ქილა საღებავიც გვჭირდება ჰოლისა და უკანა კიბის შესაღებად. ხვალ დილისთვის მისის დაუდი მოიწვიეს ფანჯრების ჩამოსარეცხად (გასაჭირმა გოჭის თაობაზე აღძრული ეჭვი დაგვავიწყა). ჩვენი ფუსფუსი მე ისე აღვწერე, რომ შეიძლება გეგონოს, სახლი წესრიგში არ იყოო. ცდები. მისის სემპლს შეიძლება ბევრი ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ კარგი დიასახლისი რომ არის, ამას ვერავინ წაართმევს.

მამაკაცის მეტი ამას ვინ გააკეთებდა, მამილო! მისტერ პენდლტონი დაახლოებითაც არ მიგვანიშნებს, როდის ჩამოვა - დღეს თუ ორი კვირის შემდეგ. ასე რომ, სანამ ჩამოვა, მუდმივ ღელვაში უნდა ვიყოთ. თუ არ იჩქარა, ხელახლა მოგვიხდება სახლის გულმოდგინედ დალაგება.

დაბლა ამაზაი მიცდის. ფორანში გროვერია შებმული. ფორანი მე თვითონ მიმყავს - შენ რომ ბებერი გროუვი გენახა, ჩემზე არ იჯავრებდი.

გემშვიდობები გულზე ხელის მიდებით - ნახვამდის.

ჯუდი.

P. S. ხომ კარგი დაბოლოებაა? სტივენსონის წერილებიდან ამოვიღე.

ისევ დილა მშვიდობისა! გუშინ არ დამიწებებია კონვერტი. ამიტომ ფოსტალიონის მოსვლამდე მინდა, ცოტა რამ დავუმატო. ფოსტა ყოველდღიურად, თორმეტ საათზე მოგვდის ხოლმე, სოფლის ფოსტა ფერმერებისათვის დღესასწაულია. ფოსტალიონი მარტო წერილებს კი არ ატარებს, არამედ რასაც კი დაავალებ, ყოველგვარ თხოვნას შეგისრულებს. თითო დავალება ხუთი ცენტი ჯდება. გუშინ მომიტანა ფეხსაცმლის ზონარი, სახის გამაგრილებელი კრემი (ცხვირზე კანი გადამძვრა მზისაგან, სანამ ახალ შლაპას შევიძენდი), ლურჯი ჰალსტუხი და ფეხსაცმლის საცხი, ყველაფერი ეს 10 ცენტად. ამჯერად ბევრი რამ დავავალე და ამიტომ დაჯდა ასე ძვირი.

ქვეყნის ამბებსაც გვიყვება. ზოგიერთი მოსახლე გაზეთს ღებულობს. ფოსტალიონი გაზეთს გზაში კითხულობს და ახალ ამბებს იმათ უყვება, რომლებსაც გაზეთი არა აქვთ გამოწერილი. ამიტომ, თუ ომი ატყდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის, ან თუ პრეზიდენტი მოკლეს, ან კიდევ თუ როკფელერი მილიონ დოლარს შესწირავს ჯონ გრაიერის თავშესაფარს, შეგიძლია თავი არ შეიწუხო მოწერით. ისედაც გავიგებ.

მასტერ ჯერვისგან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის. მაგრამ ნეტავ გაჩვენა, რა სუფთაა ჩვენი სახლი და შესვლისას რა თავგამოდებით ვიწმენდთ ფეხებს.

იმედია, მალე ჩამოვა; მომენატრა ადამიანთან დალაპარაკება. მისის სემპლი, სიმართლე გითხრა, მოსაწყენია. მისი საუბარი უსიცოცხლოა და აზრს მოკლებული. აქაურებისათვის სამყარო ამ გორაკით იფარგლება. არც ერთი მათგანი არ არის მრავალმხრივი. მე მგონი, გესმის, რის თქმაც მინდა. ჯონ გრაიერის თავშესაფარივითაა, სადაც ჩვენი აზრები ოთხივე მხარეს რკინის ღო-

ბით იყო შემოზღუდული. მაგრამ მაშინ ვერ ვგრძნობდი. უფრო ახალგაზრდა ვიყავი და, თანაც, საშინლად დაკავებული. ყველაფერი უნდა მომესწრო დღის განმავლობაში: ლოგინების ალაგება, პატარებისათვის პირის დაბანა, სკოლაში წასვლა, უკან დაბრუნება, ისევ მათი დაბანა, წინდების დაკემსვა, ფრედი პერკინსის შარვლის დაკერება (ყოველდღე ეხეოდა შარვალი), შუალედებში - გაკვეთილების მომზადება. ყოველივე ამის შემდეგ ერთი სული მქონდა, როდის დავწვებოდი და დავიძინებდი. რა თქმა უნდა, ვერ შევამჩნევდი, ხალხთან ურთიერთობა რომ მაკლდა. ორი წლით კოლეჯში ყოფნამ დამარწმუნა, რაოდენ საჭიროა ეს. მოხარული ვიქნები, ვნახო ვინმე, ვინც მე გამიგებს.

ახლა კი, მამილო, მგონი, მართლა დავამთავრე წერა. აღარაფერი მომდის თავში. შემდეგისათვის შევეცდები, უფრო ვრცელი წერილი მოგწერო.

მარად შენი

ჯუდი.

P.S. სალათა წელს არ მოვიდა. გვალვებმა შეუშალა ხელი.

25 აგვისტო

იცი, მამილო, მასტერ ჯერვი ჩამოვიდა. ნეტავ გაჩვენა, რა კარგ დროს ვატარებთ! ყოველ შემთხვევაში, მე, და ვფიქრობ, ისიც. უკვე ათი დღეა, აქ არის და არ ეტყობა, წასვლა ეჩქარებოდეს. პირდაპირ აღმაშფოთებელია, რა აუტანლად ანებივრებს ამ კაცს მისის სემპლი. პატარაობისასაც თუ ასე ანებივრებდა, მიკვირს, როგორ გამოვიდა მისგან კარგი ადამიანი.

ჩვენ, ორნი, პატარა მაგიდასთან ვსადილობთ, აივანზე, ზოგჯერ ხეების ქვეშ, თუ წვიმს ან ცივა - საუკეთესო სასტუმარო ოთახში. ოღონდაც კი აირჩიოს ადგილი, სად სურს ჭამა და კერი ფეხდაფეხ მისდევს მაგიდით ხელში. მაგრამ თუ ძალიან შორ მანძილზე მოუხდება თეფშების ტარება, მაშინ კერი საშაქრის ქვეშ დოლარს პოულობს ხოლმე.

ძალიან მეგობრული კაცია, თუმცა თავიდან არ დაგრჩება ასეთი შთაბეჭდილება. ერთი შეხედვით, ნამდვილ პენდლტონსა ჰგავს, მაგრამ ახლოს რომ გაიცნობ, დარწმუნდები, რომ პენდლტონს არაფერი მიუგავს. ისეთი უბრალო, ისეთი ბუნებრივი, ისეთი კარგი ადამიანია, რომ მეტი არ იქნება. უცნაურად ჟღერს კაცის ამგვარი დახასიათება, მაგრამ ნამდვილად ასეთია. უაღრესად კარგად ეპყრობა აქაურ ფერმერებს. ისე ელაპარაკება, როგორც თავის ტოლ-სწორებს. ამით ყველას ხიბლავს. პირველად ეჭვით უცქერდნენ. არ მოსწონდათ მისი ტანსაცმელი! უნდა ვთქვა, რომ მართლაც უცნაურად იცვამს. ატარებს ბრიჯებს, გოფრირებულ ქურთუკებს და ცხენით სამგზავრო ნაოჭიან შარვლებს. როცა მასტერ ჯერვი ახალი სამოსელით ჩამოვა ხოლმე დაბლა, მისის სემპლი სახეგაბრწყინებული გარშემო უვლის და არიგებს - ფრთხილად იყოს, სადმე არ დაისვაროს კოსტიუმი, მტვერი არ მიაკაროს. ძალიან მოაბეზრა თავი ჭკუის სწავლებით.

მასტერ ჯერვი სულ ეუბნება: "წადი, ლიზი, შენს საქმეს მიხედე. დარიგება აღარ მჭირდება, უკვე დიდი ვარ."

სიცილით მოკვდება კაცი იმის გაფიქრებაზე, რომ ამ დიდ, გრძელფეხება კაცს (ის ისეთივე გრძელფეხებაა, როგორც შენ, მამილო) მისის სემპლი ოდესღაც კალთაში ისვამდა და პირს ჰბანდა. განსაკუთრებით სასაცილოა, მის კალთას თუ შეხედავ. ახლა მას იმხელა კალთა აქვს, ორ ქალს ეყოფა. სიმსუქნისაგან სამკეცა ღაბაბი ადევს. მასტერ ჯერვი ამბობს, წინათ მისის სემ-პლი გამხდარი, მოქნილი და მკვირცხლი იყო, სირბილში კიდეც მჯობნიდაო.

ყოველი დღე თავგადასავლებითაა სავსე. რამდენიმე მილის მანძილზე აქაურობა სულ დავათვალიერეთ. თევზაობა ვისწავლე პატარა სასაცილო ბუზებით, რომლებსაცბუმბულისგან ვაკეთებ. კიდევ ვისწავლე თოფისა და რევოლვერის სროლა, ცხენზე ჯდო-მა - გროუვი ენერგიის საკვირველ მოზღვავებას ავლენს. სამი დღეა, შვრიას ვაჭმევთ. ერთხელ ხბოსკენ ისე გაქანდა, კინაღამ ჩამომაგდო.

ორშაბათს, ნაშუადღევს სკაი ჰილზე ავედით. ასე ჰქვია იმ მთას, ჩვენი ფერმის შორიახლოს რომ აღმართულა. კაცმა რომ თქვას, არც ისეთი მაღალია, მწვერვალი თოვლით არ არის დაფარული, მაგრამ სანამ მწვერვალს მიაღწევ, გული ამოვარდნაზე გაქვს. ფერდობები ტყიანია, ხოლო მწვერვალი ქვა-ღორღითაა დაფარული. გაშლილი ადგილია. მზის ჩასვლას დაველოდეთ. ცეცხლი დავანთეთ და ვახშამი მოვამზადეთ. საჭმელი მასტერ ჯერვიმ გააკეთა. ასე თქვა, შენზე უკეთ ვიცი მომზადება და, თანაც, შეჩვეული ვარ ღია ცის ქვეშ ცხოვრებასო. მთვარე უკვე ამოსული იყო, როცა დაბლა დავეშვით. ტყის ბილიკს რომ მივაღწიეთ, ძალიან ბნელოდა და მასტერ ჯერვის ჯიბის ელექტროფარნით მივიკვლედით გზას. რამდენი ვიმხიარულეთ! მასტერ ჯერვი მთელი გზა იცინოდა და ხუმრობდა. საინტერესო ამბებს მომითხრობდა. ყველა ის წიგნი, რაც მე წამიკითხავს, წაკითხული აქვს, და კიდევ ბევრი სხვა. საკვირველია, საიდან იცის ამდენი.

ამ დილით სახლიდან ადრიანად გავედით სახეტიალოდ, მაგრამ გზაში ავდარმა მოგვისწრო. გალუმპულები დავბრუნდით სახლში. გუნება-განწყობილება კი ოდანვადაც არ შეგვცვლია. უნდა გენახა მისის სემპლის სახე, სამზარეულოში თავით ფეხამდე სველები რომ შევედით.

"ო, მასტერ ჯერვი! მის ჯუდი! სულმთლად დასველებულხართ. რა ვქნა! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ახალთახალი მშვენიერი ქურთუკი მთლად გაფუჭებულა".

ძალიან სასაცილო იყო. თითქოს ჩვენ ათი წლის ბავშვები ვიყავით, ის კი - ფეთიანი დედა. იმისიც კი შეგვეშინდა, ჩაიზე უმურაბოდ არ დავეტოვებინეთ.

ეს წერილი საუკუნის წინ დავიწყე, მაგრამ წუთი მოცლა არ მქონდა მის დასამთავრებლად.

ხომ კარგად უთქვამს სტივენსონს:

"ქვეყანა ისე გაჩენილა. გულუხვად, ქველად,

უნდა მეფურად, ბედნიერად ვიცხოვროთ ყველამ".

სრული ჭეშმარიტებაა. ქვეყანა სავსეა ბედნიერებით. მთავარია, შევძლოთ იმის დაფასება, რაც ჩვენ წილად გვხვდა. განსაკუთრებით სოფელშია ბევრი რამ საამური. ვის მიწაზედაც მინდა - გავივლი, ვინ დამიშლის მშვენიერი ხედების ცქერას, ვისაც გინდა ეკუთვნოდეს. მინდა - ნაკადულში ვიბანავებ. ამ ყველაფრით ისე ვისარგებლებ, თითქოს ჩემი საკუთრება იყოს. გადასახადსაც არავინ გადამახდევინებს.

ახლა კვირა ღამეა. დაახლოებით თერთმეტი საათი. შუა ძილში უნდა ვიყო, მაგრამ სადილის შემდეგ შავი ყავა დავლიე და ძილი გამიკრთა!

ამ დილით მისის სემპლმა მისტერ პენდლტონს მტკიცე ტონით გამოუცხადა:

- სახლიდან თერთმეტის თხუთმეტ წუთზე უნდა გავიდეთ, რათა თერთმეტზე ეკლესიაში ვიყოთ.

- ძალიან კარგი, ლიზი, - მიუგო მასტერ ჯერვიმ, - ეტლი მზად იყოს, და თუ მე ვერ მოვასწარი მომზადება, ნუ დამიცდით.

- დაგიცდით, - თქვა მისის სემპლმა.

- როგორც გინდათ, - უთხრა მასტერ ჯერვიმ, - ოღონდ ცხენებს დიდხანს ნუ გააჩერებთ.

მასტერ ჯერვიმ, სანამ ჩაიცვამდა, კერის საუზმე გაამზადებინა. მე მითხრა, სასეირნო ტანსაცმელი ჩაიცვიო. უკანა კარიდან გავიპარეთ და სათევზაოდ წავედით.

ამან ჩვენი ოჯახის ჩვეული წესრიგი დაარღვია, იმიტომ, რომ ლოკ უალოუში კვირაობით ორზე სადილობენ, მასტერ ჯერვიმ კი სადილი შვიდისთვის შეუკვეთა. სადილს, როცა უნდა, მაშინ ანიშნინებს, თითქოს აქ რესტორანი გვქონდეს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ კერი და ამაზაი სასეირნოდ ვეღარ წავიდნენ. მასტერ ჯერვიმ შენიშნა, უკეთესია, თუ ვერ წავლენ, რადგანაც კერი გამცილებლის გარეშე ყმაწვილ კაცთან ერთად ეტლით არ უნდა დასეირნობდესო, ესეც არ იყოს, ცხენები მე თვითონ მჭირდება, შენ რომ გასეირნოო. ასეთი სასაცილო რამე გაგიგია?

საცოდავ მისის სემპლს ჰგონია, ვინც კვირაობით სათევზაოდ დადის, საიქიოში მდუღარე კუპრში დაიტანჯება! წუხს, რატომ კარგად ვერ აღზარდა მასტერ ჯერვი, როცა პატარა იყო და ამის საშუალება ჰქონდა. თანაც, მისის სემპლს უნდოდა, მასტერ ჯერვით თავი მოეწონებინა ეკლესიაში.

ასეა თუ ისე, ჩვენ სათევზაოდ ვიყავით. მასტერ ჯერვიმ ოთხი პატარა თევზი დაიჭირა და ცეცხლზე შევწვით. თევზები შამფურიდან სულ დაბლა ცვიოდა და ნაცრის გემო ჰქონდა, მაგრამ მაინც გეახელით. ოთხზე შინ ვიყავით, ხუთზე ეტლით გავისეირნეთ, შვიდზე ვისადილეთ, ათზე დასაძინებლად მოვაშურე ჩემს ოთახს. ახლა ვზივარ და წერილს გწერ.

ცოტა არ იყოს, ძილი მომერია.

ღამე მშვიდობისა.

ჰეი, გემზე, კაპიტანო გრძელფეხებავ!

შეჩერდი! გაამაგრე ბაგირი! ჰე, ჰე, ჰეი! ერთი ბოთლი რომი! თუ მიხვდები, რას ვკითხულობ? ბოლო ორი დღეა, სულ მეკობრეებსა და ზღვებზე ვსაუბრობთ. ხომ მართლა შესანიშნავია "განძის კუნძული?" წაგიკითხავს? შესაძლოა, ჯერ არც კი იყო დაწერილი, როცა შენ პატარა იყავი. სტივენსონმა სულ რაღაც ოცდაათი გირვანქა მიიღო ამ ნაწარმოებში. ამის შემდეგ ღირს, კაცი დიდი მწერალიგამოვიდეს? იქნებ ჩემთვის სოფლის მასწავლებლობა სჯობდეს?

ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემს წერილებში სტივენსონით ყურები გამოგიჭედე. ამჟამად სტივენსონს უპყრია ჩემი გონებაც და სულიც. ლოკ უილოუს ბიბლიოთეკაში, სულერთია, მისი წიგნების გარდა მაინც ვერაფერს ნახავ.

ამ წერილს უკვე ორი კვირაა, ვწერ და ვფიქრობ, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. ასე რომ, არ მისაყვედურო, მამილო, თითქოს ყველაფერს დაწვრილებით არ გწერდე. როგორ მინდა, შენც აქ იყო. რა კარგ დროს გავატარებდით ყველანი ერთად. მიყვარს, როცა ჩემი მეგობრები ერთმანეთს იცნობენ. მინდოდა, მისტერ პენდლტონისათვის მეკითხა, თუ გიცნობდა - დარწმუნებული ვარ, გიცნობს. თქვენ, ალბათ, ნიუ-იორკის ერთსა და იმავე მაღალ საზოგადოებაში ტრიალებთ, ორივეს გაინტერესებთ რეფორმები და სხვა. მაგრამ ვერ ვკითხე. მე ხომ შენი ნამდვილი გვარიც არ ვიცი.

გაგონილა ასეთი უცნაური ამბავი, შენი გვარი რომ არ ვიცი? მისის ლიპეტმა გამაფრთხილა, ექსცენტრიკულიაო. მეც ასე მგონია.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

P.S. წერილი გადავიკითხე და დავრწმუნდი, რომ იგი მთლიანად სტივენსონს არ ეძღვნება. აქა-იქ მასტერ ჯერვიც არის მოხსენიებული.

10 სექტემბერი

ძვირფასო მამილო!

ის წავიდა და ყველას გული დაგვწყვიტა. როცა ადამიანებს, ან ადგილს, ან ცხოვრების რაიმე წესს ვეჩვევით და მერე მოულოდნელად მოვშორდებით, სულში სიცარიელე რჩება, რომელიც მტანჯველ გრძნობას იწვევს. მისის სემპლის საუბარი აღარ მახალისებს.

კოლეჯში სწავლა ორ კვირაში იწყება. მიხარია, რომ მუშაობას შევუდგები. ზაფხული უქმად არ გამიტარებია. ბევრი ვიშრომე. ექვსი მოკლე მოთხრობა და შვიდი ლექსი დავწერე. სხვადასხვა ჟურნალს გავუგზავნე, მაგრამ სასწრაფოდ უკან დამიბრუნეს. მაინც არ ვნანობ. კარგი გამოცდილება მივიღე. მოთხრობებიცა და ლექსებიც მასტერ ჯერვიმ წაიკითხა. ფოსტა თვითონ მოიტანა, ისე რომ, გადამალვა ვერ მოვასწარი. საშინელებააო, მითხრა, ოდნავი წარმოდგენა არ გაქვს, რაზედაც წერო (მასტერ ჯერვი, როცა საქმე სიმართლეს ეხება, ზრდილობას დიდად არ დაგიდევს). მხოლოდ ჩემი ბოლო ნამუშევარი მოეწონა - სულ პატარა სკეტჩი კოლეჯის ცხოვრებიდან. საბეჭდ მანქანაზე თვითონვე გადაბეჭდა და ჟურნალში გავგზავნეთ. ორი კვირა გააჩერეს. ეტყობა, ყოველმხრივ იხილავდნენ.

უნდა გაჩვენა ცა! უცნაურ, ფორთოხლისფერ შუქს ჰფენს არე-მარეს. ეს ქარიშხლის მომასწავებელია.

ეს-ესაა, წვიმამ დაუშვა და ატყდა დარაბების ბრახაბრუხი. ფანჯრების დასახურად გავქანდი. ამ დროს კერი რძის ქვაბებს სხვენისაკენ მიარბენინებდა - დახვრეტილი სახურავისთვის ქვა-ბები უნდა შეედგა. მერე, კალამს ხელი მოვკიდე თუ არა, გამახ-სენდა, რომ ბაღში ხის ქვეშ ბალიში, ფარდაგი, შლაპა და მეთიუ არნოლდის პოემები დავტოვე. ყველაფერი სველი დამხვდა. წი-თელი ყდის საღებავს წიგნის ფურცლებში შეეჟონა. ასე რომ, "დოუვრის სანაპირო" წითელი ტალღებით გადაირეცხება.

ავდარს სოფელში ათასგვარი უსიამოვნება მოჰყვება ხოლმე. ძალაუნებურად უნდა იფიქრო იმ ნივთებზე, რომლებიც გარეთ აწყვია და ფუჭდება.

მამილო! მამილო! წარმოგიდგენია! ზუსტად ახლა მოვიდა ფოსტალიონი ორი ბარათით.

1. ჩემი მოთხრობა მიიღეს! 50 დოლარი!

Alors.[48] მე მწერალი ვარ!

2. წერილია კოლეჯის მდივნისაგან. ორი წლის განმავლობაში მექნება სტიპენდია, რომელიც დაფარავს სწავლისა და კვების გადასახადს. მისი საფუძველია "ინგლისურ ენაში წარჩინება და, საერთოდ, ყოველმხრივი წარმატება". და ეს მე მოვიპოვე! წამოსვლის წინ განცხადება დავტოვე, მაგრამ იმედი არ მქონდა, პირველ კურსზე ლათინურსა და მათემატიკაში ჩაფლავების გამო. როგორც ჩანს, უკვე გამოვისყიდე კარგი სწავლით. როგორ მიხარია, მამილო, რომ შენთვის ისე მძიმე ტვირთი აღარ ვიქნები. ჯიბის ფულიღა დამჭირდება და, შესაძლოა, ესეც ვიშოვო მასწავლებლობით, წერითა და სხვა საშუალებით.

ვნატრობ, ჩქარა დავბრუნდე და შევუდგე მუშაობას.

მარად შენი

ჯერუშა ებოტი,

ავტორი მოთხრობისა: "როცა თამაშს მეორეკურსელები იგებენ". გაზეთების ყველა ჯიხურში იყიდება. ფასი ათი ცენტი.

[48] მაშ, ასე.(ფრანგ.)

26 სექტემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ისევ კოლეჯი. უფროსკურსელი ვარ. ახლა ჩვენი ოთახი ისეთი კარგია, როგორც არასდროს. სამხრეთით გადის ორი ფართო ფანჯარა - უნდა ნახო, როგორ არის მორთული! ჯულია ორი დღით ადრე ჩამოვიდა, უამრავი ფულითა და ოთახების მოკაზმვის ციებ-ცხელებით შეპყრობილი.

კედლებზე ახალი შპალერია გაკრული და აღმოსავლური ფარდაგებითაა დამშვენებული. სკამები წითელი ხისაა, ოღონდ ისეთი კი არა, გასულ წელს რომ გვქონდა - შეღებილი (შარშან ამასაც არ ვიწუნებდით) - ნამდვილი წითელი ხისაა. ძალიან მდიდრული ოთახია, მაგრამ რაღაც, ვერ ვეგუები. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მე არ მეკუთვნოდეს. სულ იმის მეშინია, ვაითუ მელანი დამეღვაროს.

ჰო, მამილო! დამხვდა შენი, პარდონ, შენი მდივნის წერილი.

იქნებ კეთილი ინებოთ და ამიხსნათ, რატომ უნდა ვთქვა უარი სტიპენდიაზე? შენი წინააღმდეგობა ჩემთვის სრულიად გაუგებარია. მაგრამ, სულ ერთია, ახლა აზრი აღარა აქვს წინააღმდეგობას, რადგან მე ის უკვე მივიღე და სრულიად არა ვფიქრობ უარის თქმას. შეიძლება ცოტათი უკმეხად მოგეჩვენოს ნათქვამი, მაგრამ ჩემდა უნებურად გამომდის ასე.

გასაგებია, რაკი ჩემი განათლება დაისახე მიზნად, გსურს კიდეც, საქმე დაასრულო - დიპლომის მიღებით დასვა წერტილი.

მაგრამ, აბა, ერთი წუთით ჩემი თვალით შეხედე ამ საკითხს. შენ უნდა გიმადლოდე, განათლებას რომ ვიღებ. მაგრამ მე ხომ დავალებული ვარ. ამ ვალს მთელი სიცოცხლე ვერ გადავიხდი. სტიპენდიის მიღების შემთხვევაში კი ნაკლები ვალი მექნება. ვი-

ცი, ფულის გადახდას არ თხოულობ, მაგრამ მე მაინც მინდა გადაგიხადო, თუკი შევძლებ. სტიპენდია გამიიოლებს საქმეს. მთელი ჩემი სიცოცხლე უნდა მეხადა ვალები, ახლა კი მხოლოდ ნახევრის გადახდა დამჭირდება.

იმედია, გესმის ჩემი და არ გწყინს. ჯიბის ფულს ჯერჯერობით დიდი მადლიერებით მივიღებ. უამისოდ როგორ შევძლებ მხარი ავუბა ჯულიას, ყველაფერი მდიდრული რომ უყვარს. ნეტავი მას სისადავე ჰყვარებოდა ან მე არ მოვხვედრილიყავი მასთან ერთად ბინაში.

ვერაფერი წერილი გამომივიდა. ბევრის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ ოთხ ფარდასა და სამ პორტიერს შემოვუკეცე (კიდევ კარგი, ვერ ხედავ, რა შორიშორს არის ამოხვეული), ბრინჯაოს საწერი მოწყობილობა კბილის ფხვნილით გავაპრიალე (ძნელი სამუშაოა), სურათების დასაკიდებლად მავთული დავჭერი მანიკიურის მაკრატლით, ამოვალაგე ოთხი ყუთი წიგნები, ორი სკივრი კაბები (არა მჯერა, რომ ჯერუშა ებოტს ორი სკივრი საკუთარი კაბებით აქვს გატენილი. მაგრამ ასეა!), ხოლო შუალედებში ვხვდებოდი კოლეჯში დაბრუნებულ ორმოცდაათ ძვირფას ამხანაგს.

სწავლის დაწყების დღე სახალისოა!

ღამე მშვიდობისა, მამილო, ძვირფასო, და ნუ ჯავრობ, რომ შენს წიწილას სურს, თვითონვე მონახოს საკენკი. მისგან ენერგიული პატარა ქათამი დგება - გამბედავი, მოკაკანე, ლამაზი ბუმბულით იმოსება (და ყველაფერი ეს შენი წყალობით).

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

30 სექტემბერი

ძვირფასო მამილო!

შენ კიდევ არ იშლი შენსას? სტიპენდიაზე კიდევ წუხხარ? არასოდეს მინახავს შენისთანა შეუპოვარი, უგუნური, შეუდრეკელი და ჯიუტი ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს, სხვის ადგილას წარმოიდგინოს თავი.

მეუბნები, უცნობისაგან მოწყალებას ნუ მიიღებო. მერედა, შენ ვინ ხარ? თუ ღმერთი გწამს, ამიხსენი. ვის ვიცნობ ამქვეყნად შენზე უფრო ნაკლებად? ქუჩაში რომ შემხვდე, ვერც კი გიცნობ. მესმის - საღად მოაზროვნე, გონიერი ადამიანი იყო და გამამხნევებელ, მხიარულ, მამაშვილურ წერილებს სწერდე შენს პატარა ჯუდის, დროდადრო ჩამოდიოდე, თავზე ხელს გადაუსვამდე და ეტყოდე, როგორ მიხარია, ასეთი კარგი რომ ხარო. მაშინ შესაძლოა, მასაც არ გაეჯავრებინე სიბერის ჟამს, დამჯერი ქალიშვილივით დამორჩილებოდა შენს უმცირეს სურვილსაც კი.

უცნობებიო! ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით უყურებ, მისტერ სმით!

ამას თავი გავანებოთ, ეს რა მოწყალებაა! ჯილდო უფროა - მე იგი მუყაითი შრომით დავიმსახურე. ვინმე რომ არ ყოფილიყო ძლიერი ინგლისურ ენაში, კომიტეტი არავის დაუნიშნავდა სტიპენდიას. რამდენიმე წელია, სტიპენდია არავისთვის მიუციათ. ამას გარდა... თუმცა რა აზრი აქვს კამათს? შენ, მისტერ სმით, ეკუთვნი ისეთ სქესს, რომელიც მოკლებულია ლოგიკას. მამაკაცი რომ რამეში დაარწმუნო, ამისათვის ორი ხერხი არსებობს: ან უნდა ეფარისევლო, ან მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიო. ვერ ვიტან ფარისეველ ხალხს, თავისი მიზნის მიღწევისათვის რომ ელა-

ქუცებიან ვინმეს. ამიტომ ისღა დამრჩენია, სიმტკიცე გამოვიჩინო.

არა, სერ, სტიპენდიაზე უარს არ ვიტყვი. და თუ შენსას არ დაიშლი, აღარც იმ ფულს მივიღებ, ყოველთვე რომ მიგზავნი, მთლად რომ დამაწყდეს ნერვები შტერ პირველკურსელებთან მეცადინეობით, როგორმე გავიტან თავს.

ეს არის ჩემი ულტიმატუმი!

ახლა მომისმინე, რა აზრი მომივიდა! რაკი ძალიან გეშინია, რომ სტიპენდიის აღებით ვიღაცას სწავლის შანსს ვართმევ, მაშინ იმ ფულით, რაც ამ ხნის განმავლობაში ჩემზე უნდა დაგეხარჯა, სხვა გოგონა გამოიყვანე ჯონ გრაიერის სახლიდან. ხომ კარგი იდეაა? მხოლოდ ერთი პირობით: იმ გოგოს რამდენიც გინდა, იმდენი განათლება მიეცი, ოღონდ, გეხვეწები, ჩემზე მეტად ნუ გეყვარება.

იმედი მაქვს, შენი მდივანი გულნატკენი არ იქნება, მის მითითებებს რომ ვერ ვასრულებ. გულნატკენია და იყოს, რა ვქნა, ვერაფერს ვუშველი. იგი განებივრებული ბავშვია, მამილო. აქამდე მის ჭირვეულობას ანგარიშს ვუწევდი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, ჩემი გავიტანო.

მე აზრს არ შევიცვლი.

გადაწყვეტილება მიღებული მაქვს
საბოლოოდ, ურყევად და საუკუნოდ.

შენი

ჯერუშა ებოტი

9 ნოემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

დღეს ქალაქში წავედი საცხის, საყელოების, საბლუზე ქსოვილის, ერთი ქილა იისფერი კრემისა და ერთი კალაპოტი კასტილიური საპნის საყიდლად. ეს ყველაფერი ძალიან მჭირდება. ესენი რომ არ მქონოდა, თავს ბედნიერად ვერ ჩავთვლიდი. როდესაც ტრამვაიში ჩავჯექი და ბილეთი უნდა მეყიდა,აღმოჩნდა, რომ საფულე სხვა პალტოს ჯიბეში დამრჩენოდა. ასე რომ, უკან დაბრუნება მომიხდა. მომდევნო ტრამვაით გავემგზავრე. ამიტომ ფიზკულტურის გაკვეთილზე დამაგვიანდა.

საშინელებაა - ორი პალტო გვქონდეს და მეხსიერება გღალატობდეს!

ჯულია პენდლტონმა თავისთან დამპატიჟა საშობაო არდადეგებზე. ნუთუ ეს ამბავი არ გაოცებს, მისტერ სმით? წარმოიდგინე, ჯონ გრაიერის თავშესაფრიდან გამოსული ჯერუშა ებოტი მდიდრების სუფრასთან მჯდარი. არ ვიცი, რატომ დამპატიჟა - ბოლო დროს ძალიან დამიახლოვდა. გულახდილად რომ ვთქვა, სელისთან უფრო სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ ჯულიამ პირველმა დამპატიჟა, ასე რომ, თუკი სადმე წავალ, წავალ არა ვუსტერში, არამედ ნიუ-იორკში. პენდლტონებს en masse[49] რომ წარმოვიდგენ, შიში მიპყრობს. გარდა ამისა, აუცილებელი იქნება ახალი კაბების შეკერვა იქ წასასვლელად. ასე რომ, თუ მომწერ, მირჩევნია, კოლეჯში დარჩე, როგორც დამჯერი გოგოო, დავემორჩილები შენს სურვილს.

[49] ყველას ერთად.(ფრანგ.)

თავისუფალ დროს “თომას ჰაქსლის ცხოვრებას და წერილებს” ვკითხულობ. მსუბუქი და სასიამოვნო საკითხავია. იცი, რა არის არქეოპტერიქსი? ჩიტი ყოფილა. სტერეოგნატუსი? ეს თვითონაც კარგად არ ვიცი. მაგრამ, ჩემი აზრით, კბილებიანი ჩიტია თუ ფრთიანი ხვლიკი. არც ერთია და არც მეორე. ეს-ესაა წიგნში ჩავიხედე - მეზოზოური ძუძუმწოვარა ცხოველი ყოფილა.

წელს პოლიტეკონომია ავირჩიე სასწავლად. განვითარებისათვის კარგი საგანია. როდესაც სწავლას დავამთავრებ, ქველმოქმედებას მივყოფ ხელს და რეფორმების გატარებას შევუდგები. მაშინ, მისტერ მეურვევ, მეცოდინება, როგორ დავაყენო საქმე თავშესაფარში. როგორ გგონია, ხმის უფლება რომ მქონდეს, კარგი ამომრჩეველი ვიქნებოდი? წინა კვირას ოცდაერთი წლის გავხდი. უყაირათო უნდა იყოს ის ქვეყანა, რომელიც უყურადღებოდ დატოვებს ისეთ პატიოსან, განათლებულ, სინდისიერ ინტელიგენტ მოქალაქეს, როგორიც მე ვიქნები.

მარად შენი

ჯუდი.

7 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

მადლობელი ვარ, ჯულიასთან სტუმრად რომ გამიშვი. დუმილი თანხმობის ნიშნად ჩავთვალე.

ჩვენთან დიდი ორომტრიალი იყო. გასულ კვირას მეჯლისი გავმართეთ კოლეჯის დამაარსებლის პატივსაცემად. სტუმრები გვყვავდა მოწვეული. ასეთ საღამოს ჩვენ წელს პირველად დავესწარით, რადგან ამ მეჯლისზე დასწრების უფლება მხოლოდ უფროსკურსელებს აქვთ.

მე ჯიმი მაკბრაიდი დავპატიჟე, ხოლო სელიმ - ჯიმის თანაკურსელი; პრინსტონში ჯიმი და ის ბიჭი ერთ ოთახში ცხოვრობენ. შარშან ზაფხულს ის იყო მაკბრაიდების სტუმარი. ძალიან სიმპათიურია. ჟღალთმიანი. ჯულიამ კი ნიუ-იორკიდან მოიწვია ერთი ყმაწვილი კაცი. მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ საზოგადოებრივი მდგომარეობის მხრივ წუნს ვერ დასდებდი. თურმე დე ლა მატერ ჩიჩესტერებს ენათესავება. იქნებ ეს შენთვის რამეს ნიშნავს? ჩემს თვალში ამას ჩალის ფასი აქვს, ამით ის უფრო მიმზიდველი არ მეჩვენება.

ჩვენი სტუმრები პარასკევს, ნაშუადღევს ჩამოვიდნენ, ზუსტად იმ დროს, როცა ჩაი გვქონდა გამზადებული. შემდეგ სასტუმროში წავიდნენ სასადილოდ. სასტუმრო ისეთი გაჭედილი ყოფილა, რომ ზოგ მათგანს ბილიარდის მაგიდაზე სძინებია. ჯიმი მაკბრაიდი ამბობს, ამის შემდეგ როცა თქვენს კოლეჯში სტუმრად მომიწვევენ, კარავს ჩამოვიტან და ეზოში გავშლიო.

რვის ნახევარზე ცეკვები იწყებოდა. ვაჟებიც ამ დროისათვის დაბრუნდნენ. წინასწარ ბარათები მოვუმზადეთ. ვაჟების გვარების პირველი ასოები ანბანის მიხედვით დავალაგეთ და კედელზე

მივაკარით. ეს კარგი ხერხი იყო, რადგან გვიადვილებდა ჩვენი პარტნიორის მოძებნას. ჯიმი მაკბრაიდი, მაგალითად, მოთმინებით იდგა ასო "მ"-სთან, სანამ საცეკვაოდ მიიწვევდნენ (ყოველ შემთხვევაში, უნდა მდგარიყო, მაგრამ ის აქეთ-იქით დახეტიალობდა და ხან "რ"-სთან აღმოჩნდებოდა, ხან "ს"-სთან). ძალიან ჭირვეული სტუმარი გამოდგა. მხოლოდ სამჯერ ვიცეკვე მასთან და ამიტომ გამებუტა. უცხო გოგოებთან ცეკვა მრცხვენიაო, მითხრა.

მეორე დილით კონცერტი გავმართეთ. იცი, ამ კონცერტისათვის სასაცილო სიმღერა ვინ დაწერა? არ გატყუებ! მან დაწერა! ხედავ, მამილო, შენი უსახლკარო გოგონა გამოჩენილი პიროვნება ხდება.

ასე იყო თუ ისე, ამ ორ დღეს მშვენიერი დრო გავატარეთ. ვფიქრობ, მამაკაცებიც კმაყოფილი დარჩნენ. პირველად ზოგიერთი მათგანი ძალიან დაიბნა, ათასი გოგო ერთად შეყრილი რომ ნახა. მაგრამ ძალიან მალე გაუშინაურდნენ გოგონებს. ჩვენმა ორმა პრინსტონელმა გვარიანად მოილხინა. ყოველ შემთხვევაში, ზრდილობისათვის ასე გვითხრეს. შემდეგ გაზაფხულისათვის თავიანთ კოლეჯში მიგვიპატიჟეს ცეკვებზე. მიპატიჟება მივიღეთ. გთხოვ, მამილო, იქ წასვლას ნუ დამიშლი.

ჯულიას, სელის და მე ახალი კაბები გვეცვა. გინდა გითხრა, როგორი? ჯულიას - კრემისფერი ატლასის, ოქრომკედით ნაქარგი. გულზე მუქი წითელი ჯადვარი ჰქონდა მიბნეული. მისი სამოსი ნამდვილი ოცნება იყო! პარიზიდან ჩამოუტანეს. მილიონი დოლარი დაუჯდებოდათ. სელის კაბა - ღია ცისფერი, სპარსულ ყაიდაზე მოქარგული, ძალიან უხდებოდა მის წითურ თმას. მართალია, სელის კაბაში მილიონი არ მიუციათ, მაგრამ ჯულიას კაბას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ჩემი კაბა - ღია ვარდისფერი crê pe de chin é cru-ს[50] არშიითა-და ვარდისფერივე ატლასით იყო გაწყობილი. მკერდზე წითელი ვარდები მქონდა მიბნეული. ვარდები ჯიმიმ გამომიგზავნა (სე-ლიმ შეატყობინა, რა ფერისა ეშოვა)! ყველას ატლასის ფეხსაც-მელი და აბრეშუმის წინდები გვეცვა. ამ ფერებთან შეხამებული chiffon-ის[51] შარფები გვქონდა მოხვეული.

ჩვენი სამოსელის დეტალურმა აღწერამ შენზე, ალბათ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

წარმომიდგენია, მამილო, რა უფერული ცხოვრება აქვს მამა-კაცს, რომლისთვისაც შიფონი, ხელით ნაქარგი ვენეციური ან ირლანდიური არშია ფუჭი სიტყვებია. ქალი კი, რითაც უნდა იყოს დაკავებული - შვილებით, მიკრობებით, ქმრით, პოეზიით, მოსამ-სახურეებით, პარალელოგრამებით, მებაღეობით, პლატონით თუ ბრიჯის თამაშით, უმთავრესად და ყოველთვის მაინც ტანისა-მოსით არის დაინტერესებული.

ბუნებაში ეს ერთადერთი თვისებაა, რითაც მთელ ქვეყანაზე ყველა ქალი ერთმანეთს ენათესავება (ეს ჩემი აზრი არ არის. შექსპირის ერთ-ერთი პიესიდან ვისესხე).

ვუბრუნდები ჩვენს ამბებს. გინდა, გაგანდო ერთი საიდუმლო-ება, რომელიც ამ ბოლო დროს აღმოვაჩინე? დამპირდი, რომ ქა-რაფშუტად არ ჩამთვლი. მაშ, მომისმინე.

მე ლამაზი ვარ.

მართლა, ღმერთმანი! იდიოტი უნდა ვყოფილიყავი, არ შემემ-ჩნია, მით უფრო, რომ ოთახში ერთის ნაცვლად სამი სარკე გვიდ-გას.

მეგობარი.

P.S. ეს ერთ-ერთი იმ ბოროტ ანონიმურ წერილთაგანია, რო-მელთა მსგავსსაც რომანებში ამოიკითხავს კაცი.

---

[50] crêpe de chin - კრეპდეშინი, é cru - ხამი.(ფრანგ.)
[51] შიფონი (ფრანგ.)

20 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

სულ ორიოდე წუთი მაქვს თავისუფალი. ორი ლექცია უნდა მოვისმინო, სკივრი და ჩემოდანი ჩავალაგო და მატარებელს მივუსწრო. მაგრამ არ შემიძლია ისე წავიდე, რომ არ შეგატყობინო, რა მადლობელი ვარ საშობაო საჩუქრისათვის.

ბეწვიც მიყვარს, ყელსაბამიც, მოსასხამიც, ხელთათმანებიც, ცხვირსახოცებიც, წიგნებიცა და საფულეც, მაგრამ ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ! ოღონდ, მამილო, ასე რატომ მანებივრებ? მეც ხომ ადამიანი ვარ, თანაც გოგო. როგორ უნდა დავუდო გული სწავლას, როდესაც თვითონვე მაცდენ ქარაფშუტულ საგნებზე ფიქრით?

ერთი ეჭვი დამებადა. შენ ხომ არა ხარ ჯონ გრაიერის თავშესაფრის ის მეურვე, რომელიც საშობაო ნაძვის ხეს გვიდგამდა, ხოლო კვირაობით ნაყინით გვიმასპინძლდებოდა? ისიც უცნობი იყო, მაგრამ ვცნობ თავისი

საქმეებით. შენ დიდი ბედნიერების ღირსი ხარ ყველა იმ სიკეთისათვის, რაც დაგითესავს.

მშვიდობით. ბედნიერ შობას გისურვებ.

მარად შენი

ჯუდი.

P.S. პატარა სუვენირს მეც გიგზავნი. როგორ გგონია, ჯერუშა რომ გენახა, მოგეწონებოდა?

11 იანვარი

ქალაქიდან მინდოდა მომეწერა, მაგრამ ვიცი, ნიუ-იორკი თავგზას უბნევს კაცს.

ძალიან მხიარულად გავატარე დრო პენდლტონებთან და ძალიან ბევრი სასარგებლო რამ შევიძინე, მაგრამ მაინც მიხარია, ასეთი ოჯახი რომ არ მყავს! მართალი გითხრა, ჯონ გრაიერის თავშესაფარი მირჩევნია. რა დიდი ნაკლიც უნდა ჰქონდეს ჩემს აღზრდას, ყოველ შემთხვევაში, უპრეტენზიოა. ახლა მესმის, რასაც ნიშნავს, ნივთები სულს მიხუთავსო, რომ ამბობენ. ამ სახლში ნივთები ბატონობენ. სანამ აქეთ წამოსასვლელად მატარებელში ჩავჯდებოდი, ერთხელაც ვერ ამოვისუნთქე თავისუფლად. ირგვლივ ყველაფერი ჩაჩუქურთმებული, ოთახები ავეჯით გაწყობილი და დიდებული. ყველანი კოხტად ჩაცმულები, კარგად აღზრდილები არიან და ხმადაბლა საუბრობენ. მაგრამ რად გინდა - სანამ იქ ვიყავი, მამილო, მათ საუბარში საინტერესო არაფერი მომისმენია. არა მგონია, მათ სახლში ოდესმე რაიმე აზრს შეეღწიოს.

მისის პენდლტონი მხოლოდ ბრილიანტებზე, მკერავებსა და დროსტარებაზე ფიქრობს. მისის მაკბრაიდს სრულიად არ ჰგავს. მისის მაკბრაიდი სულ სხვანაირი დედაა. თუკი ოდესმე გავთხოვდი, შევეცდები, მაკბრაიდებისთანა ოჯახი შევქმნა. რაც უნდა მდიდარი ვიყო, ჩემს შვილებს ნებას არ მივცემ, პენდლტონებს დაემსგავსონ. იქნებ უზრდელობაა იმ ოჯახის კრიტიკა, რომლის სტუმარიც ვიყავი? თუ ასეა, ბოდიშს ვიხდი. საიდუმლოდ განდობ. ჩვენ შორის დარჩეს.

მასტერ ჯერვიმ მხოლოდ ერთხელ შემოიარა. ჩაიზე ეწვია პენდლტონებს. პირისპირ დალაპარაკებაც ვერ მოვახერხე. ასეთმა შეხვედრამ გული მატკინა, განსაკუთრებით - როცა ვიხსენებ, რა

მშვენივრად გავატარეთ ზაფხული ერთად. არა მგონია, იმას მაინცდამაინც ეპიტნავებოდეს თავისი ნათესავები. დარწმუნებული ვარ, არც ისინი იკლავენ თავს მისთვის! ჯულიას დედა ამბობს, უცნაურიაო. სოციალისტია და მადლობა ღმერთს, თმას მაინც არ იზრდის და წითელ ყელსახვევს არ იკეთებსო. ძალიან უკვირს, საიდან გაუჩნდა ეს უცნაური იდეები; მათი ოჯახი თაობიდან თაობამდე ანგლიკანურ ეკლესიას ეკუთვნოდა. რაღაც სულელურ რეფორმებში ყრის ფულს, იმის მაგივრად, რომ ჭკვიანურად მოიხმაროს იახტების, მანქანებისა და ცხენბურთისთვისო. რა ვიცი, კანფეტების საყიდლად კი აქვს ფული! საშობაოდ მე და ჯულიას თითო კოლოფი გამოგვიგზავნა.

იცი რა, მგონი, მეც სოციალისტი გამოვალ. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, მამილო? სოციალისტები ანარქისტებს არა ჰგვანან, ტერორი არ მოსწონთ. შესაძლებელია, ჩემი მდგომარეობით მე ისედაც სოციალისტი ვარ, პროლეტარიატს ვეკუთვნი, ოღონდ ჯერ არ გადამიწყვეტია, რა მიმართულების სოციალისტი ვიქნები. ამ საკითხს გავეცნობი და მომდევნო წერილში ჩამოვაყალიბებ ჩემს პრინციპებს.

უამრავი თეატრი, სასტუმრო და ლამაზი ნაგებობა ვნახე. ჩემს თავში ონიქსის, მოოქრული საგნების, მოზაიკური იატაკისა და პალმების ქაოსია. სული ჯერაც არ მომითქვამს, მაგრამ მიხარია, კოლეჯსა და წიგნებს რომ დავუბრუნდი. ჭეშმარიტი სტუდენტი ვარ. აქაური აკადემიური ატმოსფერო უფრო მიზიდავს, ვიდრე ნიუ-იორკი. კოლეჯში სრულიად ნორმალური ცხოვრებაა: წიგნები, მეცადინეობა, სისტემატური ლექციები გონების მოდუნების საშუალებას არ გაძლევს, ხოლო თუ დაიღლები, დარბაზში ან სუფთა ჰაერზე ვარჯიში საუკეთესო დასვენებაა. გარს გახვევია ტოლები, რომლებიც იმავეს ფიქრობენ, რასაც შენ. საღამოობით ლაყბობის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ისეთი ამაღლებული გრძნობით ვიძინებთ, თითქოს ქვეყნის მნიშვნელოვანი ამბები

საბოლოოდ გადაგვეწყვიტოს. თავისუფალ დროს ათასგვარი სი-სულელით ვავსებთ. უაზრო ხუმრობებით ვიქცევთ თავს, მაგრამ ჩვენ მოგვწონს. საკუთარი გონებამახვილობით კმაყოფილნი ვართ.

ცხოვრებაში მთავარი დიდი სიხარული არ არის. მთავარია, შენ თვითონ შეგეძლოს პატარა-პატარა ბედნიერებებისაგან დი-დი სიხარული შექმნა. ბედნიერების ნამდვილ საიდუმლოს მივა-გენი, მამილო - დღევანდელი დღით უნდა იცხოვრო. უსასრუ-ლოდ არ უნდა მისტიროდე ძველს და იმედს მომავალზე არ უნდა ამყარებდე. ცხოვრებიდან რაც შეიძლება მეტი უნდა მიიღო. ეს მიწათმოქმედებას ჰგავს. მიწას ექსტენსიურადაც ამუშავებენ და ინტენსიურადაც. მე მინდა, ინტენსიურად ვიცხოვრო, ყოველ წუთს ვიღებდე სიამოვნებას და ვიცოდე, რომ ეს სიამოვნებაა. ხალხის უმეტესობა კი არ ცხოვრობს, გარბის. ცდილობს, რაც შე-იძლება მალე მიაღწიოს მიზანს და, სირბილისაგან ქანცგაწყვე-ტილი კარგავს ამქვეყნიური სილამაზის შეგრძნების უნარს. ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი აღმოაჩენს, რომ დაბერდა და მოიქან-ცა. ახლა მისთვის უკვე მნიშვნელობა არა აქვს, მიაღწია მიზანს თუ არა. მე კი გადავწყვიტე, ცხოვრების გზაზე ჩავცუცქდე და პა-ტარ-პატარა ბედნიერებები ავკრიფო, თუნდაც ამის გამო დიდი მწერალი ვეღარ გამოვიდე. ასეთი ფილოსოფოსი ქალი სადმე გინახავს?

მარად შენი

ჯუდი.

P.S. ამ ღამით კოკისპირული წვიმაა. სწორედ ახლა ორმა ლეკვმა და ერთმა კნუტმა ფანჯრის რაფას შეაფარეს თავი.

ძვირფასო ამხანაგო!

ვაშაა! მე ფაბიანელი ვარ.

ფაბიანელი ისეთი სოციალისტი გახლავთ, რომელიც თანახმაა, მოიცადოს. ჩვენ არ მოვითხოვთ, სოციალსტური რევოლუცია ხვალვე მოხდეს. ეს მეტისმეტად მოულოდნელი იქნებოდა. გვინდა, რევოლუცია თანდათანობით განხორციელდეს შორეულ მომავალში, როცა ჩვენ ყველანი საამისოდ მომზადებული ვიქნებით და გავუძლებთ რევოლუციურ გადატრიალებას. მანამდე კი უნდა ვემზადოთ რეფორმების გასატარებლად ინდუსტრიაში, განათლებასა და ობოლთა თავშესაფრების საქმეში.

ძმური სიყვარულით

შენი ჯუდი.

ორშაბათი, 3 საათი.

11 თებერვალი

ძვირფასო გ.ფ.მ.!

არ გეწყინოს, ასეთ მოკლე ბარათს რომ გწერ. ამ რამდენიმე პწკარით მინდა შეგატყობინო, რომ როგორც კი გამოცდებს დავამთავრებ, მაშინვე მოგწერ წერილს. ის კი არ არის მთავარი, რომ ჩავაბარო, არამედ ჩავაბარო კარგად. უნდა დავამტკიცო, რომ სტიპენდიის აღების ღირსი ვარ!

შენი ბეჯითი

ჯ. ე.

5 მარტი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

პრეზიდენტმა კაილერმა დღეს, საღამოს სიტყვა წარმოთქვა ახალგაზრდა თაობის ზედაპირულობასა და ქარაფშუტობაზე. თქვა, რომ ჩვენ ვკარგავთ შრომისა და ჭეშმარიტი განსწავლულობის ძველ იდეალებს. განსაკუთრებით ეს ავტორიტეტებთან დამოკიდებულებაში იჩენს თავსო. უფროსებს ისეთი პატივისცემით არ ვექცევით, როგორც ეკადრებათო.

ეკლესიიდან ძალიან ჭკუანასწავლი დავბრუნდი.

მეტისმეტად ფამილარული ხომ არ ვარ, მამილო? იქნებ მეტი კრძალვა და მორიდება მმართებს? გეთანხმები. ამიტომ თავიდან ვიწყებ.

ჩემო ძვირფასო მისტერ სმით!

გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ წარმატებით ჩავაბარე პირველი სემესტრის გამოცდები და დაგვეწყო ახალი სემესტრი. გამოვეთხოვე ქიმიას - დავასრულე თვისებრივი ანალიზის კურსი. ახლა ბიოლოგიის სწავლას ვიწყებ. ჭოჭმანით ვუახლოვდები ამ საგანს, რადგან ვიცი, ბაყაყებისა და ჭიების გაკვეთა მოგვიწევს.

გასულ კვირას ეკლესიაში დავესწარი მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავ ლექციას სამხრეთ საფრანგეთში შემორჩენილი რომაული ცივილიზაციის

შესახებ. ამ საკითხის უფრო ნათელი გაშუქება ჯერ არ მომისმენია.

ინგლისურ ლიტერატურაში უორდსუორთის "ტინტერნის საბატოს" ვსწავლობთ. რა საოცარი ნაწარმოებია და რა ნათლად

არის ასახული ავტორის პანთეისტური კონცეფცია! გასული საუკუნის დასაწყისის რომანტიკული მოძრაობა, რომელიც გამოიხატება შელის, ბაირონის, კიტსისა და უორდსუორთის თხზულებებში, უფრო მიტაცებს, ვიდრე მათი წინამორბედი კლასიკური პერიოდი. რაკი სიტყვა ლიტერატურაზე ჩამოვარდა, მინდა გკითხო - თუ წაგიკითხავს ტენისონის შესანიშნავი ნაწარმოები "ლოკსლი ჰოლი"?

ფიზკულტურის გაკვეთილებს ამ ბოლო დროს არ ვაცდენ. შემოიღეს პროქტორული[52] სისტემა! წესებს თუ არ დაემორჩილები, ათასგვარი უსიამოვნება შეგხვდება. ჩვენთან ლამაზი საცურაო აუზი ააგეს ცემენტისა და მარმარილოსაგან. ეს ერთი ჩვენი კურსდამთავრებულის საჩუქარია. ჩემმა თანამობინადრემ, მის მაკბრაიდმა, თავისი საბანაო კოსტიუმი მაჩუქა (შედგა და ვეღარ ხმარობს). ცურვის სწავლას ვიწყებ.

გუშინ საღამოს ჩინებული ვარდისფერი ნაყინიმოგვართვეს. საკვების შესაფერადებლად მხოლოდ ბოსტნეულის საღებავს ვიყენებთ. კოლეჯი ანილინის საღებავის ხმარების წინააღმდეგია - როგორც ესთეტიკური, ისე ჰიგიენური თვალსაზრისით.

ამ ბოლო დროს იდეალური ამინდები იყო. მზე აცხუნებდა. დროდადრო კი ღრუბელი სასურველი თოვლიანი ქარბუქით გვახალისებდა. ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის საუცხოო გასეირნებაა ლექციებზე წასვლა და უკან დაბრუნება. განსაკუთრებით, უკან დაბრუნება.

იმედი მაქვს, ჩემო ძვირფასო მისტერ სმით, როგორც ყოველთვის, ჯანმრთელად ბრძანდები.

კვლავ შენი უდიდესი პატივისმცემელი

ჯერუშა ებოტი.

---

[52] პროქტორი - ინსპექტორი.(ოქსფორდის ან კემბრიჯის უნივერსი - ტეტებში.)

24 აპრილი

ძვირფასო მამილო!

ისევ მოვიდა გაზაფხული! უნდა ნახო, რა ლამაზია ჩვენი ეზო! კარგი იქნებოდა, თვითონ ჩამოსულიყავი და შენი თვალით გეხილა. წინა პარასკევს მასტერ ჯერვიმ შემოიარა ჩვენთან, მაგრამ ცუდი დრო შეარჩია - სელის, ჯულიასა და მე მატარებელზე გვაგვიანდებოდა. აბა, მითხარი, თუ მიხვდები, სად მივდიოდით? სად და, შენ წარმოიდგინე, პრინსტონში, მეჯლისზე დასასწრებად და ბურთის თამაშის საყურებლად. შენთვის ნებართვა არ მითხოვია, რადგან წინათგრძნობა მეუბნებოდა, რომ შენი მდივანი უარს მტკეცდა. მაგრამ ეს ყველაფერი წესის მიხედვით გავაკეთეთ. კოლეჯიდან ნებართვა ავიღეთ. თან გვახლდა მისის მაკბრაიდი. შესანიშნავი დრო გავატარეთ. დეტალებს გამოვტოვებ - ძალიან ბევრია და, თანაც, ჩახლართული.

შაბათი

უთენია ავდექით! ღამის დარაჯმა შემოგვძახა და ექვსივენი გაგვაღვიძა. ყავა მოვადუღეთ (ამოდენა ნალექი, ალბათ, არასოდეს გინახავს!) და გავემართეთ "ეული ხის გორაკის" მწვერვალზე ასასვლელად. მზის ამოსვლა გვინდოდა გვენახა! თითქმის მივაღწიეთ მწვერვალს, ფერდობზე მივცოცავდით, რომ ამ დროს მზემ ისე მაგრად დაგვკრა, კინაღამ სული გაგვაფრთხობინა! იქნებ გგონია, კოლეჯში დაბრუნებულებმა საუზმე უგემურად გეახელით! პირიქით!

ღმერთო ჩემო, მამილო, დღეს რა ძახილის წინადადებები მაქვს მიზანში ამოღებული. მთელი გვერდი შეძახილებით ავავსე.

მინდოდა მომეწერა გაკვირტულ ხეებზე, სავარჯიშო მოედნის ახალ ბილიკზე, ხვალისათვის მოსამზადებელ ბიოლოგიის საზიზღარ გაკვეთილზე, ახალ მსუბუქ ბაიდარებზე, კატერინა პრენტისზე, რომელსაც ფილტვების ანთება აქვს, პრექსის ანგორის კატის კნუტზე, გზა რომ აებნა და ორი კვირა ფერგესენ ჰოლში იყო შეკედლებული, სანამ ერთმა მოსამსახურე გოგომ არ შეგვატყობინა და ჩემს სამ ახალ კაბაზე - თეთრზე, ვარდისფერსა და ლურჯწინწკლებიანზე (ამ კაბას შესაფერისი ქუდიც აქვს), მაგრამ ძალიან მეძინება. ყოველთვის ასე ვბოდიშობ ხოლმე, არა? ქალთა კოლეჯი მეტისმეტად საქმიანია და დღის ბოლოსთვის ძალიან ვიღლებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა დღეს ალიონზე ვიწყებთ.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

15 მაისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

მითხარი, კარგად აღზრდილ ადამიანად ჩაითვლება პიროვნება, რომელიც ადის ტრამვაის ვაგონში, მიაშტერდება ერთ წერტილს და ირგვლივ ვერავის ამჩნევს?

დღეს ძალიან ლამაზ ხავერდის კაბაში გამოწყობილი ძალიან ლამაზი ქალი ამოვიდა ვაგონში. მთელი თხუთმეტი წუთი უაზრო გამომეტყველებით იჯდა და განცხადებებს მისჩერებოდა. რა უზრდელობაა, არავის ყურადღება არ მიაქციო, თითქოს შენ იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი პიროვნება. თვითონვე წააგო. სანამ მან ეს სულელური განცხადებები შთანთქა, ამ დროს მე საინტერესო ადამიანებით სავსე მთელი ვაგონი შევისწავლე.

თანდართული ილუსტარცია პირველად ქვეყნდება. იგი კანაფზე გამობმულ ობობას წააგავს, მაგრამ ობობა სრულებითაც არ არის. ჩემი სურათია. ასე ვსწავლობ ცურვას ფიზკულტურის დარბაზის აუზში. მასწავლებელი გამოსდებს თოკს ჩემი ქამრის რგოლს და ჭერში დამაგრებული ბორბლის საშუალებით ასწევს ხოლმე საჭირო სიმაღლეზე. ასეთი სისტემა იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა საუკეთესოდ, თუ მასწავლებელს სრულად ენდობოდათ, მე კი სულ იმის მეშინია, თოკი არ მოადუნოს. ცალ დაფეთებულ თვალს ინსტრუქტორს არ ვაშორებ, მეორეთი კი ვცურავ. ასეთი დაფანტული ყურადღებით, ცხადია, შორს ვერ გაცურავ.

ამ ბოლო დროს ძალიან ცვალებადი ამინდებია. როცა წერილის წერა დავიწყე, წვიმდა, ახლა კი მზე ანათებს. მე და სელი ჩოგბურთის სათამაშოდ მივდივართ - ფიზკულტურის გაკვეთილისაგან თავის დაძვრენის მიზნით.

ამ წერილს კარგა ხნის წინ დავამთავრებდი, მაგრამ თავი ვერ მოვაბი. ნაწყენი ხომ არა ხარ, სისტემატურად რომ ვერ გწერ? შენთან ბარათების წერა ნამდვილად მიყვრს. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ოჯახი მქონდეს და საკუთარ თვალში ვმაღლდები. გინდა, ერთი რამე გითხრა? შენ ერთადერთი ადამიანი როდი ხარ, ვისაც წერილებს ვწერ. კიდევ ორნი არიან. ამ ზამთარს მშვენიერ გრძელ წერილებს ვღებულობდი მასტერ ჯერვისაგან (კონვერტზე მისამართი მანქანით იყო დაბეჭდილი, ჯულიას მისი ხელი რომ არ ეცნო). გაგიგია ასეთი აღმაშფოთებელი რამ? კვირაში ერთხელ კი ყვითელ ქაღალდზე ბატიფეხურით ნაწერი წერილები მოდის პრინსტონიდან. ჩემი პასუხები ამ წერილებზე ფრიად ოფიციალურია. ასე რომ, როგორც ხედავ, არც მაინცდამაინც განვსხვავდები სხვა გოგოებისაგან - წერილებს მეც ვღებულობ.

გითხარი, უფროსკლასელთა დრამატული კლუბის წევრად რომ ამირჩიეს? მეტისმეტად recherché[53] ორგანიზაციაა. ათასი გოგოდან მხოლოდ სამოცდათხუთმეტია არჩეული. როგორ გგონია, მტკიცე სოციალისტო, შეიძლება ამ ორგანიზაციას ვეკუთვნოდე?

აბა, თუ მიხვდები, სოციოლოგიაში რა საკითხი მაინტერესებს? ვწერ თემას: "უპატრონო ბავშვებზე ზრუნვა" Figu - rez vous.[54] პროფესორმა თემები აურია და ისე დაგვირიგა. ეს საკითხი მაინცდამაინც მე შემხვდა. C ’ est dr ò le ç a n ’ est pas?[55] გონ-

[53] რჩეული.(ფრანგ.)
[54] წარმოგიდგენიათ.(ფრანგ.)
[55] უცნაურია, არა? (ფრანგ.)

გის ხმა სადილზე გვიხმობს. გზად წერილს საფოსტო ყუთში ჩავაგდებ.

შენი მოსიყვარულე

ჯ.

4 ივნისი

ძვირფასო მამილო!

ძალიან დაძაბულები ვმეცადინეობთ - ათ დღეში სააქტო დღე[56] გველის და გამოცდები კარს მოგვადგა. უამრავი სამეცადინო, უამრავი საზრუნავი გვაქვს, გარეთ კი ისეთი წარმტაცი ბუნებაა, რომ სახლში ჯდომა გვიჭირს.

მაგრამ არა უშავს. არდადეგები ახლოვდება. ჯულია ამ ზაფხულს საზღვარგარეთ მიემგზავრება - უკვე მეოთხედ. მამილო, სიკეთე რომ ქვეყნად თანაბრად არ ნაწილდება, ამაში ეჭვი არ მეპარება. სელი, როგორც ყოველთვის, ადირონდაკში მიდის. როგორ ფიქრობ, მე რაღას ვაპირებ? სამი რამ შეგიძლია იფიქრო. ლოკ უილოუ? ვერ გამოიცანი. ადირონდაკი, სელისთან? ვერც ეს გამოიცანი (იქ წასვლა აღარ მინდა. წინა ზაფხულს რომ არ გამიშვი, გული გამიტყდა). ვერ მიხვდი? მაინცდამაინც მიხვედრილი ვერ ყოფილხარ. გეტყვი, მამილო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამპირდები, რომ წინააღმდეგი არ იქნები. შენს მდივანს ვაფრთხილებ, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

[56] ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში გამოსაშვები დღე.

ზაფხულის გატარებას ვაპირებ ზღვის პირას, მისის ჩარლზ პეტერსონთან. მისი ქალიშვილი შემოდგომაზე ჩვენს კოლეჯში აპირებს შემოსვლას და უნდა მოვამზადო. მისის პეტერსონი მაკბრაიდებმა გამაცნეს. ძალიან მომხიბლავი ქალია. მისი უმცროსი ქალიშვილი კი ინგლისურ ენასა და ლათინურში უნდა ვამეცადინო. ცოტა დრო ჩემთვისაც დამრჩება. თვეში ორმოცდაათ დოლარს გადამიხდიან. საინტერესოა, რა შთაბეჭდილებას ახდენს შენზე ასეთი დიდი თანხა? თვითონვე შემომთავაზეს. მე მომერიდებოდა, ოცდახუთზე მეტს ვერ მოვითხოვდი. მაგნოლიაში (ასე ჰქვია იმ ადგილს) პირველ სექტემბრამდე დავრჩები. დანარჩენ სამ კვირას, ალბათ, ლოკ უილოუში გავატარებ - ძალიან მინდა სემპლებისა და ჩემი მეგობარი ცხოველების ნახვა.

როგორ მოგწონს ჩემი გეგმები, მამილო? როგორც ხედავ, დამოუკიდებელი ვხდები. ფეხზე ხომ დამაყენე, ახლა, მე მგონი, თვითონაც მოვახერხებ სიარულს.

პრინსტონის სააქტო დღე და ჩვენი გამოცდები ერთმანეთს ემთხვევა. ეს ამბავი მეხივით დაგვეცა. მე და სელის როგორ გვინდოდა იმ დროს იქ ვყოფილიყავით. ახლა, რა თქმა უნდა, ვეღარსად წავალთ.

მშვიდობით, მამილო, ზაფხულის კარგად გატარებას გისურვებ. შემდეგი სამუშაო წლისათვის დასვენებული და მომზადებული დაბრუნდი (ამას შენ უნდა მწერდე). წარმოდგენაც არ მაქვს, რას აკეთებ ზაფხულში, ან რით ერთობი. მიჭირს, წარმოგიდგინო შენს წრეში, შენს გარემოში. გოლფს თამაშობ, ნადირობ, ცხენს დააჭენებ თუ მხოლოდ მზეს ეფიცხები და ოცნებობ?

როგორც უნდა იყოს, კარგ დროსტარებას გისურვებ და ჯუდი არ დაივიწყო.

ძვირფასო მამილო!

ჩემ სიცოცხლეში არაფერი ისე არ გამჭირვებია, როგორც ამ წერილის დაწერა, მაგრამ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, როგორ უნდა მოვიქცე და უკან არ დავიხევ. შენ ძალიან კეთილშობილი, კეთილი და ყურადღებიანი ხარ, ამ ზაფხულს ჩემი ევროპაში გაგზავნა რომ მოინდომე. ამ აზრმა პირველად მომხიბლა და თავბრუ დამახვია, მაგრამ მალე მოვეგე გონს. თვითონვე განსაჯე, განა ულოგიკობა არ იქნებოდა, კოლეჯის ხარჯებისათვის განკუთვნილი ფული არ მიმეღო შენგან და მერე იგივე თანხა გართობაზე დამეხარჯა?! მეტისმეტ ფუფუნებასაც ნუ მიმაჩვევ! მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო. რაც არასოდეს ჰქონია ადამიანს, ის არც ენატრება. სელისა და ჯულიას გვერდით ძალიან ძნელია ცხოვრება ჩემი სტოიკური ფილოსოფიით. არც ერთს და არც მეორეს დაბადებიდან არაფერი მოჰკლებიათ. ბედნიერებას ისე არიან შეგუებულნი, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას. მათი შეხედულებით, სამყარო ვალდებულია მისცეს მათ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ. იქნებ, მართლაც ასეა. ზოგის მიმართ სამყარო თავს თითქოს მოვალედ თვლის. რაც შემეხება მე, სამყარო ჩემგან არაფრით არის დავალებული და ეს თავიდანვე გარკვევით გამომიცხადა. უფლება არ მაქვს, რაიმე ვისესხო მისგან, რადგან დადგება დრო, როცა ვალს მომთხოვს.

მგონი, ძალიან ავფართხალდი მეტაფორების ზღვაში. მაგრამ, ვფიქრობ, მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა, მაინც მტკიცედ მწამს, რომ ჩემთვის ერთადერთი კეთილსინდისიერი გზაა - ამ ზაფხულს ბავშვები ვამეცადინო და საკუთარი თავის რჩენას მივეჩვიო.

მაგნოლია,
ოთხი დღის შემდეგ

წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა - თუ გამოიცნობ, რა მოხდა? მოსამსახურე გოგო შემოვიდა და მასტერ ჯერვის სავიზიტო ბარათი შემომიტანა. მასტერ ჯერვი სტუმრად მეწვია. ამ ზაფხულს ისიც საზღვარგარეთ მიემგზავრება. ჯულიასა და მის ოჯახთან ერთად კი არა, სულ მარტო. ვუთხარი, ევროპაში რომ მგზავნიდი ვიღაც ქალის თანხლებით. მასტერ ჯერვი უკვე გიცნობს, მამილო. იცის, რომ დედ-მამა დამეხოცა და ერთმა კეთილმა ჯენტლმენმა კოლეჯში მიმაბარა. უბრალოდ, გამბედაობა არ მეყო, ჯონ გრაიერის თავშესაფარი მეხსენებინა; მასტერ ჯერვის ჰგონია, რომ შენ ჩემი კანონიერი მეურვე ხარ, ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი. არ მითქვამს, რომ არ გიცნობ. მეტისმეტად უცნაურად მოეჩვენებოდა!

ასეა თუ ისე, მიმტკიცებდა, ევროპაში აუცილებლად უნდა გაემგზავროო. ეს შენი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი საფეხურია და უარის თქმა სისულელეაო. ისიც მითხრა, რომ იმ ხანებში თვითონაც პარიზში იქნება. მხლებელ ქალს გავეპარებით ხოლმე და რომელიმე თავშესაქცევ უცხოურ რესტორანში ვისადილებთო.

იცი, მამილო, ამან ჩემზე ისე იმოქმედა, კინაღამ გადამიბირა. დიქტატორობა რომ არ გამოეჩინა, ალბათ, საბოლოოდ მომტეხდა კიდეც. თანდათანობით ჩემი დაყოლიება შეიძლება, მაგრამ ძალის დატანებას ვერ ვიტან. უჭკუო, სულელი, უგუნური, დონკიხოტა, ჯიუტი ბავშვი მიწოდა. მაგრამ ეს კიდევ ნაწილია იმ დამამცირებელი ზედსართავი სახელებისა, რომლებითაც შემამკო. დანარჩენი აღარც კი მახსოვს. დამარიგა, როცა თვითონ არაფერი

გაგეგება, უფროსების რჩევას უნდა დაჰყვეო. კინაღამ ვიჩხუბეთ - კინაღამ კი არა, მგონი, ნამდვილად ვიჩხუბეთ.

ასე იყო თუ ისე, საჩქაროდ ჩავალაგე ბარგი და აქეთ გამოვეშურე. მერჩია, უკან დასაბრუნებელი ხიდები მანამდე გამეხვია ცეცხლში, ვიდრე შენთან გამოსაგზავნი წერილის წერას დავამთავრებდი. ამჟამად ყველა ხიდი ფერფლადაა ქცეული. უკვე კლიფ ტოპში ვარ (ასე ჰქვია მისის პეტერსონის კოტეჯს). ბარგი ჯერ არც ამომილაგებია და ფლორენსი (უმცროსი გოგო) უკვე ებრძვის არსებითი სახელების ბრუნებას. ჩანს, მედგარი ბრძოლა დასჭირდება! ძალიან განებივრებული ბავშვია. ჯერ უნდა ვასწავლო, როგორ იმეცადინოს. ერთადერთი, რისთვისაც ოდესმე ყურადღება მიუქცევია, ნაყინი და სიროფიანი წყალია.

სამეცადინო ოთახის მაგივრობას კლდეებში მოქცეული ერთი წყნარი ადგილი გვიწევს. მისის პეტერსონს სურს, ბავშვები ჰაერზე ამყოფოს და უნდა გამოვტყდე, ძალიან მიჭირს, გულისყური მეცადინეობაზე გადავიტანო იმ დროს, როდესაც ლურჯ ზღვასა და გემებს გავყურებ. განსაკუთრებით მაშინ, როცა გავიფიქრებ, რომ მეც შემეძლო ერთ-ერთი მათგანით უცხო ქვეყნებისკენ გავმგზავრებულიყავი. მაგრამ თავს უფლება არ უნდა მივცე, ლათინური გრამატიკის გარდა რამეზე ვიფიქრო.

თანდებულები a ან ab, absque, coram, cum, de, e ან ex, prae, pro, sine, tenus, in, subter, sub და super მოითხოვენ ablative-ს.[57]

ხედავ, მამილო, როგორ ვარ ჩაფლული მუშაობაში და როგორ ვებრძვი ცდუნებას? გთხოვ, ჩემზე ნუღარ იქნები გაჯავრებული. არ იფიქრო, შენს სიკეთეს ვერ ვაფასებდე. პირიქით, ყოველთვის ძალიან ვაფასებ. ერთადერთი საშუალება, რითაც შემიძლია სიკეთე გადაგიხადო, ისაა, რომ ვეცადო - უაღრესად სასარგებლო მოქალაქე გავხდე (ქალები არიან კი მოქალაქეები? არა

[57] ablative (ინგ.) - მოქმედებითი გვარი.

მგონია). ყოველ შემთხვევაში, გპირდები, სასარგებლო პიროვნება ვიყო. ისეთი უნდა გამოვიდე, რომ შეგეძლოს, თქვა: ეს სასარგებლო ადამიანი კაცობრიობას მე შევძინეო.

კარგად ჟღერს, არა, მამილო? ოღონდ არ მინდა, შეცდომაში შეგიყვანო. ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ არაფრით ვარ სხვებისაგან გამორჩეული. სასაცილოა მომავლის წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებული ხომ მაინც არ ვიქნები. შესაძლებელია, ჩემი ამბავი იმით დამთავრდეს, რომ მეწარმეს მივთხოვდე და მუშაობის სტიმული მივცე.

მარად შენი

ჯუდი.

19 აგვისტო

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ჩემი ოთახის ფანჯარა წარმტაც ლანდშაფტს, უფრო სწორად - "ოკეანეშაფტს" გადასცქერის; ირგვლივ მხოლოდ წყალი და კლდეებია.

ზაფხული იწურება. ყოველ დილას ვატარებ ლათინურთან, ინგლისურთან, ალგებრასა და ორ შტერ გოგოსთან ერთად. არ ვიცი, მარიონი როგორ მოხვდება კოლეჯში, ან თუ მოხვდა, როგორ ისწავლის. რაც შეეხება ფლორენსს, მთლად უტვინოა, მაგრამ პატარა მზეთუნახავია. ორივენი ისეთი ლამაზები არიან, შტერები იქნებიან თუ ბრძენები, დიდი მნიშვნელობა არ ექნება მათთვის. თუმცა, წარმომიდგენია, თავს როგორ მოაბეზრებენ ქმრებს, თუ ბედმა არ გაუღიმათ და თავიანთნაირი შტერი ქმრები არ შეხვდათ. თუმცა ბედი, ალბათ, გაუღიმებთ, რადგან ქვეყანა სავსეა სულელი მამაკაცებით. ამ ზაფხულს ბევრ ასეთს შევხვდი.

შუადღისას კლდე-ღრეებში ვსეირნობთ ან, თუ ზღვა არ ღელავს, ვცურავთ. ზღვის წყალში უფრო ადვილად ვცურავ. ხედავ, ჩემს ცოდნას უკვე ვიყენებ!

წერილი მოვიდა პარიზიდან, მასტერ ჯერვი პენდლტონისგან. მოკლე წერილია. აქამდე ვერ უპატიებია ჩემთვის, მისი რჩევა ყურად რომ არ ვიღე. მიუხედავად ამისა, როგორც იწერება, თუ დროზე ჩამოვა, ლოკ უილოუში მინახულებს კოლეჯის გახსნამდე. და თუ მე ნაზი, დამჯერი და გულისხმიერი ვიქნები (ასეთი დასკვნა გამოვიტანე), კვლავ მის კეთილგანწყობას დავიმსახურებ.

სელისგანაც მივიღე წერილი. ძალიან უნდა, სექტემბერში ორი კვირით აგარაკზე ვესტუმრო. ნებართვა უნდა გთხოვო თუ

არა, არ ვიცი. თუ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, როცა შემეძლება ისე მოვიქცე, როგორც მომესურვება? ჩემი აზრით, უკვე დადგა ეს დრო. მეოთხეკურსელი ვარ. მთელი ზაფხული ვიმუშავე, ჯანმრთელობის მხრივაც არა მიშავს, მოვიკეთე, ახლა კი მინდა, ადირონდაკი მოვინახულო. სელი მომენატრა. მისი ძმის ნახვაც მინდა - ნავის ტარება უნდა მასწავლოს და (ძირითად თემას მივუახლოვდი, მდაბალი კია, მაგრამ მაინც გეტყვი) მინდა, მასტერ ჯერვი ჩამოვიდეს ლოკ უილოუში და მე იქ არ დავხვდე.

ვუჩვენებ, როგორ უნდა მბრძანებლობა. მარტო შენ გაქვს უფლება, მამილო, მიბრძანო, და ისიც - ყოველთვის არა.

ტყეში მივდივარ.

ჯუდი.

მაკბრაიდების ბანაკი,
6 სექტემბერი

ძვირფასო მამილო!

შენი წერილი დროზე არ მოვიდა (სიხარულით გატყობინებ). თუ გინდა, შენს მითითებებს დავემორჩილო, შენმა მდივანმა ორი კვირით ადრე უნდა შემატყობინოს. როგორც ხედავ, მე უკვე მაკბრაიდებთან ვარ. ხუთი დღეა, რაც ჩამოვედი.

შესანიშნავი ტყეებია. ბანკიც მშვენიერია, ამინდებიც, ასევე - მაკბრაიდებიც და მთელი ქვეყანა. ძალიან ბედნიერი ვარ!

ჯიმი მეძახის. ნავით უნდა გავისეირნოთ. მშვიდობით. ვწუხვარ, რომ არ დაგემორჩილე, მაგრამ ასე დაჟინებით რატომ ეწინააღმდეგები ჩემს გართობას? მთელი ზაფხული ვიმუშავე და ვფიქრობ, ორი კვირა დასვენება მეკუთვნის. "ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო", ისეა შენი საქმე.

და მაინც ისევ ისე მიყვარხარ, მამილო, მიუხედავად ყველა შენი ნაკლისა.

ჯუდი.

3 ოქტომბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

კოლეჯში დავბრუნდი. ბოლოკურსელი ვარ და ამავე დროს, ჟურნალ "მანთლის" რედაქტორი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დახვეწილი პიროვნება ოთხი წლის წინ ჯონ გრაიერის სახლის აღსაზრდელი იყო. ხედავ, ამერიკაში რა სწრაფი ტემპით მივიწევთ წინ!

ერთი ახალი ამბავი უნდა გითხრა! მასტერ ჯერვისაგან ბარათია მოსული. ლოკ უილოუდან გადმომიგზავნეს. ძალიან წუხს, რომ შემოდგომაზე ლოკ უილოუში ჩამოსვლას ვერ ახერხებს. ამხანაგებთან ერთად იახტით სამოგზაუროდ მიდის. მწერს, იმედი მაქვს, ზაფხული კარგად გაატარე და კმაყოფილი ხარ სოფელში დასვენებითო, არადა, შესანიშნავად იცის, რომ მაკბრაიდებთან ვიყავი, ჯულიამ უთხრა. მამაკაცებმა ინტრიგა ქალებს უნდა დაუთმოთ. თქვენ საამისოდ საკმარისი ალღო არ გაქვთ.

ჯულიას მთელი სკივრი ულამაზესი ახალი კაბებით აქვს სავსე - ერთი ცისარტყელასავით ათასფრად მოელვარე კრეპის საღამოს კაბაა. ისეთი მშვენიერია, სამოთხეში ანგელოზის სამოსად გამოდგებოდა. მეგონა, ჩემი კაბები უზომოდ (ასეთი გამოთქმა არსებობს?) ლამაზი იყო. ერთი იაფფასიანი მკერავის მეშვეობით მისის პეტერსონის კაბების მოდელი გადმოვიღე და თუმცა კაბები ორიგინალის ტყუპისცალი არ გამოვიდა, მაინც უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, სანამ ჯულია თავისებს ამოალაგებდა. ახლა პარიზის ნახვის სურვილითღა ვსულდგმულობ.

მამილო, არ გიხარია, გოგო რომ არა ხარ? ალბათ, ფიქრობ, რა სულელები არიან ეს ქალები, ჩვრებზე რომ ფეთდებიანო.

ასეც არის. ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ სულ შენი ბრალია. გაგონილი გექნება, ერთი მეცნიერი Herr Professor.[58]

ქალების ლამაზად ჩაცმა-დახურვას საჭიროდ სულაც არ თვლიდა და გონივრული უტილიტარული სამოსის ტარებას ქადაგებდა. მისი ცოლი მორჩილი არსება აღმოჩნდა და "კაბების რეფორმა" აითვისა. თუ იცი, რა ჩაიდინა მისმა ქმარმა? ადგა და გუნდის მომღერალ ქალთან ერთად გაიქცა.

მარად შენი

ჯუდი.

P.S. ჩვენთან ერთი მოსამსახურე გოგო ლურჯ კუბოკრულ ჩითის წინსაფრებს ატარებს. ძალიან მინდა, ყავისფერი ვუყიდო, ოღონდ ლურჯი აღარ გაიკეთოს. ჩემი ნება რომ იყოს, ლურჯ წინსაფრებს ზღვაში ჩავძირავდი. რამდენჯერაც დავინახავ, ჩემში ძველი მოგონებები იღვიძებს და მაკანკალებს.

[58] ბატონი პროფესორი.(გერმ.)

17 ნოემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

რა ღმერთი გაუწყრა ჩემს ლიტერატურულ კარიერას! არც კი ვიცი, გითხრა თუ არა, მაგრამ მეტი რა გზა მაქვს - შენი თანაგრძნობა მჭირდება, უსიტყვო თანაგრძნობა. ოღონდ გთხოვ, შემდეგ წერილში არ გამახსენო, წყლული არ გამიახლო.

მთელი ზამთარი ღამღამობით ვწერდი წიგნს. ზაფხულშიც ვაგრძელებდი, როცა ჩემს ორ სულელ გოგოსთან ლათინურის ჩიჩინს მოვრჩებოდი ხოლმე. ზუსტად კოლეჯში სწავლის დაწყების წინ დავამთავრე და დასაბეჭდად გავუგზავნე ერთ-ერთ გამომცემელს. ორი თვე გააჩერა. დარწმუნებული ვიყავი, მიიღო, მაგრამ გუშინ დილით მომივიდა პაკეტი (ოცდაათი ცენტის ღირებულების) და შიგ ჩემი წიგნი იდო გამომცემლის ბარათთან ერთად. მამაშვილური ბარათი იყო, ძალიან გულახდილი! მწერდა, რადგან ჯერ სტუდენტი ხარ (რაც ჩემი მისამართით გაიგო), ჯობია, მთელი შენი ენერგია ლექციებს მოახმარო და წიგნის წერას კოლეჯის დამთავრების შემდეგ შეუდგეო. მკითხველის მოსაზრებაც ჰქონდა დართული. აი, რას წერს იგი: "ამბავი სრულიად დაუჯერებელია, ხასიათები - გაზვიადებული, დიალოგები - არაბუნებრივი. იუმორი ჭარბადაა, მაგრამ ყოველთვის არ გამოირჩევა დიდი გემოვნებით. გადაეცით, განაგრძოს წერა. დადგება დრო და ნამდვილ წიგნს დაწერს".

სახარბიელო არაფერია, არა, მამილო? მე კი ვფიქრობდი, ამერიკულ ლიტერატურას დიდი განძი შევძინე-მეთქი. მართლა ასე მეგონა. გამიზნული მქონდა, კოლეჯის დამთავრებამდე დამეწერა დიდი რომანი და შენ გამეკვირვებინე. საშობაო არდადეგებზე ჯულიასთან სტუმრად რომ ვიყავი, ამ რომანისათვის მასა-

ლა მაშინ მოვაგროვე. ვფიქრობ, გამომცემელი მართალია, ორი კვირა, შესაძლოა, მცირე დროა დიდი ქალაქის ადათ-ჩვევების შესასწავლად.

გუშინ საღამოს, სასეირნოდ რომ მივდიოდი, ხელნაწერი თან წავიღე და გაზის ქარხანას რომ ჩავუარე, ინჟინერს ვთხოვე, ღუმელთან მივეშვი. ინჟინერმა თავაზიანად გამიღო ღუმლის კარი და მე საკუთარი ხელით ცეცხლში შევაგდე ჩემი რომანი. ასე მეგონა, ჩემს ერთადერთ შვილს ვწვავდი!

წინა ღამეს უაღრესად დამწუხრებული დავწექი დასაძინებლად. ვფიქრობდი, ვერასოდეს ვერაფერს მივაღწევ-მეთქი და შენი ფულიც წყალში გადაყრილად მიმაჩნდა. მაგრამ, თურმე არა! ამ დილით შესანიშნავი ფაბულა მოვიფიქრე. მთელი დღე ჩემი გმირების ხასიათებს ვძერწავდი და ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს. არავის შეუძლია მისაყვედუროს, პესიმისტი ხარო. მე რომ ქმარი და თორმეტი შვილი მყოლოდა და ყველანი ერთ დღეს მიწისძვრისაგან დაღუპულიყვნენ, მეორე დღეს მოღიმარი სახით გამოვიდოდი გარეთ და ახალი ოჯახის შექმნაზე დავიწყებდი ფიქრს.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

14 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

წუხელ სასაცილოზე სასაცილო სიზმარი ვნახე. ვითომ წიგნების მაღაზიაში შევედი და გამყიდველმა მომაწოდა წიგნი "ჯუდი ებოტის ცხოვრება და წერილები". აშკარად ვხედავდი წითელ გარეკანს, რომელზეც ჯონ გრაიერის თავშესაფარი ეხატა, ხოლო თავფურცელზე - ჩემი პორტრეტი წარწერით: "თქვენი მონა-მორჩილი ჯუდი ებოტი". ის იყო, ბოლო გვერდი უნდა გადამეფურცლა და ჩემი საფლავის ქვის წარწერა წამეკითხა, რომ გამომეღვიძა. ძალიან მეწყინა. მინდოდა, გამეგო, ვის გავყვებოდი ცოლად ან როდის მოვკვდებოდი.

ხომ მართლა საინტერესო იქნებოდა, წაგეკითხა ყოვლისმცოდნე ავტორის დაწერილი წიგნი შენს ცხოვრებაზე? მხოლოდ ერთი პირობა უნდა შეგესრულებინა: წაკითხული მთელი სიცოცხლე გხსომებოდა. წინასწარ გცოდნოდა ყველა შენი წამოწყების ბოლო და წინასწარ განგეჭვრიტა სიკვდილდის დღე და საათი. როგორ გგონია, ბევრს ეყოფოდა ვაჟკაცობა ასეთი წიგნის წასაკითხად? ან რამდენი გაუძლებდა ცდუნებას, არ წაეკითხა? დარწმუნებული ვარ, ყველა წაიკითხავდა, თუნდაც ამ ფასად იმედისა და მოულოდნელობების გარეშე ეცხოვრა.

ცხოვრება, ძირითადად, ერთფეროვანია. რა ხშირად გვიხდება ჭამა-სმა და ძილი! აბა, წარმოიდგინე, ჭამის შუალედებში რაიმე მოულოდნელობას რომ არ აწყდებოდეს ადამიანი, რა აუტანელი იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე. ოჰ, მაპატიე, მელანი დამეღვარა. მაგრამ უკვე მესამე გვერდზე ვარ და ახალ ფურცელზე წერას ვერ დავიწყებ.

წელს კიდევ ვსწავლობ ბიოლოგიას - ძალიან საინტერესო საგანია. ახლა საჭმლის მომნელებელ სისტემაზე ვართ. უნდა ნახო, რა საინტერესოა კატის თორმეტგოჯა ნაწლავის განივკვეთი მიკროსკოპის ქვეშ.

ფილოსოფიის სწავლის დროც დაგვიდგა. საინტერესო საგანია, მაგრამ თვალსა და ხელს შუა გისხლტება. ბიოლოგია მირჩევნია. განხილვის საგანი შეგიძლია დაფაზე მიაკრა და დაკვირვებით შეისწავლო. კიდევ დაეღვენთა! აი, კიდევ! რა ცხარე ცრემლებსა ღვრის ეს კალამი. აპატიე, მამილო, კალამს ეს ცრემლები!

ნების თავისუფლებისა გჯერა? პირადად მე მტკიცედ მწამს. სრულებით არ ვეთანხმები ფილოსოფოსებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება აბსოლუტურად გარდაუვალია და ცალკე არსებულ მიზეზთა მექანიკური შედეგია. ასეთი ამორალური დოქტრინა ჯერ არასოდეს მსმენია. მაგრამ რა გინდა, ვერავის უსაყვედურებ! კაცს თუ ბედის გარდაუვალობა სწამს, ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი იჯდება და იტყვის: "დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა", და ასე უმოქმედოდ იქნება მანამდე, სანამ გადაბრუნდება და სული ამოსძვრება.

რაც შემეხება მე, აბსოლუტურად მჯერა ჩემი თავისუფალი ნებისა და ჩემი ძალებისა. რწმენა ის ძალაა, რომელიც მთებს შეძრავს. აი, ნახავ, რა დიდი მწერალი გამოვალ! ჩემი ახალი წიგნის ოთხი თავი დავამთავრე, ხუთზე მეტი უკვე დაგეგმილი მაქვს.

ძალიან არეულ-დარეული წერილია. თავი ხომ არ აგტკივდა, მამილო? ვფიქრობ, უმჯობესია, აქ გავჩერდეთ და შოკოლადის კანფეტის კეთებას შევუდგეთ. ძალიან მწყინს, რომ ერთ ნამცეცსაც ვერ გამოგიგზავნი, არაჩვეულებრივად გემრიელი გამოდის. სუფთა ნაღებისა და სამი გუნდა კარაქისაგან ვაკეთებთ.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

P.S. რომ იცოდე, ფიზკულტურის გაკვეთილზე რა ფანტასტიკურად ვცეკვავთ. თანდართულ სურათზე შეგიძლია დაინახო, ჩვენი ცეკვა როგორ ჰგავს ნამდვილ ბალეტს. ბოლოში, გრაციოზულ პირუეტს რომ ასრულებს, მე ვარ. ჰო, მგონი, მე ვარ.

26 დეკემბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ინტუიცია სულ არ გაქვს? ნუთუ არ იცი, რომ გოგოს ჩვიდმეტი საშობაო საჩუქარი არ უნდა გაუგზავნო? სოციალისტი ვარ. გთხოვ, დაიმახსოვრო.

გინდა, პლუტოკრატად მაქციო?

ერთი წუთით წარმოიდგინე, რა დღეში ჩავვარდები, ოდესმე რომ ვიჩხუბოთ. ფურგონი უნდა დავიქირავო შენი საჩუქრების დასაბრუნებლად.

გული მწყდება, ასეთი მიჩხლართულ-მოჩხლართული კაშნე-რომ გამოგიგზავნე. საკუთარი ხელით მოვქსოვე (ეჭვი არ მეპა-რება, ამას ადვილად მიხვდებოდი). ცივ ამინდში გაიკეთე. პალ-ტოს საყელო კარგად შეიკარი.

გმადლობთ, მამილო, ათიათასჯერ გმადლობთ. მე მგონი, შე-ნისთანა კაცი მეორე არ დაბადებულა, არც შენისთანა თავქარი-ანი!

ჯუდი.

ოთხფოთლიან სამყურას გიგზავნი. მაკბრაიდების ბანაკიდან მაქვს წამოღებული. საახალწლოდ ბედნიერებას მოგიტანს.

9 იანვარი

მამილო, გინდა, ისეთი რამ მოიმოქმედო, რითაც სამარადისოდ ცხონდები? აქ ერთი ოჯახია, უკიდურესად გაჭირვებული - დედა, მამა და ოთხი შვილი. ამ ოთხის გარდა კიდევ ჰყავთ შვილები. ორი უფროსი ვაჟი ბედის საძიებლადაა წასული და მათგან არაფერი ისმის. მამა შუშის ქარხანაში მუშაობდა და ჭლექით დაავადებულა - ძალიან მავნე სამუშაოა. ახლა ის უბედური საავადმყოფოში წევს. რაც კი დანაზოგი ჰქონდათ, დაეხარჯათ. ოჯახის რჩენა უფროს ქალიშვილს უწევს, რომელიც ოცდაოთხი წლისაა. დოლარ-ნახევრად კერავს კაბებს (ისიც - თუ იშოვა სამუშაო). ღამღამობით კი ქარგავს. დედა ერთი ჯანგატეხილი, უმწეო და ღვთისმოშიში ქალია. გულხელდაკრეფილი ზის ეს მოთმინების განსახიერება იმ დროს, როდესაც ქალიშვილი თავს იკლავს მძიმე შრომით, ზრუნვითა და დარდით. არ იცის, ზამთარს როგორ გაატანენ. ეს არც მე ვიცი. ასი დოლარი რომ ჰქონდეთ, იყიდდნენ ნახშირს და ბავშვებისათვის სამ წყვილ ფეხსაცმელს, სკოლაში სიარული რომ შეძლონ. ცოტაოდენ სურსათსაც მოიმარაგებდნენ, თორემ რამდენიმე დღე რომ ქალიშვილმა სამუშაო ვერ იშოვოს, დარდით მოკვდება.

მე შენზე მდიდარ კაცს არავის ვიცნობ. არ შეგიძლია, მათ ასი დოლარი უწილადო? ამ ქალიშვილს ჩემზე მეტად სჭირდება დახმარება. ეს გოგო რომ არა, სხვისთვის არ გთხოვდი. დედამისი არ მებრალება, ისეთი ლოქო ვინმეა.

ვცოფდები, როცა ადამიანები ზეცად აღაპყრობენ თვალებს და ამბობენ, ალბათ ასე ჯობიაო, მაშინ, როცა შესანიშნავად იციან, რომ ასე არ არის. ამას შეგუებას, მორჩილებას ან სხვა რამეს ვუწოდებთ ხოლმე, სინამდვილეში კი ადამიანის მოდუნებაა და სხვა არაფერი. მე მებრძოლი რელიგიის მომხრე ვარ.

ძალიან ძნელ გაკვეთილებს გვაძლევენ ფილოსოფიაში. ხვალისათვის შოპენჰაუერი მთლიანად გვაქვს მოსამზადებელი. ჩვენი ფილოსოფიის პროფესორი არ ფიქრობს, სხვა საგნებსაც თუ ვსწავლობთ. ეს პროფესორი ერთი სასაცილო, გამოჩერჩეტებული მოხუცია. ზეცაში დაფრინავს და თუ შემთხვევით მიწას დაადგა ფეხი, გაკვირვებით ააფახულებს თვალებს. ცდილობს, თავისი ლექციები სახალისო გახადოს და ოხუნჯობს ხოლმე, მაგრამ გარწმუნებ, თვითონ ჰგონია ენამახვილობა, თორემ სულაც არ არის სასაცილო. ჩვენ ნაძალადევად ვიღიმებით. ლექციებისაგან თავისუფალ დროს იმაზე ფიქრს ანდომებს, მატერია ნამდვილად არსებობს თუ მეჩვენება, რომ არსებობსო.

დარწმუნებული ვარ, მატერიის არსებობაში ეჭვი ჩემს მკერავ ქალიშვილსაც კი არ ეპარება.

აბა, თუ მიხვდები, სად არის ჩემი ახალი რომანი? სად და ნაგვის ყუთში. მივხვდი, რომ არაფრად ვარგოდა. როდესაც ავტორი ამას თვითონვე აღიარებს, კრიტიკული საზოგადოება რაღა აზრის იქნება?

მოგვიანებით

ტკივილების სამეფოდან მოგმართავ, მამილო. ორი დღეა, გასივებული გლანდებით ვწევარ. ცხელ რძეს ძლივს ვყლაპავ, მეტს ვერაფერს. რას ფიქრობდნენ თქვენი მშობლები, რატომ ბავშვობაში არ მოგაშორესო, დაინტერესდა ექიმი. წარმოდგენაც არ მაქვს, რატომ, მაგრამ არა მგონია, ჩემს მშობლებს ჩემზე ფიქრით როდისმე შეეწუხებინათ თავი.

შენი

ჯ. ე.

შემდეგი დილა

სანამ კონვერტს დავაწებებდი, ერთხელ კიდევ გადავიკითხე წერილი. არ ვიცი, რატომ გამიხვევია ცხოვრება ასეთ ბინდში. მინდა დაგარწმუნო, რომ ახალგაზრდა ვარ, ბედნიერი და სიცოცხლით სავსე. მწამს, შენც ასეთი ხარ. ახალგაზრდობას არაფერი აქვს საერთო დაბადების თარიღთან, სულიერი სიმხნევეა მთავარი. ასე რომ, თმა თუ შეგიჭაღარავდა, მამილო, შეგიძლია, მაინც ბიჭად ჩათვალო თავი.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

12 იანვარი

ძვირფასო მისტერ ფილანთროპო!

ჩემი ოჯახისათვის ჩეკი მოვიდა. უაღრესად მადლობელი ვარ! ფიზკულტურა გავაცდინე და საუზმის შემდეგ პირდაპირ მათთან წავედი. უნდა გენახა იმ ქალიშვილის სახე. ისეთი გაოცებული იყო, ისეთი ბედნიერი, თითქოს გულიდან უშველებელი ლოდი მოსწყდაო, უცბად გაახალგაზრდავდა. არ დაგავიწყდეს, რომ ჯერ მხოლოდ ოცდაოთხი წლისაა. განა ცოდო არ არის?

ახლა ის დარწმუნებულია, რომ ყველა სასიამოვნო ამბავი ერთად იყრის თავს. ორი თვის ნაღდი სამუშაო აქვს. ვიღაც აპირებს მასზე ჯვრის დაწერას და მზითევისთვის სახსრებიც გამოუჩნდა.

- მადლობა უფალს! - წამოიყვირა დედამისმა, როდესაც მიხვდა, რომ ის პატარა ქაღალდის ნაგლეჯი ასი დოლარი იყო.

- ეს სრულებითაც არ არის უფლის გამოგზავნილი, გრძელფეხება მამილომ გიბოძათ (მისტერ სმითი გიწოდე), - ვუთხარი მე.

- განა უფალმა არ შთააგონა, ასე მოქცეულიყო? - მიპასუხა მან.

- უფალმა კი არა, მე შთავაგონე.

მაგრამ მაინც, მამილო, იმედი მაქვს, ღმერთი შეგეწევა. ღირსი ხარ, ათი ათასი წლით ადრე გამოხვიდე სალხინებლიდან.

15 თებერვალი

იყოს ნება თქვენი, თქვენო უდიდებულესობავ!

ამ დილით გეახელიღვეზელი ინდაურისა და ხორცი ბატისა. შემდეგ ვიგემე ფინჯანი ჩაი (ჩინური სასმელი), რაიც აქამომდე არ მიმირთმევია.

ნუ ნერვიულობ, მამილო, დამთხვეული არ გეგონო. სამუელ პეპისის გავლენის ქვეშა ვარ მოქცეული. ამ ავტორს ორიგინალში ვკითხულობთ ინგლისის ისტორიასთან დაკავშირებით. სელი, ჯულია და მე ახლა მე-17 საუკუნის ენით ვსაუბრობთ. უსმინე პეპისს:

"მე გავემართე ჩარინგ კროსისაკენ: მინდოდა მეხილა, როგორ ჩამოახრჩობდნენ მაიორ ჰარისონს, როგორ ათრევდნენ ურმით, როგორ მოჰკვეთდნენ ხელ-ფეხსა და თავს. ის ისევე გამოიყურებოდა, როგორც მის ყოფაში ჩავარდნილი ყოველი კაცი." და კიდევ: "ვისადილე მილედისთან, რომელიც ძმის სიკვდილის გამო ლამაზ ძაძებში იყო გამოხვეული. მისი ძმა გუშინ პარტახტიანი ტიფით მიიცვალა".

ჩანს, გართობაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია, არა, მამილო? პეპისის ერთმა მეგობარმა ძალიან ეშმაკური ხერხი შთააგონა მეფეს - ვალები საწყალი ხალხისათვის უვარგისი სანოვაგის მიყიდვით გადაეხადა. რეფორმატორო, შენ რას იტყვი ამაზე? არა მგონია, მართლა ისეთი ცუდები ვიყოთ, როგორც გაზეთები ამტკიცებენ.

ქალი არ იქნება ისე გატაცებული ჩაცმა-დახურვით, როგორც სამუელია. მოკაზმვას უფრო მეტ დროს ანდომებდა, ვიდრე მისი მეუღლე. როგორც ჩანს, ეს ოქროს ხანა იყო ქმრებისათვის.

განა გულისამაჩუყებელი შესავალი არ არის? იცი, სამუელი მართლა პატიოსანი იყო. "დღეს სახლში მომიტანეს ოქროსღი-

ლებიანი ქამლოთის[59] მოსასხამი. ძალიან ძვირი დამიჯდა. უფალს ვევედრები, შემაძლებინოს გადახდა".

მაპატიე, პეპისით რომ გამოგიჭედე ყურები. მის შემოქმედებაზე მოხსენებას ვამზადებ.

წარმოგიდგენია, მამილო, თვითმმართველობის ასოციაციამ გააუქმა კანონი, რომელიც ათი საათის შემდეგ ფეხზე ყოფნას გვიკრძალავდა. ახლა ჩვენ შეგვიძლია, თუკი მოვინდომებთ, მთელი ღამე გვენთოს სინათლე, ოღონდ იმ პირობით, თუ სხვებს არ შევაწუხებთ. რა თქმა უნდა, დიდი სტუმრიანობის ნება არ გვაქვს. ამ კანონის გაუქმებამ ადამიანის ბუნება კარგად წარმოაჩინა. ახლა, როცა ნება გვაქვს არ დავიძინოთ მანამდე, ვიდრე არ მოგვესურვება, ცხრა საათზე უკვე თავს ვაკანტურებთ, ხოლო ათის ნახევარზე ღონემიხდილებს კალმისტარი ხელიდან გვისხლტება.

ახლა ათის ნახევარია. ღამე მშვიდობისა.

[59] შალის ქსოვილი.

ამ წუთას დავბრუნდი ეკლესიიდან - ჯორჯიიდან მქადაგებელი გვეწვია. სიფრთხილე გმართებთო, ამბობდა, ინტელექტი ემოციის ხარჯზე არ განივითაროთო. ვფიქრობ, ეს უსუსური მშრალი ქადაგება იყო (ისევ პეპისია). ამერიკის რომელი მხრიდანაც უნდა იყვნენ, თუნდაც კანადიდან, რომელ სექტასაც უნდა ეკუთვნოდნენ - ერთსა და იმავეს ქადაგებენ. ძალიან მაინტერესებს, რატომ ვაჟების კოლეჯში არ მიდიან და სტუდენტებს არ არწმუნებენ, თავიანთი მამაკაცური ბუნება გადამეტებული გონებრივი მუშაობით არ ჩაკლან.

მშვენიერი ამინდია. სუსხიანი და ნათელი დღეა. როგორც კი ვისადილებთ, სელი, ჯულია, მარტი კინი, ლეონორა პრეტი (კინი და პრეტიც ჩემი მეგობრები არიან. შენ არ იცნობ) და მე მოკლე ქვედატანებში გამოწყობილნი გავეშურებით ფერმა "ბროლის წყაროსაკენ". ჩვენ იქ შემწვარი წიწილები და ვაფლი გველოდება ვახშმად. შემდეგ მისტერ "ბროლის წყარო" ფორნით წამოგვიყვანს სახლში. წესით, კოლეჯში შვიდზე უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენ ამ საღამოს წესს გადავუხვევთ და რვა საათამდე არ დავბრუნდებით.

ნახვამდის, კეთილო სერ.

მაქვს პატივი, მოვაწერო ხელი

თქვენი უაღრესად გულწრფელი, პატივისმცემელი, ერთგული და მონა-მორჩილი

ჯ. ებოტი.

5 მარტი

ძვირფასო მისტერ მეურვეო!

ხვალ ამ თვის პირველი ოთხშაბათია - ჯონ გრაიერის თავშესაფრისათვის მძიმე დღე. ხუთ საათზე თავზე ხელს რომ გადაუსვამთ ბავშვებს და იქაურობას მოშორდებით, რა თავისუფლად ამოისუნთქავენ! მამილო, შენ ჩემთვის როდისმე თუ გადაგისვამს თავზე ხელი? არა მგონია. მეხსიერებაში მხოლოდ მსუქანი მეურვეები ჩამრჩა.

მომიკითხე ჯონ გრაიერის თავშესაფარი. გთხოვ, ჩემი გულწრფელი სიყვარული გადასცე. ახლა, ოთხი წლის შემდეგ, როცა უკან ვიყურები, მის მიმართ ნაზი გრძნობები მაქვს. პირველად რომ კოლეჯში მოვედი, თავს დაჩაგრულად ვგრძნობდი, იმიტომ, რომ დანარჩენი გოგოებივით ნორმალური ბავშვობა არა მქონია, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ. ამას უჩვეულო თავგადასავლად ვთვლი. ჩემმა ბედმა უპირატესობა მომანიჭა. ცხოვრებისაგან გარიყული უკეთესად დავაკვირდი სამყაროს. მოზრდილმა რომ შევდგი ფეხი ცხოვრებაში, ამან შესაძლებლობა მომცა სამყარო პერსპექტივაში დამენახა, რასაც სრულიად მოკლებულნი არიან მისი შუაგულიდან ამოზრდილნი.

მე ბევრ გოგოს ვიცნობ (ჯულიას, მაგალითად), რომლებიც ვერც კი გრძნობენ, რაოდენ ბედნიერები არიან. ისინი ისე შეეჩვივნენ ამ გრძნობას, რომ სიხარულის შეგრძნების უნარი დაკარგეს. ხოლო მე ყოველ წუთას ვგრძნობ ბედნიერებას. ასეთი გრძნობა მექნება მუდამ, მაშინაც კი, როცა არასასიამოვნო ამბებს წავაწყდები. უსიამოვნებებს მე საინტერესო გამოცდილებად ვთვლი (კბილის ტკივილსაც კი) და მოხარული ვიქნები, მათი

შეგრძნების საშუალება თუ მომეცა. "რანაირი ბედიც უნდა მეწიოს, ყველაფრისათვის მზად ვარ".

ოღონდ, მამილო, ეს ჩემი ჯონ გრაიერის თავშესაფრის სიყვარული პირდაპირ არ გაიგო. ხუთი შვილი რომ მყავდეს, რუსოსავით, არც ერთ მათგანს არ დავტოვებდი უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის კიბის საფეხურებზე იმ მიზნით, რომ სადად აღზრდილიყვნენ.

ჩემი გულწრფელი, კეთილი სურვილები გადაეცი მისის ლიპეტს (ზუსტად კეთილი სურვილები. სიყვარული მეტისმეტი იქნებოდა) და არ დაგავიწყდეს, უთხრა, რა მშვენიერი ხასიათი ჩამომიყალიბდა.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

ლოკ უილოუ,
4 აპრილი

ძვირფასო მამილო!

კონვერტზე მარკა შეამჩნიე? სააღდგომო არდადეგებზე მე და სელი ლოკ უილოუს ვამშვენებთ. გადავწყვიტეთ, ათი დღე წყნარ ადგილას დავისვენოთ. ნერვები ისე გვაქვს მოშლილი, რომ ფერგესენში სადილობასაც ვეღარ ვიტანთ. როცა დაღლილი ხარ, სადილობა იმ ოთახში, სადაც ოთხასი გოგოა თავმოყრილი, ნამდვილი წამებაა. ისეთი ხმაურია, მაგიდასთან შენს გვერდით მჯდომის ლაპარაკსაც ვერ გაიგებ, თუ რუპორივით არ მოიმარჯვე ხელები და არ ჩასძახე. მართლა ასეა.

გორაკებზე დავეხეტებით, ვკითხულობთ, ვწერთ და ძალიან კარგად ვისვენებთ. ამ დილით "სკაი ჰილზე" ავედით. სადაც ერთხელ მე და ჯერვიმ ვახშამი მოვამზადეთ. არ მჯერა, რომ მას შემდეგ უკვე ორი წელი გავიდა. ის ადგილიც მოვძებნე - კლდეზე მური ჯერ კიდევ ამჩნევია. უცნაურია, ზოგიერთი ადგილი რა მჭიდროდ უკავშირდება რომელიმე ადამიანს და იქ დაბრუნებისას არ შეიძლება ის პიროვნება არ გაიხსენო. უიმისოდ მარტოობა ვიგრძენი - მხოლოდ ორი წუთით.

თუ იცი, მამილო, ამ ბოლო დროს რას ვმოღვაწეობ? საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გამოუსწორებელი ვარ - წიგნს ვწერ. სამი კვირის წინ დავიწყე და ჩქარი ტემპით მიდის წინ. საიდუმლოს მივაგენი. მასტერ ჯერვი და ის გამომცემელი მართალი იყვნენ. შენს თავში მაშინ ხარ დარწმუნებული, თუ ისეთ რამეს წერ, რაც იცი. ამჯერად ისეთი თემა შევარჩიე, რასაც ძირფესვიანად ვიცნობ. აბა, გამოიცანი რაზეა? ჯონ გრაიერის თავშესაფარზე და კარგადაც გამომდის. ღრმად მწამს, რომ კარგია. პატარა, ყოველდღი-

ურ ამბებს ვწერ. ახლა რეალისტი ვარ. რომანტიზმზე უარი ვთქვი, მაგრამ ისევ დავუბრუნდები, როცა ჩემი მომავალი თავგადასავალი დაიწყება.

ეს ახალი წიგნი დასრულდება და გამოიცემა! აი, ნახავ, თუ არა. თუ რაიმე ძალიან გინდა და მის გაკეთებას ცდილობ, არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს მიზანს არ მიაღწიო. ოთხი წელია, მინდა, შენგან წერილი მივიღო და იმედი ჯერაც არ დამიკარგავს.

მშვიდობით, მამილო, ძვირფასო (მომწონს, "მამილო-ძვირფასოს" რომ გეძახი).

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

P.S. სულ დამავიწყდა, ფერმის ამბები მომეყოლა. საწყენი ამბავი კია. პოსტსკრიპტუმი გამოტოვე, თუ არ გინდა, გული მოგიკვდეს.

საწყალმა ბებერმა გროუვმა შენი ჭირი წაიღო. დაძაბუნდა, საჭმელს ვეღარ ღეჭავდა და ტყვიით განგმირეს.

გასულ კვირას ცხრა წიწილა სინდიოფალამ, სკუნსმა თუ ვირთხამ შეჭამა.

ერთი ძროხა ავად გაგვიხდა. ვეტერინარი-ქირურგი მოვიყვანეთ ფორ კორნერიდან. ამაზაიმ მთელი ღამე გაუთია ძროხას - სელის ზეთსა და ვისკის აძლევდა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ საწყალ ძროხას სელის ზეთის გარდა რამე რგებოდა.

სენტიმენტალური ტომი (კუს ჯავშნისფერი კატა) გაქრა. ვაითუ მახეში გაება!

რამდენი სამწუხარო ამბავია ქვეყანაზე!

17 მაისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ეს ძალზე მოკლე წერილი იქნება. იმიტომ, რომ კალმისტრის დანახვაზე მხარი მტკივა. მთელი დღე ლექციების ჩაწერა, საღამოობით - უკვდავი რომანი. მეტი მომივიდა.

სააქტო დღე სამი კვირის შემდეგ, ოთხშაბათსაა. ვფიქრობ, შეგიძლია, მოხვიდე და გამიცნო. თუ არ მოხვალ, შემჯავრდები. ჯულიამ მასტერ ჯერვი დაპატიჟა, როგორც მისი ოჯახის წარმომადგენელი, სელიმ - ჯიმი მაკბრაიდი. მე ვინ უნდა დავპატიჟო? ან შენ, ან მისის ლიპეტი. მისის ლიპეტი არ მინდა. ჩამოდი, რა, გთხოვ.

წერილს, როგორც მწერალი, ლაკონურად ვწერ.

სიყვარულით შენი

ჯუდი.

ლოკ უილოუ,
19 ივნისი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

უკვე განათლებული ვარ! დიპლომი კომოდის ბოლო უჯრაში მიდევს ორ საუკეთესო კაბასთან ერთად. სააქტო დღემ, როგორც ყოველთვის, ცრემლების ღვრით ჩაიარა. დიდი მადლობელი ვარ ვარდების თაიგულისათვის. შესანიშნავი იყო. მასტერ ჯერვიმ და მასტერ ჯიმიმაც ვარდები მომართვეს, მაგრამ იმათი ვარდები საბაზანო ოთახში დავტოვე, შენი კი თან წავიღე.

და აი, ლოკ უილოუში ვარ მთელი ზაფხულით - იქნებ, სამუდამოდაც. კვება იაფი ჯდება, სიწყნარეა და ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი პირობებია. მეტი რა უნდა მწერალს! ჩემს წიგნზე ვგიჟდები. მთელი დღე ამაზე ვფიქრობ და ღამეც მესიზმრება. ყველაფერი მაქვს, რაც მინდა - სიმშვიდე და ბევრი დრო სამუშაოდ (გემრიელ საჭმელთან ერთად).

მასტერ ჯერვი აგვისტოში ერთი კვირით აპირებს ჩამოსვლას. ჯიმი მაკბრაიდი ამ ზაფხულს დროდადრო შემოივლის ხოლმე. ახლა ის ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებასთან თანამშრომლობს, ქალაქებსა და სოფლებში დადის, ბანკებს აქციებით ამარაგებს. როცა კორნერში, "ფერმერთა ნაციონალურ ბანკში" მოვა, ჩვენთანაც შემოივლის.

როგორც ხედავ, ლოკ უილოუშიც იკრიბება საზოგადოება. ადრე მინდოდა ხოლმე, მანქანით მაინც შემოგეგრიალა, მაგრამ ვიცი, უიმედოა ამაზე ფიქრი. შენ რომ ჩვენს სააქტო დღეზე არ მოხვედი, გულიდან ამოგიგლიჯედა სამუდამოდ დაგასამარე.

ჯუდი ებოტი.

24 ივლისი

უძვირფასესო გრძელფეხება მამილო!

ხომ კარგი გართობაა მუშაობა? თუ შენ არასოდეს მუშაობ? განსაკუთრებით კარგია ისეთი სამუშაო, რომელიც თავს გირჩევნია. ამ ზაფხულს გაცხარებული ვწერდი. ცხოვრებით ჩემი უკმაყოფილება იმით გამოიხატება, რომ დღეები ძალიან მოკლეა და დრო არ მყოფნის ჩემი ლამაზი, ძვირფასი და საინტერესო ნაფიქრალის ქაღალდზე გადმოსატანად.

ჩემი წიგნის მონახაზის მეორე ნაწილი დავამთავრე, მესამეს ხვალ ვიწყებ, დილის რვის ნახევარზე. მშვენიერი წიგნია; ამის მსგავსი ჯერ არ წაგიკითხავს - დამერწმუნე. სხვაზე არაფერზე ვფიქრობ. დილით ჩასაცმელად და სასაუზმოდ ძლივს მყოფნის მოთმინება. ერთი სული მაქვს, სანამ წერას დავიწყებდე. მერე ვწერ, ვწერ და ვწერ, სანამ დაღლილობისაგან წავიქცევი. შემდეგ კოლინთან ერთად (ახალი ნაგაზია) დავეხეტები კლდე-ღრეში და წიგნისათვის ახალ მასალას ვაგროვებ. ეს ულამაზესი წიგნია, რაც კი ოდესმე წაგიკითხავს - პარდონ, ერთხელ უკვე ვთქვი.

არ იფიქრო, ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა მქონდეს, მამილო, ძვირფასო!

ნამდვილად არ მაქვს! მაგრამ ახლა შემოქმედებითი ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. შეიძლება მოგვიანებით გულგრილი და კრიტიკული გავხდე და საზიზღრობად ჩავთვალო ჩემი ნამუშევარი, თუმცა, არა - დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება! ამჯერად ნამდვილ წიგნსა ვწერ. ცოტა ხანს მოიცადე და თვითონვე დაინახავ.

შევეცდები, ერთი წუთით სხვა თემაზე გესაუბრო. არ მითქვამს, რომ ამაზაი და კერი მაისში დაქორწინდნენ? ისევ აქ მუშაობენ, მაგრამ, როგორც ვამჩნევ, ამან ორივე გააფუჭა. წინათ კე-

რი იცინოდა, როცა ამაზაი ტალახიანი ფეხებით შემოაბოტებდა ან ფერფლს იატაკზე ყრიდა, ახლა კი ხშირად გაიგონებ მის წყევლას! თმას აღარ იხვევს. ამაზაის წინათ სიამოვნებად მიაჩნდა ხალიჩების ბერტყვა და შეშის მოტანა, ახლა კი, ასეთი რამ თუ დაავალეს, აბუზღუნდება ხოლმე. მისი ჰალსტუხებიც თალხი ფერისა გახდა, როცა წინათ ალისფერს ან მეწამული ფერისას ატარებდა. გადავწყვიტე, არ გავთხოვდე. როგორც ჩანს, ამას ადამიანისათვის მავნე შედეგი მოსდევს.

ფერმაში სხვა ახალი არაფერია. ცხოველები ჯანზე არიან. ღორები უჩვეულოდ გასუქდნენ, ძროხები კმაყოფილნი ჩანან, ქათმები კი დროულად დებენ კვერცხს. გაინტერესებს მეფრინველეობა? თუ ასეა, ნება მიბოძე, დავივალო ეს პატარა სამსახური. "წელიწადში 200 საუკეთესო კვერცხი თითო დედლისაგან". ვფიქრობ, შემდეგ გაზაფხულზე ინკუბატორი და სათბურები გავაკეთო. როგორც ხედავ, ლოკ უილოუში სამუდამოდ ვბინავდები. გადავწყვიტე, აქ ვიყო მანამ, სანამ ენთონი ტროლოპის დედასავით ას თოთხმეტ რომანს არ დავწერ. მაშინ ჩემი ცხოვრების ამოცანა შესრულებული მექნება და შემეძლება, აქაურობა დავტოვო და ვიმოგზაურო.

მასტერ ჯიმი მაკბრაიდმა გასული კვირადღე აქ გაატარა. შემწვარი ვარია და ნაყინი გვქონდა სადილად. მოეწონა ჩვენი სადილი. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. მისმა გამოჩენამ გამახსენა, რომ სხვა სამყაროც არსებობს. საწყალი ჯიმი გააწამა თავისმა სამუშაომ. კორნერში "ფერმერთა ნაციონალურმა ბანკმა" მისი აქციები არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სააქციო საზოგადოება ექვსსა და ზოგჯერ შვიდ პროცენტს იხდის. ვფიქრობ, მისი საქმიანობა იმით დასრულდება, რომ სახლში დაბრუნდება, ვუსტერში, და თავისი მამის ფაბრიკაში დაიწყებს მუშაობას. მეტისმეტად გულღია, კეთილი და მიმნდობია. მისგან კარგი ფინანსისტი ვერ დადგება. მაგრამ სპეცტანისამოსის ფაბრიკის მართვა, მგონი,

სასურველი საქმიანობაა. ხომ ასეა? ჯერჯერობით ამის გახსენებაზე ცხვირს მაღლა სწევს, მაგრამ დადგება დრო, როცა იქ თავისი ნებით მივა.

იმედი მაქვს, დააფასებ, ასეთ გრძელ წერილს რომ გწერს ადამიანი, ვინც ლაკონურად წერასაა მიჩვეული. მაგრამ მე ისევ მიყვარხარ, მამილო, ძვირფასო, და ძალიან ბედნიერი ვარ. ირგვლივ ლამაზი ხედი, ბლომად საჭმელი, მოხერხებული ბალდახინიანი საწოლი, ერთი ოზმა[60] ქაღალდი და პინტა[61] მელანი - მეტი რა უნდა ადამიანს ამქვეყნად?

როგორც ყოველთვის, შენი

ჯუდი.

P.S. ფოსტალიონმა ახალი ამბავი მოგვიტანა. მომავალ პარასკევს მასტერ ჯერვის უნდა ველოდოთ. ერთ კვირას დარჩება ჩვენთან. სასიამოვნო პერსპექტივაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი საწყალი წიგნი იზარალებს. მასტერ ჯერვის სტუმრობა არ გეგონოს ხუმრობა! დიდ ყურადღებას მოითხოვს.

---

[60] დასტა.

[61] სითხის მოცილობოს საზომი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, უდრის 0,57 ლიტრს.

27 აგვისტო

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

ნეტავ ვიცოდე, სად ხარ?

არასოდეს არ ვიცი, სამყაროს რომელ ნაწილში იმყოფები. იმედი მაქვს, ამ საშინელ სიცხეში ნიუ-იორკში არ იქნები. ალბათ, რომელიმე მთის მწვერვალზე ხარ (ოღონდ შვეიცარიაში არა, სადმე უფრო ახლოს), თოვლს გასცქერი და ჩემზე ფიქრობ. გთხოვ, ყოველთვის იფიქრო ჩემზე. სრულიად მარტო ვარ და მინდა, ჩემზე ვინმე ფიქრობდეს. ო, მამილო, როგორ მინდა შენი გაცნობა! უბედურების ჟამს ერთმანეთს გავამხნევებდით.

არა მგონია, კიდევ დიდხანს გავძლო ლოკ უილოუში. აქედან წასვლას ვფიქრობ. სელი მომავალი ზამთრიდან ბოსტონში აპირებს მუშაობის დაწყებას. მე მგონი, კარგს ვიზამ, რომ გავყვე. შენ რას იტყვი? იქ სტუდიას გავაკეთებთ. სანამ ის სამსახურში იქნება, მე ჩემს რომანს დავწერ. საღამოობით კი ერთად ვიქნებით. რა უსაშველოდ გრძელია საღამოები, როცა სემპლების, კერისა და ამაზაის გარდა ხმის გამცემი არავინ გყავს. წინასწარ ვიცი, რომ ამ ნაბიჯს არ მომიწონებ. ახლავე შემიძლია, წარმოვიდგინო შენი მდივნის წერილი:

"მის ჯერუშა ებოტ,

ძვირფასო ქალბატონო,

მისტერ სმითს ურჩევნია, დარჩეთ ლოკ უილოუში.

თქვენი ერთგული,

ელმერ ჰ. გრიგსი".

მძულს შენი მდივანი. ელმერ ჰ. გრიგსი რომ ადამიანს ერქმევა, ის კაი კაცი არ უნდა იყოს. ხუმრობა იქით იყოს, მამილო, და ბოსტონში ნამდვილად უნდა წავიდე. აქ დარჩენა არ შემიძლია.

ამ ცოტა ხანში თუ არაფერი შეიცვალა, სასოწარკვეთილებისაგან ავდგები და სილოსის ორმოში ჩავვარდები.

ღმერთო ჩემო, რა სიცხეა! ბალახი მთლად გადახმა, წყაროები დაშრა. გზები ამტვერდა. რა ხანია, არ უწვიმია!

ეს წერილი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს წყლის მანია მჭირდეს, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. უბრალოდ, მინდა ოჯახი მქონდეს.

მშვიდობით, ჩემო უძვირფასესო მამილო.

როგორ მინდა, გიცნობდე!

ჯუდი.

ლოკ უილოუ,
19 სექტემბერი

ძვირფასო მამილო!

რაღაც მოხდა და რჩევა მჭირდება, შენი რჩევა და სხვა არავისი ამქვეყნად. არ შეიძლებოდა, როგორმე მენახე? ლაპარაკი გაცილებით უფრო ადვილია,

ვიდრე წერა. თანაც მეშინია, შენმა მდივანმა წერილი არ გახსნას და არ წაიკითხოს.

ჯუდი.

P.S. ძალიან უბედური ვარ.

ლოკ უილოუ,
3 ოქტომბერი

ძვირფასო გრძელფეხება მამილო!

შენი წერილი მივიღე, შენი აკანკალებული ხელით დაწერილი. ამ დილით მოვიდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ავად ყოფილხარ. რომ მცოდნოდა, არ შეგაწუხებდი. მაშ, კარგი, გეტყვი, რაც მაწუხებს, მაგრამ ქაღალდზე რთული გადმოსაცემია. საიდუმლოდ განდობ. გთხოვ, ამ წერილს ნუ შეინახავ, დაწვი.

სანამ დავიწყებდე, ჯერ ეს ათასი დოლარის ჩეკი ნახე. ძალიან უცნაურია, არა, მე რომ გიგზავნი ფულს? თუ იცი, საიდან მაქვს?

ჩემი მოთხრობა გავყიდე, მამილო. ჯერ ჟურნალში დაიბეჭდა, შვიდ ნაწილად, შემდეგ - წიგნად! ალბათ, ფიქრობ, სიხარულისაგან გაგიჟებული ვარ, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. სრულ აპათიას განვიცდი. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ შენი ვალის გადახდა დავიწყე - ორი ათასზე მეტი მმართებს. ნაწილ-ნაწილ გამოგიგზავნი. ოღონდ ძალიან გთხოვ, მამილო, უარი არ მითხრა, რადგან ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ვალის გადახდა შემიძლია. შენი უფრო მეტი მმართებს, ვიდრე ფულია, მაგრამ დანარჩენს მთელი სიცოცხლის მანძილზე გადაგიხდი ჩემი მადლიერებითა და სიყვარულით.

ახლა კი, მამილო, მეორე ამბავი. გთხოვ. უაღრესად პრაქტიკული რჩევა მომცე. არა აქვს მნიშვნელობა, ჩემი მოსაწონი იქნება თუ არა.

კარგად იცი, რომ შენდამი ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობით ვიყავი განმსჭვალული. შენ ხარ მთელი ჩემი ოჯახი, მაგრამ ხომ არ გეწყინება, თუ გეტყვი, რომ უფრო დიდი და განსაკუთრებული გრძნობა სხვა მამაკაცის მიმართ გამიჩნდა? თავის ტეხვა არ დაგჭირდება იმის გამოსაცნობად, ვინ არის. ჩემი წერილები, უკვე დიდი ხანია, სავსეა მასტერ ჯერვით.

შევეცდები, როგორმე გაგაგებინო, ვინ არის იგი და შევეფერებით თუ არა ერთმანეთს. რა საკითხიც გინდა აიღო, ყველაფერზე ერთნაირი თვალსაზრისი გვაქვს. ეს, შესაძლებელია, ჩემი პოზიციის ბრალიც იყოს. ალბათ, ვცდილობ, ჩემი აზრები მისას შევუფარდო! ის ყოველთვის მართალია. ასეც უნდა იყოს - ჩემზე თოთხმეტი წლით უფროსია. სხვა მხრივ კი დიდი ბავშვია და ზრუნვა სჭირდება. არასოდეს მინახავს, წვიმაში კალოშები ჩაეცვას. ჩვენი შეხედულებები ისე ემთხვევა ერთმანეთს, გაგიკვირდება. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. საშინელებაა, როცა ორი ადმიანის იუმორის გრძნობა ურთიერთსაწინააღმდეგოა. არა მგონია, ასეთ უფსკრულზე ხიდი გაიდოს.

და ის... მოკლედ, მხოლოდ ის არის, რასაც ხედავ. როგორ მენატრება, მენატრება, მენატრება! მთელი ქვეყანა ცარიელია უიმისოდ. მთვარის შუქიც კი მძულს, იმიტომ, რომ მშვენიერია და ის ამას ჩემთან ერთად ვერ ხედავს. იქნებ ოდესმე შენც გიყვარდა ვინმე? მაშინ გამიგებ და ახსნა არ დაგჭირდება. თუ არა და, ამის გადმოცემა შეუძლებელია.

აი, ასეთი გრძნობა მქონდა მისდამი და უარი კი ვუთხარი ცოლად გაყოლაზე.

მიზეზი არ მითქვამს. ხმაგაკმენდილი ვუსმენდი და უბედურად ვთვლიდი თავს. ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. ის კი დარწმუნებული წავიდა, რომ ჯიმი მაკბრაიდს მინდა გავყვე ცოლად. ჯიმიზე სრულიადაც არ მიფიქრია. ის საამისოდ პატარაა. მასტერ ჯერვისა და ჩემ შორის გაუგებრობა მოხდა და ერთმანეთს გული ვატკინეთ. იმიტომ კი არ მოვიშორე, რომ არ მიყვარდა, არამედ პირიქით, მეტისმეტად მიყვარდა. მეშინოდა, მომავალში ინანებდა და ამას ვერ ავიტანდი! მე, უთვისტომო, როგორ მივცემდი თავს ნებას, ისეთ ოჯახში შევსულიყავი, როგორიც პენდლტონებისაა! მისთვის არაფერი მითქვამს ობოლთა თავშესაფრის შესახებ. გამიჭირდა იმის თქმა, რომ ისიც კი არ ვიცი, ვინ ვარ. შესაძლებელია, რაღაც საშინელება ვიყო. პენდლტონები ამაყი ხალხია, მაგრამ მეც არანაკლებ ამაყი ვარ!

გარდა ამისა, რაღაცნაირად შენზედაც ვარ მიჯაჭვული. შენ ხომ მწერლად აღმზარდე. უნდა ვეცადო, იმედები გაგიმართლო. აბა, კარგი იქნებოდა, შენი შემწეობით აღზრდა-განათლება მიმეღო და მერე აღარ გამომეყენებინა? ახლა, როცა ვალების გადახდა დავიწყე, ვიგრძენი, როგორ შემიმსუბუქდა დარდი. თუმცა, ვფიქრობ, მწერლობა გათხოვების შემდეგაც შეიძლება გავაგრძელო! ოჯახი და პროფესია ერთმანეთს არ უნდა გამორიცხავდეს.

ბევრი ვიფიქრე ამაზე. ჯერვი სოციალისტია და თავისუფალი შეხედულებები აქვს ცხოვრებაზე. შესაძლოა, პროლეტარი ქალიც კი შეირთოს. ისიც დასაშვებია, რომ როცა ორი ადამიანი უერთმანეთოდ უბედურია, მათ ბედნიერებას წინ არაფერი გადაეღობოს! მე მსურს, ეს დავიჯერო!.. შენი აზრი მაინტერესებს. უეჭველია, ოჯახი გაქვს და ყოველივეს საზოგადოების თვალით სჯი. ადამიანურობის თვალსაზრისით ნუ განჭვრეტ, ცივი გონებით განსაჯე. ხედავ, რა გამბედავი ვყოფილვარ, გული რომ გადაგიშალე!

წარმოიდგინე, მივიდე მასთან და ავუხსნა, რომ დაბრკოლება ჯიმი კი არა, ჯონ გრაიერის თავშესაფარია. ხომ საშინელება იქნება? არ შემიძლია. მირჩევნია, მთელი სიცოცხლე უბედური ვიყო.

ეს მოხდა დაახლოებით ორი თვის წინ. მას შემდეგ მისგან არაფერი მსმენია. ბედს შევურიგდი. გულის გატეხვას ისე შევეგუე, ვეღარც კი ვგრძნობდი, მაგრამ ახლახან ჯულიას წერილი მივიღე და ამან ჭრილობა განმიახლა. მწერს, ბიძია ჯერვი კანადაში ნადირობის დროს ქარიშხალში მოჰყვა და მას აქეთ ფილტვების ანთებითაა ავადო. მე არაფერი ვიცოდი. გული მქონდა ჩაწყვეტილი, ასე უკვალოდ რომ გაქრა. ვფიქრობ, ჯერვი ძალიან უბედურია და არც მე ვარ უკეთეს დღეში!

რას მირჩევ, როგორ მოვიქცე?

ჯუდი.

უძვირფასესო გრძელფეხება მამილო!

რა თქმა უნდა, აუცილებლად ჩამოვალ შემდეგ ოთხშაბათს, ხუთის ნახევარზე. გზას როგორ ვერ გამოვაგნებ? ნიუ-იორკში უკვე სამჯერ ვარ ნამყოფი. ასეც არ იყოს, ბავშვი ხომ არ ვარ! არ მჯერა, რომ მართლა შენს სანახავად მოვდივარ. შენზე იმდენს ვფიქრობდი, რომ ხორცშესხმული, რეალური არსება თუ ხარ, არც მგონია.

შენ რაღაც არაჩვეულებრივი ადამიანი უნდა იყო, ჩემი გულისათვის რომ წუხდები, მით უმეტეს, შეუძლოდაც ხარ. თავს გაუფრთხილდი - არ გაცივდე. ამ გადაუღებელი წვიმებისაგან საშინელი სინესტეა.

შენი მოსიყვარულე

ჯუდი.

P.S. უცბად ერთი აზრი მომივიდა. მსახურთუფროსი გყავს სახლში? იმათი ძალიან მეშინია. კარს რომ გამიღებს, ალბათ, გული წამივა. რა უნდა ვუთხრა? შენი ნამდვილი გვარი რომ არ გითქვამს? მისტერ სმითი ვიკითხო?

ჩემო უძვირფასესო მასტერ ჯერვი-გრძელფეხება მამილო-პენდლტონ-სმით!

ღამე როგორ გეძინა? მე არ მძინებია. თვალიც არ მომიხუჭავს. მეტისმეტად გაოგნებული, შეშფოთებული, აღელვებული და ბედნიერი ვიყავი. არა მგონია, როდისმე ჭამა ან ძილი შევძლო. მაგრამ იმედი მაქვს, შენ გეძინა. უნდა იძინო, იმიტომ, რომ მალე გამომჯობინდე და ჩემთან მოხვიდე.

ჩემო ძვირფასო, ცუდად ვხდები, როცა ვიხსენებ, რა ავად იყავი, მე კი არაფერი ვიცოდი. გუშინ ექიმმა რომ ჩამაცილა, მითხრა - სამი დღე უიმედო მდგომარეობაში იყოო. ო, ჩემო კარგო, ეს რომ მართლა მომხდარიყო, მზე ჩემთვის სამუდამოდ ჩაესვენებოდა. შორეულ მომავალში, დასაშვებია, რომელიმე ჩვენგანი პირველი წავიდეს ამ ქვეყნიდან, მაგრამ სამაგიეროდ, დაგვრჩება ჩვენი წარსული ბედნიერება. და ასეთი მოგონებებით კიდევ შეიძლება სიცოცხლე.

შენი გამხნევება მინდოდა, სინამდვილეში კი თავს ვიმხნევებ. მართალია, იმაზე მეტად ვარ ბედნიერი, ვიდრე ოდესმე მიოცნებია, მაგრამ გონება მაინც საღი მაქვს. იმის წარმოდგენაზე, რომ შეიძლებოდა რაიმე დაგმართოდა, გული მეკუმშება. აქამდე უდარდელი, უზრუნველი ვიყავი და შიში რა იყო, არ ვიცოდი - არაფერი მებადა ისეთი ძვირფასი, რისი დაკარგვისაც შემეშინდებოდა. ახლა კი უდიდესი დარდი გამიჩნდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ მოვიშორებ. სადაც უნდა ვიყო, წარმოვიდგენ, რომ მანქანა დაგეჯახა, ან ფირნიში დაგეცა თავზე, ან სადმე საშიში მიკრობი გადაყლაპე. სულიერი სიმშვიდე სამუდამოდ დამეკარგა, თუმცა არც არასოდეს ვაფასებდი ამას.

გთხოვ, გამოჯანმრთელდი, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა. მინდა სულ ახლოს ვიყო შენთან, შეგეხო და დავრწმუნდე, რომ რეალური არსება ხარ. ჩვენ ისე ცოტა ხანს ვიყავით ერთად - სულ ნახევარი საათი, რომ ვერ გამირკვევია, სიზმარი იყო თუ ცხადი. შენი ნათესავი რომ ვყოფილიყავი (თუნდაც ყვავი ჩხიკვის მამიდა), გინახულებდი, ხმამაღლა წაგიკითხავდი წიგნებს, ბალიშს გაგისწორებდი, შუბლზე ორ პატარა ღარს გაგისწორებდი, შევეცდებოდი, შენი ლამაზი, მხიარული ღიმილი გამომეწვია. მაგრამ შენ ისევ მხიარულად ხარ, ხომ მართალია? ყოველ შემთხვევაში, სანამ შენთან ვიყავი, მხიარული იყავი. ექიმმა მითხრა, კარგი ძიძა იქნებოდიო, რადგან შენ ათი წლით ახალგაზრდად გამოიყურებოდი. კიდევ კარგი, ყველა შეყვარებული არ ახალგაზრდავდება ათი წლით. მე რომ თერთმეტი წლის გოგოდ გადავქცეულიყავი, ძვირფასო, გეყვარებოდი?

გუშინ ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე იყო ჩემს სიცოცხლეში. მე რომ ოთხმოცდაცხრამეტი წელი ვიცოცხლო, სულპატარა დეტალიც კი მემახსოვრება. ქალიშვილი, რომელიც გათენებისას გაემგზავრა ლოკ უილოუდან, სრულიად არ ჰგავდა იმას, ღამით რომ უკან დაბრუნდა.

მისის სემპლმა ხუთის ნახევარზე გამაღვიძა. სიბნელეში წამოვხტი და მაშინვე გამიელვა: "გრძელფეხება მამილო უნდა ვნახო!" სამზარეულოში სანთლის შუქზე ვისაუზმე და შემდეგ სადგურამდე ხუთი მილი ოქტომბრის გარიჟრაჟზე ათასფრად აჭრელებულ, თვალწარმტაც ბუნების წიაღში ვიმგზავრე. მზე ამოვიდა და ნეკერჩხლისა და კვრინჩხის ხეები წითლად და ფორთოხლისფრად ააელვარა. ქვის კედლებსა და მოლივლივე პურის თავთავებს თრთვილი დასდებოდა. ჰაერი იყო სუფთა, სუსხიანი და იმედის მომცემი. ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. მთელ გზა ლიანდაგები მიმღეროდნენ: "გრძელფეხება მამილო უნდა ნახო!" ეს მამხნევებდა. ისეთი რწმენა მქონდა, თითქოს მამილოს წყა-

ლობით ყველაფერი მოწესრიგდებოდა. ვიცოდი, რომ სხვასაც, მამილოზე უფრო ძვირფასს, უნდოდა ჩემი ნახვა. ვგრძნობდი, რომ მგზავრობის დასასრულამდე მასაც ვნახავდი. და აი, ხედავ?!

მედისონ ავენიუზე, თქვენს სახლთან რომ მოვედი, ისეთი დიდი, რუხი და შეუვალი მეჩვენა, მაშინვე შემოსვლა ვერ გავბედე. გარშემო ვუვლიდი და გულს ვიმაგრებდი, შესაშინებელი კი, თურმე, არაფერი მქონდა. შენი მსახურთუფროსი ძალიან კეთილი მოხუცია. ისე მიმიღო, რომ საკუთარ ოჯახში მეგონა თავი. "მის ებოტი ბრძანდებით?!" - მკითხა და მეც მივუგე, დიახ-მეთქი, ისე, რომ მისტერ სმითის ხსენება არც დამჭირვებია. მთხოვა, სასტუმრო ოთახში მომეცადა. ეს იყო ჩინებული, მუქი ოთახი, სწორედ ისეთი, მამაკაცებს რომ უყვართ. ფართო სავარძლის კიდეზე ჩამოვჯექი. ყურებში ისევ მიჟღერდა სიტყვები:

"გრძელფეხება მამილო უნდა ვნახო! გრძელფეხება მამილო უნდა ვნახო!"

მსახურთუფროსი დაბრუნდა და მთხოვა, სამკითხველოში შევყოლოდი. აღელვებისაგან მუხლები მომეკვეთა. კართან შედგა და მიჩურჩულა: "ძალიან ავად იყო, მის. პირველი დღეა, რაც წამოჯდომის ნება დართეს. დიდხანს ნუ გაჩერდებით. მისთვის დაღლა და მღელვარება არ შეიძლება". ისე გულთბილად მითხრა, რომ ვიგრძენი, როგორ უყვარხარ, რა გულიანი მოხუცია!

მსახურთუფროსმა კარზე დააკაკუნა და თქვა: "მის ებოტი გეახლათ!" ოთახში შევედი. ჩემ უკან კარი მიიხურა.

გაჩირაღდნებული ჰოლის შემდეგ ეს ოთახი ჩაბნელებული მეჩვენა. პირველად ვერაფერი გავარჩიე. შემდეგ ბუხართან დავინახე დიდი სავარძელი, მის გვერდით - მაგიდა და პატარა სავარძელი. მერე შევამჩნიე, დიდ სავარძელში კაცი იჯდა. ბალიშებში იყო ჩაფლული, მუხლებზე პლედი ეხურა. სანამ მოვასწრებდი, შემეჩერებინა, წამოდგა, ოდნავ წატორტმანდა და სკამის ზურგს ჩაეჭიდა. უსიტყვოდ მომაჩერდა. და შემდეგ... შემდეგ

დაგინახე შენ. მაინც ვერაფერს მივხვდი. გავიფიქრე, მამილომ თუ მოიწვია-მეთქი, სიურპრიზისთვის.

შენ გაგეცინა, ხელები გამომიწოდე და მითხარი: "ძვირფასო პატარა ჯუდი, ნუთუ ვერ მიხვდი, რომ გრძელფეხება მამილო მე ვარ?"

ერთ წუთში სახეზე ალმური მომედო. ო, რა სულელი ვიყავი! ათასი წვრილმანით შეიძლებოდა ამის მიხვედრა, ოდნავ რომ დავფიქრებულიყავი. არა, ჩემგან ხეირიანი დეტექტივი არ გამოვიდოდა. არა, მამილო? ჯერვი? აღარ ვიცი, რა დაგიძახო! უბრალოდ "ჯერვი" რაღაც თავაზიანად არ ჟღერს. როგორ შემიძლია, შენ უპატივცემულოდ მოგექცე!

რა საამურად გავატარეთ ის ნახევარი საათი, შენთან რომ დავყავი. მერე ექიმი მოვიდა და გამომისტუმრა. სადგურში ისეთი დაბნეული ვიყავი, კინაღამ სენტ ლუისაკენ მიმავალ მატარებელში ჩავჯექი. შენც დაიბენი. ჩაით არ გამიმასპინძლდი. მაგრამ ორივენი ძალიან, ძალიან ბედნიერები ვიყავით.

ხომ მართალია? ლოკ უილოუში გვიან დავბრუნდი. როგორ ბრწყინავდა ვარსკვლავები! ამ დილით მე და კოლინზი იმ ადგილებისაკენ წავედით, სადაც მე და შენ ერთად დავდიოდით. ვიგონებდი, რას ამბობდი და როგორ გამოიყურებოდი. დღეს ყინავს და ტყეები ბრინჯაოსფერია. ხეტიალის ამინდია. როგორ მინდა, აქ იყო და ერთად ავდიოდეთ გორაკებზე. როგორ მენატრები, ჯერვი, ძვირფასო, მაგრამ ეს ბედნიერი მონატრებაა. ჩვენ მალე ერთად ვიქნებით. ახლა ჩვენ ჭეშმარიტად ერთმანეთს ვეკუთვნით. რა უცნაურად მეჩვენება, რომ ბოლოს და ბოლოს მე მარტო აღარ ვარ - ვიღაცას ვეკუთვნი. ეს ძალიან, ძალიან სასიამოვნო გრძნობაა.

არასოდეს, არც ერთი წუთით არ მოგცემ საშუალებას, მოიწყინო.

მარად და მარად შენი ჯუდი.

P.S. ეს ჩემი პირველის სასიყვარულო წერილია. არ გიკვირს, როგორ მოვახერხე?